ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

# ახალი უნივერსიტეტი

19
თებერვალი, პარასკევი, 2016 წ., №2


## ნომერში

■ რისი კორექტირებაა კანონში შესაძლებელი? გვ. 2

■ კანცლერობის კანდიდატი კვლავ შესარჩევია გვ. 2

■ თსუ-ის მესამე კორპუსის რემონტი დაიწყო! გვ. 4

■ რამდენ სტუდენტს უფინანსებს სწავლას თსუ-ის „სწავლის ხელშეწყობის ფონდი“? გვ. 6

■ მეცნიერება უნივერსიტეტში „ამუშავდა“ გვ. 7-9

■ ივანე ჯავახიშვილის სახელობის კიდევ ერთი მედალოსანი გვ. 12


# თსუ – 98

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოველი წლის 8 თებერვალს კიდევ ერთხელ ვიხსენებთ, რომ: 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი — ტფილისის უნივერსიტეტი გაიხსნა, რომელმაც, ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას. ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდნენ: ივანე ჯავახიშვილი, იუსტინე აბულაძე, გიორგი ახვლედიანი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანისა, დიმიტრი უზნაძე, ვანდა ღამბაშიძე, ილია ყიფშიძე, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, ანდრია ბენაშვილი, ანდრია რაზმაძე, ივანე ბერიტაშვილი, გრიგოლ წერეთელი...

მე-5 გვერდზე

# კანონში ახალი ცვლილებები რით აყენებს უნივერსიტეტს დარტყმას?

**თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებების ხარვეზებზე საუბრობს**

**— „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ახალი ცვლილებები, რომელიც პარლამენტმა ახლახან მიიღო, რამდენად უქმნის საფრთხეს საუნივერსიტეტო სივრცეში პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის მუშაობას, რაზეც უკვე დაიწყო საუბრები კულუარებში...**

— სიტუაცია საკმაოდ რთული გახლავთ. შარშან, წლის დასაწყისში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ინტენსიურად დაიწყო მუშაობა ცვლილებათა პაკეტზე, რის მიხედვითაც ცვლილებები უნდა შესულიყო „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში. ამ პროცესში უნივერსიტეტები ვიყავით აქტიურად ჩართულნი და რაღაც გონივრული ჩარჩო მოვიფიქრეთ, რითაც უნდა ეხელმძღვანელა პარლამენტს, მაგრამ, სამწუხაროდ, საკანონმდებლო ორგანომ ეს ჩარჩო დაარღვია. პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის საკომიტეტო მოსმენაზე რექტორებიდან მხოლოდ მე ვიყავი წარმოდგენილი (გახლდით ჩემს მოადგილესთან, პროფესორ მერაბ ელიაშვილთან ერთად) და კომიტეტს მოვახსენე, თუ რა ფუჭდებოდა კანონში ახალი ცვლილებებით. მიუხედავად ჩვენი მოსაზრებებისა, არც ერთი არგუმენტი არ გაითვალისწინეს და მივიღეთ ისეთი კანონი, რომლის აღსრულებაც სერიოზულ დარტყმას აყენებს უნივერსიტეტს. სხვა სიტყვებით, კანონში ცვლილებების მიღებამ ზიანის ნაწილი უკვე მიაყენა უნივერსიტეტს და მომავალშიც მიაყენებს.

**— კერძოდ, რა ზიანზეა საუბარი?**

— მოდით, პლუსებით დავიწყებ. კანონში ახალ ცვლილებებს დადებითი ის აქვს, რომ, აქამდე, საკანონმდებლო დონეზე არ იყო გათვალისწინებული მეცნიერის სტატუსი (მეცნიერები უნივერსიტეტებში დამხმარე პერსონალად ფიქსირდებოდნენ და ამით ადმინისტრაციის შემადგენლობა „იბერებოდა“). რა თქმა უნდა, ეს შეცდომა იყო — რა უნდა მეცნიერს დამხმარე პერსონალში? „მეცნიერი“ — ცალკე სტატუსი უნდა იყოს. იგი არ გადის არც აკადემიურ პერსონალში, ის არის მეცნიერი. კანონმა ეს სტატუსი გააჩინა — ეს სწორია და ძალიან კარგი.

გარკვეულწილად, მოწესრიგდა, ასევე, საფეხურიანობა ინსტიტუტებისა — საუნივერსიტეტოა, საფაკულტეტოა თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე. ამის მოწესრიგებაც აუცილებელი იყო.

მე-3 გვერდზე

# რისი კორექტირებაა კანონში შესაძლებელი?

## „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში ცვლილებებზე ტელეკომპანია GDS-ს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე ესაუბრა

**GDS: ქალბატონო თამარ, რას გულისხმობს ახალი სტანდარტი, რომლის დაკმაყოფილებაც მოუწევს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ავტორიზაციისთვის?**

**თამარ სანიკიძე:** ეს იყო პრობლემა, რომლის მოგვარებაც აუცილებელი გახლდათ, რაც შეიძლება მოკლე ვადებში. მრავალჯერადი შეფასებების, მათ შორის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიების მოღვაწეობის შემდეგ, ჩვენ დავდეთ საბოლოო სურათი და ვაჩვენეთ, თუ რა მიმართულებით იყო განსახორციელებელი გარკვეული ქმედებები, რათა უმაღლესი განათლების ხარისხის მონიტორინგი სწორად განხორციელებულიყო. ამისათვის სახელმწიფოს გააჩნია ბერკეტი, რომელიც გამოიხატება, თუნდაც, ავტორიზაცია-აკრედიტაციის ნორმების გადახედვაში. არსებული სისტემა, რა თქმა უნდა, გულისხმობს ავტორიზაციის პროცედურებს, მათ შორის, აკრედიტაციასაც, თუმცა, ეს არის პროცედურები, რომელიც უკვე კარგად აპრობირებულია და ჩვენი უნივერსიტეტები, უხეშად რომ ვთქვათ, კარგად არიან მორგებული მათზე. ცხადია, არსებობდა ხარვეზები, რომელიც არ გვაძლევდა საშუალებას, რომ თვლადი კრიტერიუმების მიხედვით შეგვეფასებინა უნივერსიტეტები მათი ავტორიზაციის პროცესში და პროგრამები — აკრედიტაციის დროს. ამიტომ შესწავლის, და შემდეგ უკვე კონკრეტული გეგმის საფუძველზე, ჩამოვყალიბდით იმაზე, რომ ავტორიზაციის სტანდარტები შეიცვლებოდა და ნებისმიერი უნივერსიტეტი, რომელსაც ავტორიზაციის გავლა უკვე 2016 წლის სექტემბრიდან მოუწევს, მას ახალი სტანდარტებით გაივლის.

არსებულ სტანდარტებს, რომელიც შედგებოდა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და ადამიანური და პროგრამული რესურსების შემოწმებისაგან, დაემატა კიდევ ოთხი სტანდარტი. ესენია: მისია, სტრატეგიული გეგმა და განვითარება, ორგანიზაციული სტრუქტურა, ფინანსური სქემა და ადამიანური რესურსი, ასევე სტუდენტების ხელშემწყობი პროგრამები და ქმედებები და მათი დასაქმების მაჩვენებლები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ჩვენ უზრუნველვყოთ შრომის ბაზარზე ორიენტირებული კადრების მომზადება.

საუბარი არის შეფასების პროცედურების ცვლილებასა და ხანგრძლივობაზეც. მაგალითად, ხუთწლიანი ავტორიზაციის პროცედურიდან გადავდივართ ექვსწლიანზე, ხოლო ხუთწლიანი აკრედიტაციის პროგრამიდან გადავდივართ უკვე შვიდწლიანზე. შეფასებაც რამდენიმე თვით გაზრდილია იმისათვის, რომ ახალი თვლადი კრიტერიუმების გამოყენებით მაქსიმალურად მოხდეს უნივერსიტეტის რესურსების შემოწმება, რათა დარწმუნებულები ვიყოთ უნივერსიტეტის მიერ სტუდენტებისთვის ხარისხიანი სერვისის მიწოდებაში. აქედან გამომდინარე, რიგი პროცედურები, უკვე კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, უნდა დამტკიცდეს შესაბამის დებულებებში, რაც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ დავიწყოთ უნივერსიტეტების შეფასება და, შემდეგ უკვე შეფასებული უნივერსიტეტების კვალდაკვალ, ხარისხის მონიტორინგის პროცედურები, რისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია კიდევ ერთი მომენტი, რომ შეიქმნას შესაბამისი პლატფორმა — ეს არის ელექტრონული სისტემის, ელექტრონული საქმის წარმოების პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მინიმიზაციას და შეცდომების დაშვების აღკვეთას.

**GDS: პარლამენტში კანონპროექტი უკვე არის წარდგენილი და მასში საწყისს ეტაპზე საუბარია აკრედიტაციის ვადის გადაწევაზე. როდის უნდა ველოდოთ ცვლილებების ამოქმედებას, ეს მოხდება მიმდინარე წელს თუ მომავალი წლიდან?**

**თამარ სანიკიძე:** უმრავლეს უნივერსიტეტს და, ჯამში, 400 სასწავლო პროგრამაზე მეტს აკრედიტაციის გავლა უწევდა 2016 წელს. რადგანაც იცვლება ავტორიზაციის სტანდარტები, რომელიც ძალაში უნდა შევიდეს 2017 წელს, უპრიანი იყო ავტორიზაცია გაგვეხორციელებინა ახალი სტანდარტებით და, შემდეგ უკვე, განახლებული სტანდარტით გაგვეხორციელებინა პროგრამული აკრედიტაცია. ამისათვის მოხდა ვადების გადაწევა. ჩვენ გვინდა, დავიცვათ თანმიმდევრობა და 2016 წლის სექტემბრიდან დავიწყოთ ავტორიზაციის პროცედურები, ხოლო იმ უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებიც წარმატებით გაივლიან ავტორიზაციას, ექნებათ კიდევ ერთი წელი, რათა მოემზადონ აკრედიტაციისთვის. ამისთვის მათ დასჭირდებათ ინსტიტუციური გაძლიერება. ჩვენ 2016 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული გვაქვს მათთვის დასახმარებელი პროცედურების ხელშემწყობი სახსრები.

**GDS: როგორ ფიქრობთ, უმაღლესმა სასწავლებლებმა რომ ცვლილებებისთვის მომზადება შეძლონ და მოასწრონ, დროის მოცეული ინტერვალი საკმარისია?**

**თამარ სანიკიძე:** დროის ინტერვალი, სანამ კანონში ცვლილებებს შევიტანდით, შეთანხმებული იქნა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, რექტორებთან და ადმინისტრაციასთან. ეს არის დროის ინტერვალი, რომელზედაც ჩვენ ვიმსჯელეთ, ჩამოვყალიბდით და მხოლოდ ამის შემდეგ შევიტანეთ ცვლილებები კანონში. ჩვენი ნაწილი, რაც მდგომარეობს შესაბამისი პლატფორმის მომზადებასა და საბიუჯეტო რესურსების გამოყოფაში, რომ საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტებს დავეხმაროთ, დღეისთვის მოგვარებულია და დანარჩენი უკვე უნივერსიტეტების სამუშაოა, რომლებთან ერთად ჩვენც ვიმუშავებთ. ვფიქრობ, რომ დროის ამ მონაკვეთში უნდა ჩავეტიოთ.

**GDS: ამ ცვლილებებში, მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს არ მოსწონს ყველაფერი. ლადო პაპავას თქმით, ყველაზე მეტი ინსტიტუტი თსუ-სთან არის მიერთებული, ამიტომ მართვის თვალსაზრისით სისტემა უმართავი გახდება. წაგიკითხავთ ციტატას, რომ უფრო ცხადი გახდეს: „ჩვენ გაგვიუქმდა პოსტდოქტურანტურა, რომელიც ერთი წელია გვაქვს, რითაც, წინ გადადგმული ნაბიჯის ნაცვლად, დავიხიეთ უკან. ჩემთვის გაუგებარია მუდმივი პროფესორის ინსტიტუტის შემოღება, რადგან არანაირი შანსი არ ეძლევათ მზარდ მეცნიერებს, განსაკუთრებით იმ მეცნიერებს, რომლებიც საზღვარგარეთ მოღვაწეობენ, რომ საქართველოში დაბრუნდნენ", ... რას უპასუხებთ რექტორს?**

**თამარ სანიკიძე:** ჩვენ ამაზე ვიმსჯელეთ. იყო საკითხები, რომელზეც განსხვავებული მოსაზრებები დაფიქსირდა, თუმცა, ვფიქრობ, ეს საკითხები გადაწყვეტადია. რაც შეეხება აკადემიურ საბჭოში უნივერსიტეტის მეცნიერთა ჩართულობას, პარლამენტმა ჩვენ მიერ შეტანილ კანონპროექტში გარკვეული კორექტირება შეიტანა და, დაშვებული კვოტის ნაცვლად, ითხოვა თითოეული კვლევითი დაწესებულებიდან თითო წარმომადგენლის ჩართვა უნივერსიტეტის მმართველ საბჭოში, რაც ნიშნავს, რომ საბჭო ნამდვილად გაიზრდება, მაგრამ ეს გაზრდა არ განაპირობებს იმას, რომ საბჭო უმართავი გახდეს. ამას სჭირდება ლოჯისტიკურად და მენეჯმენტის კუთხით ძალიან კარგად დალაგება. რაც შეეხება პრობლემებს პოსტდოქტურანტურასთან დაკავშირებით, პოსტდოქტორანტურის პოზიცია არ გაუქმებულა, ის გადავიდა კვლევით დაწესებულებაში, სადაც უფრო მიზანშეწონილია ახალგაზრდა მკვლევრის ჩართულობა და მოღვაწეობა, თუმცა ჩვენც ვფიქრობთ, რომ უნივერსიტეტშიც შეიძლება არსებობდეს ასეთი პოზიცია და, ალბათ, შემდეგი ცვლილებები, რომლითაც ჩვენ მივმართავთ პარლამენტს, იქნება სწორედ ეს წინადადება. ყველა სხვა საკითხი, რომელზედაც იგივე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი საუბრობდა, აბსოლუტურად მოგვარებადია.

**GDS: ანუ, პოსტდოქტურანტურა, როგორც ბატონი პაპავა აცხადებს, არ გაუქმებულა?**

**თამარ სანიკიძე:** პოსტდოქტურანტურის პოზიცია არ გაუქმებულა. ეს პოზიცია საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა მხოლოდ და მხოლოდ ამ საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, მაგრამ განისაზღვრა არა უნივერსიტეტში, როგორც ეს აქამდე გვქონდა, არამედ კვლევით დაწესებულებაში, როგორც სამეცნიერო პოზიცია, რათა ახალგაზრდა მეცნიერების მოზიდვა მოხდეს. ვიმეორებ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი პოზიცია შესაძლებელია უნივერსიტეტშიც არსებობდეს და შემდეგი კორექტირებები და დახვეწა საკანონმდებლო ბაზისა შეიძლება სწორედ ამ კუთხით განხორციელდეს. ის, რომ დღეს პოსტდოქტურანტურის პოზიცია გაუქმებულია, არის მცდარი, ჩვენ ამაზე ვისაუბრეთ დღეს. პირიქით, პოსტდოქტურანტურა არის ის ერთ-ერთი ცვლილება, რომელიც საკანონმდებლო ბაზაში განხორციელდა, ოღონდაც პოზიცია განისაზღვრა არა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ბაზაზე, არამედ კვლევითი ინსტიტუტების ბაზაზე, რომლებიც არიან უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები.

# კანცლერობის კანდიდატი კვლავ შესარჩევია

*16 თებერვალს ცნობილი გახდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოსტზე შერჩეულმა კანდიდატმა იოსებ არჩვაძემ უნივერსიტეტის რექტორის სახელზე შეიტანა განცხადება, რომლითაც მან არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურა მოხსნა.*

*იოსებ არჩვაძის კანდიდატურა თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ 8 ხმით 6-ის წინააღმდეგ 27 იანვრის სხდომაზე შეარჩია და დასამტკიცებლად თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგინა.*

*წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა 17 თებერვალს უნდა გამართულიყო. 17 თებერვალსვე თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ იმსჯელა და დაადგინა, რომ კანცლერის ახალი კანდიდატურა შეირჩეს კონკურსში მონაწილე დანარჩენი კანდიდატებიდან (გიორგი გაფრინდაშვილი, თამარ კაპანაძე, ალექსანდრე ჩხიტაური, კახაბერ ჭეიშვილი). აკადემიური საბჭო კანცლერობის კანდიდატს 19 თებერვალს შეარჩევს.*

**გთავაზობთ იოსებ არჩვაძის განცხადების სრულ ტექსტს, რომელშიც იგი თსუ-ის რექტორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას მიმართავს:**

„ღრმად პატივცემულო ბატონო რექტორო, მადლობას მოგახსენებთ პირადად თქვენ და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს ჩემდამი გამოჩენილი ნდობისათვის — უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე ჩემი კანდიდატურის მხარდაჭერის გამო. ეს ჩემთვის დიდი პატივია, რადგანაც თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი — ეს არა მარტო სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებაა, ეს ეროვნული სულიერი იდეისა და თვითმყოფადობის ფუნქციის უმნიშვნელოვანესი მატარებელიცაა.

ამასთან, მიუხედავად აკადემიური საბჭოს ჩემდამი გამოჩენილი მხარდაჭერისა, თავად უნივერსიტეტის კოლექტივში, სტუდენტობაში შეიმჩნევა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჩემი კანდიდატურის მიმართ, კერძოდ, პოლიტიკურ ორიენტაციასთან, სამართლიანობასთან და პრინციპულობასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულის თაობაზე ბეჭდვითი და ელექტრო-მედია საშუალებების მეშვეობით უკვე გავეცი პასუხი თითოეულ ამ კითხვას, დღემდე მაინც ხდება აღნიშნულ თემაზე სხვადასხვა ინსინუაციების გავრცელება მედია-საშუალებებით და ინტერნეტით.

ჩემთვის შეურაცხმყოფელია ამგვარი ბრალდებები, რადგან საკუთარი ღირსების, მისი დაცვის საკითხი, პატრიოტიზმი ჩემი არსებობისა და საქმიანობის ქვაკუთხედად მიმაჩნია. ამიტომ აღნიშნული თანამდებობის დასაკავებლად მე მჭირდება არა მარტო წარმომადგენლობითი საბჭოს უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვება, არამედ უნივერსიტეტის კოლექტივისა და სტუდენტების მხრიდან აბსოლუტური მორალური ლეგიტიმაცია, რათა მთელი ძალისხმევა დავუთმო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას და არა ათასგვარ პასკვილებსა და ინსინუაციებზე თავის მართლებას. ამავე დროს, მე მთლიანად ვაცნობიერებ იმ საფრთხესაც, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მხარდაჭერამ და ჩემ მიერ აღნიშნული თანამდებობის დაკავებამ შეიძლება გამოიწვიოს უნივერსიტეტის კოლექტივისა და სტუდენტობის ორად გახლეჩა, და არა აქვს არსებითი მნიშვნელობა იმას, რომ უმრავლესობა ჩემი მხარდამჭერი იქნება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩემთვის წმინდა, ერთიანი, მომავალზე ორიენტირებული, ეროვნული იდეის მატარებელი დაწესებულებაა და არა ინტრიგებისა და დაპირისპირების პოლიგონი. არავითარი სურვილი არა მაქვს, რომ ჩემი სახელი რაიმე ფორმით გახდეს უნივერსიტეტის შიდა დაპირისპირების თუნდაც ფორმალური საბაბი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ ვხსნი ჩემს კანდიდატურას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე.

ამავე დროს, მინდა ვისარგებლო შესაძლებლობით და გულწრფელი მადლობა გადავუხადო ჩემს მრავალრიცხოვან მხარდამჭერებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მის ფარგლებს გარეთ, რომლებსაც ეჭვი არ ეპარებათ ჩემს პროფესიულ და საქმიან რეპუტაციაში, ფასეულობათა სისტემაში და გულწრფელად სურდათ ჩემი ხილვა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

**იოსებ არჩვაძე**
**16.02.2016 წ.**

# კანონში ახალი ცვლილებები რით აყენებს უნივერსიტეტს დარტყმას?

## თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში ცვლილებების ხარვეზებზე საუბრობს

**პირველი გვერდიდან**

რა გაფუჭდა? — ამასაც მოგახსენებთ: ჩვენ, ისე, რომ კანონი არ დაგვირღვევია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებართვით და მხარდაჭერით, ავამოქმედეთ პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტი და მეორე წელია, რაც ხალხი მუშაობს უნივერსიტეტში პოსტდოქტორანტის პოზიციაზე. გასული წლის ბოლოს დავიწყეთ ახალი კონკურსი, რაც ახლა შევაჩერეთ, რადგან ხალხის მიღება ამ პოზიციაზე კანონმა აგვიკრძალა. კანონში ჩაიწერა, რომ თურმე პოსტდოქტორანტურაში შერჩევას ახორციელებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული — სამეცნიერო საბჭო. მაშასადამე, ფაკულტეტი კი აღარ აკეთებს ამას, არამედ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო (ჯერჯერობით ეს საბჭოები არ აქვთ ამ ინსტიტუტებს, რაც ახალი ჩამოსაყალიბებელია). გარდა ამისა, თუ მომავალში ეს საბჭოები შეარჩევენ პოსტდოქტორანტებს, მაშინ უნივერსიტეტის ფაკულტეტებმა რაღა გააკეთონ? და კიდევ ერთი რამ: ჩვენ უნივერსიტეტში გვაქვს ბიოლოგების საკმაოდ კარგი სკოლა და ბიოლოგიაში ხდება სადოქტოროს დაცვა, მაგრამ ბიოლოგიაში რომ გვინდოდეს პოსტდოქტორანტის აყვანა, მას ვერ ავიყვანთ. — რატომ? — იმიტომ, რომ ჩვენთან შემომავალ ინსტიტუტებს შორის ბიოლოგიის ინსტიტუტი არ არის. ასე რომ, უკვე გაფუჭდა საქმე. პოსტდოქტორანტურაში ჩვენ ხომ გამოცხადებული გვქონდა ადგილები (ახალგაზრდებსაც სტიმული მიეცათ, რომ უნივერსიტეტში მოვიდოდნენ), ახლა კი ეს ყველაფერი გაჩერდა.

ჩვენ პოსტდოქტორანტურასთან მიმართებაში იმის წინააღმდეგები კი არ ვართ, რომ ინსტიტუტებს ჰყავდეთ პოსტდოქტორანტები (რა თქმა უნდა, მათაც უნდა ჰყავდეთ), მაგრამ ფაკულტეტებს რატომ ვართმევთ ამ უფლებას? (კანონში ამ ახალმა ჩანაწერმა კი ფაკულტეტებს ეს უფლება წაართვათ). რაც გვქონდა და რითაც ვამაყობდით (იმის ნაცვლად, რომ ჩვენი გამოცდილება გაზიარებულიყო და სხვა უნივერსიტეტებს გამოდგომოდათ), გამოდის, რომ ახალი ჩანაწერით დაგვსაჯეს კიდეც. და ეს, სამწუხაროდ, მოხდა პარლამენტში. სამინისტროს პროექტი კი, რაც პარლამენტს მიეწოდა და რაშიც ჩვენც ვმონაწილეობდით, სავსებით ნორმალური იყო და საკანონმდებლო ორგანოში ის არ გაიზიარეს.

**— ცვლილებები, ასევე, ითვალისწინებს პროფესორის მუდმივ პოზიციაზე არჩევასაც. ამ საკითხთან დაკავშირებითაც გაქვთ განსხვავებული მოსაზრებები?**

— კანონში გააჩინეს ასეთი ჩანაწერი, რომელიც არანაირ კავშირში არ არის მეცნიერების სტატუსთან, რომ, თურმე, ყველა პროფესორი უნდა აირჩეს მუდმივ პოზიციაზე (ამას საერთოდ არანაირი კავშირი არ აქვს „ტენურართან"). თურმე საკმარისია, რომ ადამიანს ჰქონდეს 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური სტაჟი, რომ მას მიეცეს უფლება — კენჭი იყაროს პროფესორის თანამდებობაზე და აირჩიონ, და შემდეგ ყოველ 5 წელიწადში ერთხელ უნდა გაიაროს ატესტაცია (აქამდე ასე იყო, რომ როცა პროფესორად აირჩევდნენ, მას მომავალში კიდევ უნდა ჰქონოდა ახალი კონკურსი გასავლელი. ახლა ექნება გასავლელი მხოლოდ ატესტაცია). როგორი მაღალი დონის კრიტერიუმებიც არ უნდა დააწესონ ატესტაციის გასავლელად, თუ პროფესორმა გადალახა ეს ეტაპი, იგი ინარჩუნებს ადგილს. მაგრამ, ხომ შეიძლება გამოჩნდეს ვიღაცა — ბევრად უფრო ნიჭიერი, ბევრად უფრო პროდუქტიული? ან ხომ შეიძლება საქართველოში საზღვარგარეთიდან ვიღაცას მოუნდეს დაბრუნება, რომელსაც ბევრად უფრო მაღალი მეცნიერული დონე აქვს, ვიდრე იმ ჩვენს პროფესურას, რომელმაც გადალახა ატესტაცია? — მაშინ რას ვშვებით? იმათთვის ხომ უკვე ვაკანსია აღარ რჩება? რამდენად სწორია, ამ ფონზე, კანონში მიღებული ცვლილება პროფესორის მუდმივ პოზიციასთან დაკავშირებით?

ჩემი აზრით, მუდმივი პროფესორის ეს მოდელი, რომ ახალი სისტემით ყველა პროფესორი მუდმივი პროფესორი უნდა იყოს და რომ სხვას ამ პოზიციის დასაკავებლად შანსი აღარ რჩება, არასწორია. ადამიანი პროფესორი რომ გახდება, მან, რაღაც პერიოდით, ამ პროფესორის პოსტზეც ხომ უნდა აჩვენოს საუნივერსიტეტო საზოგადოებას — რას წარმოადგენს? თუკი მუდმივ პროფესორად ჩვენ მხოლოდ მათ ავირჩევდით, რომელთაც ამ თანამდებობაზე მეტ-ნაკლებად ხანგრძლივად წარმატებულად იმუშავეს, ასეთები ფაკულტეტებზე იქნებოდნენ ერთეულები (როგორი მოდელიც ჩვენ გვქონდა გააზრებული). ახლა კი ყველა მუდმივი პროფესორი იქნება — ჩვენ გვინდა თუ არა ეს. იგი, თურმე, შეიძლება „ჩამოალაბორანტო" ან, სხვა შემთხვევაში, მუდმივად დაიკავებს თანამდებობას და უნივერსიტეტში ვაკანსია აღარ იქნება ახალი ხალხის მოსასვლელად პროფესორის თანამდებობაზე. ეს არ არის სწორი. ითქვა, ასევე, რომ მუდმივი თანამდებობა ინსტიტუტებში მთავარ მეცნიერ-თანამშრომლებსაც უნდა ეკავოთ — ესეც ზუსტად იგივე ხარვეზია. შეიძლება მთავარმა მეცნიერ-თანამშრომელმა ატესტაცია გაიაროს, მაგრამ სხვისთვის — მასზე ბევრად უკეთესისთვის ადგილი აღარ იყოს ამ ინსტიტუტში. ამავე დროს, კანონში წერია, რომ, თურმე, მთავარმა მეცნიერ-თანამშრომლებმა უნდა შექმნან ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო — ეს ნიშნავს, რომ ინსტიტუტებმა ხელოვნურად უნდა დაწიონ მთავარი მეცნიერის სტანდარტი, რათა რაც შეიძლება მეტი გაიყვანონ მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად, რომ სამეცნიერო საბჭო ჰქონდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ინსტიტუტი ვეღარ იქნება. ჩვენ მივმართეთ პარლამენტის შესაბამის კომიტეტს, რომ ეს არ გაეკეთებინა და ავუხსენით, რომ საბჭო უნდა იყოს არჩევით პრინციპებზე და არა მარტო იმ ადამიანებით დაკომპლექტებული, რომლებიც დაიკავებენ მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობას. სამწუხაროდ, არ დაგვიჯერეს...

**— კიდევ რა ახალი ჩანაწერი გაჩნდა კანონში, რომელიც, ასევე, არ მოგწონთ?**

— კანონში ცვლილებებით კიდევ უფრო რთული ვითარება შეიქმნა უნივერსიტეტებში მმართველობასთან დაკავშირებით. დღეს ჩვენ შემოერთებული გვაქვს 14 დაბოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული — ინსტიტუტი. ჩვენ გვქონდა ასეთი შეხედულება, რომ მათი წარმომადგენლობა არ უნდა ყოფილიყო აკადემიური პერსონალის მიერ არჩეული წარმომადგენლობის 1/3-ზე მეტი, რომელიც, გარკვეულწილად, უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ნაწილს დააბალანსებდა. ახლა კანონში ჩაიწერა, რომ ყველა ინსტიტუტს უნდა ჰყავდეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში 1 წარმომადგენელი, ანუ ეს ნიშნავს, რომ 14 კაცით უნდა გაიზარდოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო — ეს ყველაზე ძლიერი დარტყმაა ჩვენი უნივერსიტეტისთვის, რადგან არც ერთ უნივერსიტეტს ამდენი ინსტიტუტი არ მიერთებია. იმისთვის, რომ გარკვეული ბალანსი შევინარჩუნოთ აკადემიურ და კვლევით პროცესებს შორის, აკადემიურ საბჭოს უნივერსიტეტიდან, სულ ცოტა, თითო ფაკულტეტიდან 1 კაცი მაინც უნდა დავამატოთ, ე.ი. 7 კაცი, და გამოდის, რომ 15 კაციანი საბჭო გახდება 22 კაციანი და ამას დამატებული 14 წარმომადგენელი ინსტიტუტებიდან, ანუ, სულ, 36-კაციანი აკადემიური საბჭო გვეყოლება. ეს იმას ნიშნავს, რომ, პრაქტიკულად, აკადემიური საბჭო, რომელიც არის აკადემიური პროცესის მართვის ოპერატიული მუშა ორგანო, უნდა გახდეს ძნელად სამართავი. რაც შეეხება სენატს, კანონში ახალი ცვლილებების მიხედვით, სენატი უნდა იყოს 2-ჯერ მეტი ადამიანისგან დაკომპლექტებული, ანუ 72-კაციანი. — საით მივდივართ? უქმნის თუ არა ეს პრობლემას უნივერსიტეტს? — რა თქმა უნდა, უქმნის.

> ჩვენ პოსტდოქტორანტურასთან მიმართებაში იმის წინააღმდეგები კი არ ვართ, რომ ინსტიტუტებს ჰყავდეთ პოსტდოქტორანტები (რა თქმა უნდა, მათაც უნდა ჰყავდეთ), მაგრამ ფაკულტეტებს რატომ ვართმევთ ამ უფლებას? (კანონში ამ ახალმა ჩანაწერმა კი ფაკულტეტებს ეს უფლება წაართვათ). რაც გვქონდა და რითაც ვამაყობდით (იმის ნაცვლად, რომ ჩვენი გამოცდილება გაზიარებულიყო და სხვა უნივერსიტეტებს გამოდგომოდათ), გამოდის, რომ ახალი ჩანაწერით დაგვსაჯეს კიდეც.

კანონში ახალი ცვლილებების მიღების თაობაზე 1 თებერვალს ჩატარდა ძალიან საინტერესო კონფერენცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, სადაც ჩემი შენიშვნების შესახებ მოვახსენე დამსწრე საზოგადოებას. გარდა ამისა, უნივერსიტეტი მოამზადებს თავის ალტერნატიულ წინადადებებს და შევა ინიციატივით, უწინარეს ყოვლისა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, და თუ საჭიროა, პარლამენტშიც. აქვე ხაზს გავუსვამ იმას, რომ ყველაზე მთავარი, რაც პარლამენტს უნდა შეეცვალა — უნივერსიტეტის დაფინანსების სისტემა — ამის თაობაზე არაფერი თქმულა. ამიტომ, ჩვენ მოვამზადებთ იმ ცვლილებების პაკეტს, რომელიც უფრო ადეკვატურია და შეესაბამება უმაღლეს სასწავლებლებს და, პირველ ყოვლისა, ჩვენს უნივერსიტეტს. იმის ნაცვლად, რომ ამ შემოერთებული 14 ინსტიტუტის ინტეგრაცია მოხდეს უნივერსიტეტში და მშვიდობიანად ვითანამშრომლოთ, გვექმნება ახალი პრობლემები და ეს, გვინდა, გამოსწორდეს.

კანონში, ასევე, წერია ასეთი რამ: 2016 წლის ბოლომდე უნდა ჩავატაროთ ინსტიტუტების თანამშრომლების ატესტაცია (ატესტაცია, ხომ იცით, რომ თანამშრომლების გაშვებით მთავრდება?!). ჯერ ერთი, კითხვას ვსვამ, რატომ წერენ ამას, როცა 2016 წელს არის ისედაც საარჩევნო წელიწადი და ასეთ რაიმეს პოლიტიკურად გონიერი კაცი კანონში არ ჩაწერს. ახლა მეორე მხრიდან შევხედოთ ამ ჩანაწერს: მეცნიერებს მხოლოდ 2015 წლიდან მისცეს ნორმალური დაფინანსება და იქიდან ჯერ მხოლოდ ერთი წელია გასული (წინა წლებში მათი დაფინანსება იყო სავალალო). რეალურად, ატესტაცია რომ ჩაატარო, სულ ცოტა, 5 წელი მაინც უნდა მუშაობდეს მეცნიერი. ერთი წლის შედეგების გათვალისწინებით შესაძლებელია ატესტაციის ჩატარება? — ეს არ არის სწორი. ვთქვათ, 5 წელი ბევრია, 3 წელი მაინც უნდა იყოს, სულ მცირე, რომ ატესტაცია ნორმალურად ჩაატარო.

მოკლედ, ჩვენ დავაყენებთ საკითხს სხვადასხვა მიმართულებით. ვთვლი, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ" საერთოდ ახალი კანონია დასაწერი. ვეჭვობ, რომ ახალი კანონის მიღება მოესწროს ამ პარლამენტში (ნეტავ ის ცვლილებები მიგვაღებინა და გამოგვასწორებინა, რაც დღესდღეობით არის), მაგრამ ის კი უდავოა, ჩემი აზრით, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონი მსგავს ხარვეზებს არ უნდა შეიცავდეს.

**— იმედი თუ გაქვთ, რომ სამინისტრო და, ასევე, სხვა უმაღლესი სასწავლებლების რექტორებიც ჩაერთვებიან ამ ხარვეზების გამოსწორების საქმეში?**

— არსებულ სიტუაციას სხვაგვარად ვუყურებ. კანონში ახალი ცვლილებები ყველაზე მეტად ჩვენს უნივერსიტეტს აყენებს დარტყმას, ამიტომ ეს ჩვენი მისახედია. თუ რომელიმე უნივერსიტეტი ჩვენ გვერდით დადგება, ძალიან კარგი, მაგრამ თუ რომელიმე უნივერსიტეტი განზე გადგება და თავს შეიკავებს, ესეც არ არის პრობლემა. ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. ბოლო-ბოლო იმას მაინც მივაღწევთ, რომ გაიგოს საზოგადოებამ, რომ ასეთი ცვლილებები, პირველ რიგში, დარტყმას აყენებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რაც, ნაწილობრივ, უკვე მოხდა კიდეც.

**— ადრე საუბარი იყო იმაზე, რომ, როგორც ახლო წარსულში, უნივერსიტეტში დიდი სამეცნიერო საბჭო არსებობდა (დაახლოებით 200 კაციანი), აკადემიური საბჭოც უფრო მეტად გაზრდილიყო, რათა რექტორის ლეგიტიმაციაც უფრო მაღალი იყოს მომავალში. ამ საკითხზე რას ფიქრობთ?**

— ჩემი ხედვაა, რომ უნდა დაიწეროს თვისებრივად ახალი კანონი და მაშინ ამ მოდელზეც შეიძლება ვისაუბროთ, მაგრამ, ამ შემთხვევაში, თვითონ უნივერსიტეტის მართვა იცვლება და რექტორსაც და რექტორატსაც მეტი ფუნქცია ეძლევა, რაც ამჟამად ჩამოკლებული გვაქვს. დღეს ეს ფუნქციები მართვის კოლექტიურ ორგანოებს აქვთ მინიჭებული. დიდ საბჭოს თუ შექმნი, მას ოპერატიულად ვერ ამუშავებ. ასეთ შემთხვევაში უწინდელი ფუნქციები უნდა აღუდგინო რექტორსაც. ახლა დგება საკითხი, რა ჯობია — რექტორს აღუდგინო ფუნქციები და ასეთი დიდი საბჭო გვქონდეს, თუ ჯობია — იყოს მართვის კოლექტიური მუშა ორგანო, რომელიც მიიღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, არ ექნება კვორუმის პრობლემა და ექნება შესაბამისი ოპერ-მოქნილობა და კომპეტენცია.

**მოამზადა ნინო კაკულია**

# განათლებისა და მეცნიერების დანგრევა სამშობლოს ღალატის ტოლფასია

საკითხი, რომლის გარშემოც მე ვაპირებ საუბარს, თითქოს და ყველასთვის გასაგები და აგრეთვე კარგად ცნობილია, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა დუმს! დუმილის მიზეზი კი ჩემთვის გაუგებარია. საკითხი ეხება საქართველოში განათლებას და მეცნიერებას. ის, რომ ორივე ინგრევა, ამას განათლებისა და მეცნიერების მესვეურები ან ვერ ხედავენ (ეს სამწუხაროა), ან ხედავენ და არაფერს ამბობენ (ეს კი სამშობლოს ღალატია).

გავიხსენოთ ბრაზილიის ჯუნგლებში მცხოვრები აბორიგენები. მათ არ შეხებიათ ცივილიზაცია, არც განათლება და მეცნიერება. სამაგიეროდ ყველა ხალხზე ბედნიერები არიან. მათთვის არ არსებობს ტკივილი იმისა, რომ რაღაც ჰქონდათ და ეს რაღაც დაკარგეს. ჩვენ გვქონდა განათლება და მეცნიერება, რომლის დაკარგვის მოლოდინში ვართ. ეს ჩვენი ხალხის ყველაზე დიდი ტრაგედია იქნება.

ახლა ავხსნი — თუ რატომ შეიძლება ეს მოხდეს.

განათლება და მეცნიერება ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული, როგორც კი მათ კავშირს დავარღვევთ, ისინი ცალცალკე მოისპობა. მაშასადამე, დავდივართ გასანათლებლებისა და გამნათლებლების კავშირზე.

სკოლაში დირექცია იმიტომ არსებობს, რომ ხელი შეუწყოს მოწაფისა და პედაგოგის კავშირს. მაშასადამე, სკოლაში, ძირითადად, უნდა დამყარდეს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთგაგების კავშირი, მოსწავლეს მოსწონს ის მასწავლებელი, რომელშიც იგი ხედავს საგნის ღრმა ცოდნის მატარებელს. მასწავლებელმა უნდა დაატყვეოს მოსწავლე თავისი საგნის ღრმა ცოდნით, თანამედროვე პრობლემების ღრმა ანალიზით და ა.შ. ამისათვის კი საჭიროა მასწავლებელი ფლობდეს ღრმა ანალიზით თანამედროვე პრობლემების გარშემო, რომელშიც იგი არის სპეციალისტი. მასწავლებელს უნდა შეეძლოს აჩვენოს მოსწავლეს — თუ როგორ იცვლებოდა, იცვლება და ვითარდება საგანი, რომელსაც იგი ასწავლის.

მაშასადამე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ სკოლაში უნდა იყვნენ განათლებული მასწავლებლები. სად შეიძლება აღვზარდოთ განათლებული მასწავლებლები? პასუხი ერთადერთია - უნივერსიტეტებში, ანუ უმაღლეს სასწავლებლებში. მაშასადამე, უნივერსიტეტებში უნდა იყვნენ სკოლის მასწავლებლების მასწავლებლები. გარდა განათლებული პედაგოგების აღზრდისა, უნივერსიტეტები მოწოდებულნი არიან აღზარდონ ახალგაზრდა მეცნიერთა თაობა. ე.ი. უნივერსიტეტის მასწავლებლები უნდა იყვნენ, აგრეთვე, კარგი მეცნიერები. კარგი სტუდენტისა და მეცნიერ-მასწავლებლის შედეგიანი მუშაობისას ვღებულობთ ან განათლებულ მასწავლებელს, ან დიდი იმედის მომცემ ახალგაზრდა მეცნიერს. ასე იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე ძველ საბერძნეთში დიდებული სკოლები სოკრატესი, პლატონის, არისტოტელესი, ჰეროდიტის, სტრაბონის და სხვა. მოკლედ რომ ვთქვათ, ალექსანდრე მაკედონელი არ იქნებოდა, მისი მასწავლებელი არისტოტელე რომ არ ყოფილიყო.

ახლა დავუბრუნდეთ საქართველოს. საქართველო პატარა-პაწაწინა ქვეყანაა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე უხდებოდა შემოსეული მტრისაგან თავის დაცვა. ეს იყო მიზეზი, რომ ამ ნიჭიერი ხალხის ქვეყანაში მეცნიერების განვითარება დაიწყო მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან და ძალიან მცირე დროში მოგვევლინნენ მსოფლიო დონის მეცნიერები: ნ. მუსხელიშვილი, ი. ბერიტაშვილი, ე. ანდრონიკაშვილი, ი. ვეკუა, გ. ჭოღოშვილი, ისტორიკოსები, ენათმეცნიერები და სხვა. ზემოთქმულიდან ჩანს, რომ თუ მთავრობის მხრიდან პირობები სწორად იქნება შერჩეული, საქართველო არასოდეს არ დაკარგავს არც განათლებას და არც მეცნიერებას.

სრულიად გარკვევით მინდა ვთქვა, რომ განათლების დონე მაღალი რომ იყოს, აუცილებელია ბავშვებს ჰქონდეთ კარგი სახელმძღვანელოები (ასეთი დღეს არა გვაქვს). სკოლის რემონტი, ახალი სკოლების აშენება, ახალი ფარდებისა და კარადების შეძენა, ავტობუსების გამოყოფა მოწაფეებისთვის და ა.შ. — ეს ყველაფერი აუცილებელია, მაგრამ არა მთავარი. მთავარი კი სკოლაში განათლებული მასწავლებელია, რომლის მომზადებაზე, დღეს, არავინ ზრუნავს.

და ბოლოს, მოგახსენებთ იმ მიზეზს, რომელმაც გამოიწვია განათლებისა და მეცნიერების დანგრევის პროცესი. წინა მთავრობამ გააუქმა როგორც საკანდიდატო, ისე სადოქტორო დისერტაციების დაცვის ძალიან კარგი კანონი და შემოიღო განათლებისა და მეცნიერების გამანადგურებელი — დოქტორის აკადემიური ხარისხი.

ამ ხარისხის შემოღებამ გამოიწვია განათლებისა და მეცნიერების ნგრევა! რატომ? იმიტომ, რომ ეს ხარისხი რომ მოგანიჭონ, სრულიადაც არ არის საჭირო — გქონდეთ გამოქვეყნებული რომელიმე სამეცნიერო შრომა, თუნდაც ერთი, მაღალრეიტინგულ ჟურნალში. ეს ნიშნავს, რომ აუცილებელი არ არის იყოთ მეცნიერი, რათა დაიცვათ ეს ხარისხი, გახდეთ პროფესორი. ცხადია, ასეთი „პროფესორი“ ვერ აღზრდის განათლებულ მასწავლებლებს და ვერც მეცნიერს, რადგანაც თვითონ არაფერი იცის.

მთავარი ის კი არ არის, რომ ძველმა მთავრობამ განათლებისა და მეცნიერების მოსპობა გადაწყვიტა. გასაკვირი ის არის, რომ უნივერსიტეტებში, სადაც დისერტაციის დაცვებია, არ აღმოჩნდა თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც გააპროტესტებდა ,,დოქტორის აკადემიური ხარისხის“ შემოღებას.

განათლებისა და მეცნიერების დაკნინება ხდება მაშინაც, როცა ხშირად გაისმის, რომ საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერების მიმართულებების კრიტერიუმები უნდა იყოს სხვადასხვა. განა არსებობს ნაციონალური მეცნიერება? მეცნიერების ყველა მიმართულება არის საერთაშორისო. ამიტომ, კრიტერიუმები უნდა იყოს ერთნაირი.

დღეს ასეა საქმე: უნივერსიტეტები, რომლებსაც ხარისხის დაცვის უფლება აქვთ, აცხობენ აკადემიური ხარისხის დოქტორებს. დღეს უკვე სავალალო მდგომარეობაა. იმისათვის, რომ გადავარჩინოთ განათლება და მეცნიერება, სასწრაფოდ უნდა მივიღოთ ახალი კანონი, სადაც გაწერილი იქნება ის აუცილებელი კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს დისერტაციის დაცვის მსურველი პიროვნება. ამ კანონში უნდა იყოს გამოკვეთილად აღნიშნული:

1. დოქტორის აკადემიური ხარისხის გაუქმება.

2. პიროვნებას, რომელსაც აქვს სურვილი — დაიცვას დისერტაცია ფილოსოფიის ხარისხის (PHD)-ს მოსაპოვებლად, უნდა ჰქონდეს მინიმუმ 3 ან 4 სამეცნიერო შრომა გამოქვეყნებული მაღალ-რეიტინგულ ჟურნალში.

3. დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებს არ ჰქონდეთ უფლება დაიკავონ სრული ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობა.

4. დაცული დისერტაციები უნდა მოწმდებოდეს. ამისათვის საჭიროა ისევ შეიქმნას უმაღლესი საატესტაციო კომისია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბაზაზე.

5. შემოტანილი იქნას დისერტაციის დაცვის მეორე საფეხური — მეცნიერების დოქტორის ხარისხი (თავისი კრიტერიუმებით), რომელთა მფლობელებს შეეძლებათ დაიკავონ სრული პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობები.

თუ არ გვინდა, რომ აბორიგენების დონეზე დავეშვათ, სასწრაფოდ უნდა შევცვალოთ დისერტაციების დაცვის კანონი.

**ნოდარ ცინცაძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, თსუ-ის პროფესორი**

# სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების ახალი წესი

თბილისის მუნიციპალიტეტი სოციალურად დაუცველ სტუდენტებს ახალი წესის მიხედვით დააფინანსებს. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი სტუდენტების ხელშეწყობა“ ფარგლებში სტუდენტების თანადაფინანსების ახალი წესი, რომელიც ძალაში 2016 წლის 1 იანვრიდან შევიდა. თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის განათლების პროგრამების განყოფილების უფროსმა ვერიკო ხელისუფალმა.

„მუნიციპალიტეტი სოციალურად დაუცველ სტუდენტებს 2009 წლიდან აფინანსებს, თუმცა დღეს ამოქმედებულია ახალი წესი. შეიქმნა ერთიანი სისტემა. სტუდენტების სწავლის დაფინანსება 50%-დან 100%-მდე გაიზარდა. ახალი წესის მიხედვით, დაფინანსების მიღება შეეძლებათ იმ სტუდენტებს, რომლებიც სოციალურად დაუცველი ოჯახიდან არიან, ქულა შეადგეს 70 000 და ნაკლებს. გარდა სოციალური კომპონენტისა, ვითვალისწინებთ სტუდენტის აკადემიურ მოსწრებასაც. 3 წლის განმავლობაში მათ საგნებში მიღებული უნდა ჰქონდეთ 91-დან 100 ქულამდე. დაფინანსების თანხის რაოდენობა განსაზღვრულია სახელმწიფო გრანტის ფარგლებში“, — განაცხადა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის განათლების პროგრამების განყოფილების უფროსმა ვერიკო ხელისუფალმა.

თუ რამდენი სტუდენტი დაფინანსდება პროექტის ფარგლებში, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური სტუდენტების მხრიდან განცხადებების მიღების შემდეგ გადაწყვეტს. ახალი წესი ყველა იმ კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებზე ვრცელდება, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არის ავტორიზებული.

# მესამე კორპუსის რემონტი დაიწყო!

ისინი (სტუდენტები თუ პროფესორები), ვინც წლების მანძილზე უნივერსიტეტის III კორპუსის არასახარბიელო მდგომარეობაზე, ამ კორპუსში მოუნყობელი და ურემონტო აუდიტორიების თაობასა და ანტისანიტარიაზე საუბრობდა, ახლა, უკვე, იმედია, იმ ინფორმაციასაც გაავრცელებენ, რომ თსუ-ის III კორპუსის რემონტი დაიწყო.

ინფორმაციისთვის: სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „თელა“ ასრულებს. იგეგმება კორპუსის საფუძვლიანი შეკეთება — იატაკის; ტიხრების გამოცვლა და ა.შ.

ამ დროისთვის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი უკვე გადასულია თსუ-ის ე.წ. მაღლივი კორპუსის ტერიტორიაზე.

თსუ-ის III კორპუსის რემონტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით ხორციელდება. პროექტის ბიუჯეტი 677 455 ლარს შეადგენს.

„ტენდერში გამარჯვებულია შპს „თელა“, რომელთანაც ხელშეკრულება უკვე გაფორმდა. III კორპუსი ავეჯისგან უკვე დავცალეთ. საფუძვლიანი რემონტი ჩატარდება. ტიხრები ახალი და გაცილებით მსუბუქი მუყაო-თაბაშირისგან გაკეთდება, რაც კორპუსის საძირკვლისთვის ძალიან კარგია. საძირკვლის კვლევა სამხარაულის ექსპერტიზის ცენტრს შევუკვეთეთ. საფუძვლიანად არ შეუსწავლიათ, თუმცა, მათი განცხადებით, საძირკველი ნორმალურია“, — აღნიშნა თსუ-ის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსმა გიორგი ტალახაძემ.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაცია თსუ-ის III კორპუსის ეზოს კეთილმოწყობასაც გეგმავს. ეზო თბილისის მერიის კუთვნილებაა და მერიის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების დაწყება უახლოეს მომავალში იგეგმება.

„ამა წლის 2 დეკემბერს დიმიტრი უზნაძის დაბადების დღეა და, თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, პირველი კორპუსიდან მესამე კორპუსის ეზოში მისი ბიუსტის გადმოტანას ვგეგმავთ. თსუ-ის ადმინისტრაციისგან თანხმობა მიღებული გვაქვს, უბრალოდ პროცედურები და კონკრეტული აქტივობები ჯერ გაწერილი არ არის. ეზოს კეთილმოწყობასთან დაკავშირებით მერიასთან მოლაპარაკებებს დავიწყებთ“, — განაცხადა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა თამარ გაგოშიძემ.

III კორპუსის რემონტი, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ოქტომბერში დასრულდება.

## ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

# ᲗᲡᲣ — 98

**პირველი გვერდიდან**

1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის – ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა

„1998 წელი — ეს ნამდვილად მნიშვნელოვანი თარიღია, ამ წლების მანძილზე უნივერსიტეტს არა მხოლოდ წლები შეემატა, არამედ, რეალურად, განვითარების გზას დაადგა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ყველას კარგად მოეხსენება — მისი დაფუძნება ვის სახელებსაც უკავშირდება... ეს სწორედ იმ დიდი კორიფეების ოცნება და ჩანაფიქრი იყო... უნივერსიტეტს ის მისია უნდა შეესრულებინა, რომელიც საქართველოსთვის ასე საჭირო გახლდათ. დღეს უნივერსიტეტში დაწყებული შეუქცევადი პროცესები გვაძლევს იმის იმედს, რომ იგი იყოს პირველი არა მარტო რეგიონში, არამედ მის ფარგლებს გარეთ და რომ განხორციელდება ის ჩანაფიქრი, რომელსაც თავად დამფუძნებლებმა ჩაუყარეს საფუძველი“, — ამ სიტყვებით მიმართა 8 თებერვალს, პირველი კორპუსის სააქტო დარბაზის ფოიეში შეკრებილ საზოგადოებას განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ.

საზეიმო ღონისძიებას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, პროფესორები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. წლევანდელი იუბილე იმითაც იყო გამორჩეული, რომ პროფესორებმა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ არა მხოლოდ უნივერსიტეტის წარსული და „ძველი დიდება“ გაიხსენეს, არამედ დღევანდელ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზეც ღიად და გულახდილად ისაუბრეს.

თსუ-ის რექტორის, ვლადიმერ პაპავას განცხადებით, 8 თებერვალი სიმბოლურია არა მხოლოდ უნივერსიტეტისთვის, არამედ სრულიად საქართველოსთვის. „სიმბოლურია, რომ ჩვენი უნივერსიტეტი დაარსდა 1918 წელს, როცა შეიქმნა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა. თბილისის უნივერსიტეტი იმდროინდელი მთავრობის დიდ მხარდაჭერას გრძნობდა. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. უნივერსიტეტს ძალიან დიდი ფუნქცია აქვს — ის არა მარტო ისტორიულად პირველი უნივერსიტეტია, არამედ საქმიანობით უნდა იძლეოდეს მაგალითს სხვა უნივერსიტეტებისთვის, რათა ერთობლივად გავხდეთ ევროპული საუნივერსიტეტო სივრცის წევრები. რეალურად, დღეს, უნივერსიტეტში პრობლემებია და ჩვენ ერთობლივად ვეცდებით მათ თანდათან გამოსწორებას. სასიამოვნოა, რომ ამ საქმეში სერიოზული მხარდაჭერა გვაქვს საქართველოს მთავრობის მხრიდან. მართალია, დღევანდელი ვითარებით კმაყოფილები არ ვართ, ვინაიდან ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი: უნივერსიტეტი ახალი გამოწვევების წინაშეა, ყველაფერი კი იმ სტანდარტებში უნდა ჩაჯდეს, რომ საქართველოს პირველი სასწავლებელი ერთიანი ევროპული საუნივერსიტეტო სივრცის წევრი გახდეს. ამ მნიშვნელოვან დღეს ჩვენი შეხვედრის მთავარი მიზანია, კიდევ ერთხელ გავიაზროთ — სად ვართ, საით მივდივართ და რა ამოცანების წინაშეა ჩვენი უნივერსიტეტი“, — განაცხადა ლადო პაპავამ.

უნივერსიტეტის რექტორის ინფორმაციით, წლევანდელი წელი ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო წლად გამოცხადდა და უნივერსიტეტში მის ხსოვნას არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება მიეძღვნება.

უნივერსიტეტის იუბილეს დაესწრო ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, რომელმაც აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის აქტიურობა ყოველთვის მნიშვნელოვანი გახლდათ ქვეყნისთვის. „უნივერსიტეტის დაფუძნება იყო ასევე განაცხადი საქართველოს დამოუკიდებლობისკენ. თავისი არსებობის მანძილზე უნივერსიტეტში ბევრი ისეთი პროცესი დაიწყო, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ქართული სახელმწიფოს განვითარებაზე. მოხარული ვარ, რომ დღეს უნივერსიტეტი კვლავ აქტიურია ყველა მიმართულებით“, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობაზე, დავით აღმაშენებლის ღვაწლზე ისაუბრა პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ.

„დავით აღმაშენებელი მხოლოდ ხმლით არ იცავდა საქართველოს, მან შექმნა გელათის აკადემია — „მეორედ იერუსალიმად და სხვად ათინად“ წოდებული — რწმენისა და მეცნიერების შესაერთებლად. სწორედ ამ მეფის ხსენების დღეს, განვლილ საუკუნეში, დააარსეს ჩვენმა დიდმა წინაპრებმა თბილისის უნივერსიტეტი. დღესაც, რაც იქმნება ქართულ მეცნიერებაში, ივანე ჯავახიშვილისა და იმ გუნდის დამსახურებაა. ისტორიიდან ისიც გვახსოვს, რომ როდესაც საქართველოს იმდროინდელი მთავრობა ემიგრაციაში მიდიოდა, წასვლა ივანე ჯავახიშვილსაც შესთავაზეს, რაზეც მან უპასუხა: მე დავრჩები ჩემს უნივერსიტეტთანო — ეს არის ის სულიერი გმირობა, რომელიც ჩვენთვის მაგალითი უნდა იყოს.

დღეს უნივერსიტეტში ბევრი რამ კეთდება, მაგრამ ფეხზე მყარად დადგომა გვჭირდება, ისევე, როგორც ჩვენ ქვეყანას. უფლება არ გვაქვს, მომავალ თაობას არ მივცეთ სათანადო განათლება. ჩვენ ხშირად ვამაყობთ, რომ უნივერსიტეტის ეზოში დიდი წინაპრები განისვენებენ, მაგრამ უნივერსიტეტი მხოლოდ პანთეონი არ არის, ჩვენ უნდა ვიყოთ ის უნივერსიტეტი, რომელიც საქართველოს იმ გზაზე წაიყვანს, რა გზაზეც დააყენა ივანე ჯავახიშვილმა“, — განაცხადა ელგუჯა ხინთიბიძემ.

ღონისძიების ბოლოს დოკუმენტური ფილმის (დილოგია) „სათავეებთან“ ჩვენება გაიმართა. სცენარის ავტორისა და რეჟისორის თინათინ დაბრუნდაშვილის ინფორმაციით, ფილმი საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების დამკვიდრების პირველ ნაბიჯებს, თბილისის უნივერსიტეტში მედიცინის ფაკულტეტის დაფუძნებას და ამ პროცესში მონაწილე პიროვნებათა ღვაწლს ეძღვნება; ფილმის მეორე ნაწილი კი — ადამიანის ანატომიის, ქირურგიისა და პათოლოგიური ანატომიის კათედრების დაარსებას, მათ პირველ ხელმძღვანელებს და ამ კათედრებზე მიმდინარე სასწავლო-სამეცნიერო პროცესებს.

საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში უნივერსიტეტის წინაშე გაწეული ღვაწლისთვის უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის მედლებით დაჯილდოვდნენ თსუ-ის ფაკულტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლები: თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი იური ანანიაშვილი; თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი გიორგი ჯაფარიძე; თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი რევაზ გველესიანი; თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი მირიან ტუხაშვილი; პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ქეთევან ებრალიძე; ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ჯემალ ანთიძე; ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ლიანა გოგიაშვილი; ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი ინჟინერი გიორგი თავხელიძე; ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის განყოფილების გამგე ხვედრი ინასარიძე; შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო განყოფილების უფროსი, მეცნიერ-თანამშრომელი ლალი ავალიანი; რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის საფინანსო სამსახურის უფროსი ეკატერინე ტეფნაძე; ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი თამარ წუწუნავა, თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის კულტურის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბიჭიკო ყურაშვილი, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის კულტურის განყოფილების უფროსი სპეციალისტი რეზო მათითაიშვილი; ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგე შალვა გლოველი; თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის თანამშრომელი, პროფესორი ბესარიონ ზოიძე; მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ადმინისტრატორი ოლეგ ვადაჭკორია; თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი თამაზ ჯოლოგუა; თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თანამშრომელი კლიმენტი აჩელაშვილი; მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი კარლო ქართველიშვილი; ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის განყოფილების გამგე დალილა მუმლაძე, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი შოთა სამსონია; თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი მანანა ხარხელი; თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი გოდერძი მელაძე და მინერალოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელი ნათელა ჩხეტიანი.

**მოამზადა**
**შურთხია გეროშვილმა**

## ᲗᲡᲣ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲜᲭᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ

Ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოზიცია მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების სისტემაში გაუმჯობესდა. თსუ კავკასიის რეგიონშიც ლიდერია. Webometrics Ranking of World Universities-ის ახალი რანჟირებით, თსუ-მ მსოფლიოს 24 ათასამდე უნივერსიტეტს შორის 830-დან 734-ე ადგილზე, ევროპის უნივერსიტეტებს შორის 349-დან 324-ე ადგილზე გადაინაცვლა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველია საქართველოსა და კავკასიის რეგიონში, ხოლო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტებს შორის 30-ე ადგილზეა.

www.webometrics.info - ს რანჟირებით, კავკასიის რეგიონიდან სომხეთის საუკეთესო უნივერსიტეტი მხოლოდ 2314-ე ადგილს, აზერბაიჯანის საუკეთესო უნივერსიტეტი კი 4137-ე ადგილს იკავებს.

მსოფლიო უნივერსიტეტების ვებ-რანჟირება ევროპაში ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი ესპანური ორგანიზაცია Consejo Superior de Investigaciones Cientificas (CSIS)-ის ლაბორატორიის Cybernetrics Lab ინიციატივით ხორციელდება. ორგანიზაცია ესპანეთის მასშტაბით 126 ცენტრს და ინსტიტუტს აერთიანებს. უნივერსიტეტების რანჟირებისას ორგანიზაცია ითვალისწინებს სხვა ვებ-გვერდებიდან მინიშნების მაჩვენებელს (Google, Yahoo, Live Search, Exalead), უნივერსიტეტის ვებ-გვერდის შიგა გვერდების რაოდენობას, მასზე სრულყოფილი ტექსტების რაოდენობას, ვებ-გვერდზე განთავსებული სამეცნიერო სტატიების და მათი ციტირების რაოდენობას.

**რექტორის, აკადემიკოს ლადო პაპავას კომენტარი:**

— უნივერსიტეტი დაინტერესებულია, რომ რანჟირების ყველა სისტემაში მოხვდეს. ვებომეტრიქსის რანჟირებაზე რომ ვთქვათ, თითქოს უკვე რაღაც დიდ წარმატებას მივაღწიეთ, ასე ნამდვილად არ გახლავთ, მაგრამ ამ რანჟირების სისტემაში უკან რომ დაგვეხია, ხომ იქნებოდა სერიოზული კრიტიკა?! სხვა თუ არაფერი, დღეის მონაცემებით, უკან არ დაგვიხევია და წინ წავიწიეთ. ამიტომ, ვთვლი, რომ Webometrics Ranking of World Universities - Webometrics Ranking of World Universities კარგი ტენდენციის მაჩვენებელია, თუმცა ამბიცია გვაქვს, რომ უნივერსიტეტი გამოვაჩინოთ ტაიმსის და ტომსონის რეიტინგში და ამით კიდევ უფრო ცნობადი გავხადოთ იგი საერთაშორისო დონეზე.

# რამდენ სტუდენტს უფინანსებს სწავლას თსუ-ის „სწავლის ხელშეწყობის ფონდი“?

**თამარ დადიანი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 5 თებერვალს საქველმოქმედო ორგანიზაციის — „სწავლის ხელშეწყობის ფონდი“ — საზეიმო ღონისძიება გაიმართა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე საქველმოქმედო ორგანიზაცია — „სწავლის ხელშეწყობის ფონდი“ სულ ორიოდე წლის წინ შეიქმნა. ფონდის წევრთა, ასევე, ფიზიკური პირების, ბიზნეს-ორგანიზაციებისა და სხვა დაწესებულებების შემოწირულობებით ორგანიზაციამ უკვე 40-ზე მეტ სტუდენტს დაუფინანსა სწავლის საფასური, ხოლო 1 სტუდენტს ყოველთვიური სტიპენდიაც დაუნიშნა.

ფონდის დამფუძნებლები არიან: თსუ-ის პროფესორი, თბილისის მერი დავით ნარმანია, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორები: მანანა ხარხელი, ეკა ჩოხელი და თსუ-ის მაგისტრანტი სულხან მირცხულავა.

საზეიმო ღონისძიებაზე „სწავლის ხელშეწყობის ფონდის” ყველაზე აქტიურ მხარდამჭერებს – „ვისოლ ჯგუფის”, „ქართული ლუდის კომპანიის” და კომპანია „ახალი მთვარის” წარმომადგენლებს მადლობის სიგელები გადაეცათ.

თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას განცხადებით, მსოფლიო საუნივერსიტეტო სივრცეში ქველმოქმედება მიღებული ფორმაა და ის არც უნივერსიტეტელებისთვის იყო უცხო.

„სწავლის ხელშეწყობის ფონდის” არსებობა შეუძლებელი იქნებოდა მხოლოდ უნივერსიტეტის პროფესორების მხარდაჭერით და ამ კეთილშობილურ საქმეში გვერდით ბიზნეს-სექტორი დაგვიდგა. საქველმოქმედო ფონდის არსებობა ჩვენი ახალგაზრდებისთვის გარკვეული სტიმულის მიმცემია, რადგან იგი აძლევს შესაძლებლობას ნიჭიერ, მაგრამ ფინანსურად შეჭირვებულ სტუდენტს — სწავლა გააგრძელოს. საერთოდ, ქველმოქმედება გადამდებია და ვისურვებდი, რომ მსგავსი ფონდი უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტზეც იყოს. მადლობა ყველა იმ პირს და კომპანიას, რომელმაც თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანა ფონდის საქმიანობაში”, — აღნიშნა ვლადიმერ პაპავამ.

„ფონდის დაარსების იდეა, დაახლოებით, 2 წლის წინ გაგვიჩნდა. ჩვენი სურვილია, დავეხმაროთ იმ სტუდენტებს, რომლებიც კარგი აკადემიური მოსწრებით ხასიათდებიან, მაგრამ ხელმოკლეობის გამო ვერ იხდიან სწავლის საფასურს. ფონდის დაარსებიდან დღემდე უკვე 40-ზე მეტ სტუდენტს გავუწიეთ ფინანსური დახმარება. ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას მანამ, ვიდრე ყველა სტუდენტს, ვისაც ჩვენი გვერდში დგომა სჭირდება, არ დავეხმარებით“, — აღნიშნა თსუ-ის პროფესორმა, თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

„სწავლის ხელშეწყობის ფონდის“ მიზანია თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის სოციალური გარემოს ჩამოყალიბება, რაც უზრუნველყოფს განათლების მიღების ხელმისაწვდომობას ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერის გზით. არც ერთმა წარჩინებულმა და ნიჭიერმა სტუდენტმა უსახსრობის გამო უნივერსიტეტში სწავლა არ უნდა მიატოვოს. მალე დაფინანსების მესამე ეტაპი დაიწყება და ვფიქრობთ, რომ კიდევ 20-25 სტუდენტის დახმარებას შევძლებთ,“ — განაცხადა ფონდის დირექტორმა მანანა ხარხელმა, რომელმაც განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ქართული ლუდის კომპანიის „ზედაზენის“ დამფუძნებელს, ბატონ ცეზარ ჩოხელს სოლიდური მატერიალური დახმარებისათვის, კომპანია „ვისოლის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს სოსო ფხაკაძეს, კომპანია „ახალი მთვარის“ დამფუძნებელსა და დირექტორს რამინ დავითაძეს, კომპანია

„პსპ“ დამფუძნებელს კახა ოქრიაშვილს, ასევე „რესპუბლიკასა“ და „ლიბერთი“ ბანკებს და კომპანია „ნატახტარს“. მანანა ხარხელმა ასევე დიდი მადლობა გადაუხადა თსუ-ის რექტორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას იდეის მხარდაჭერისა და სისტემატიური, პირადი ფინანსური დახმარებისათვის; ღონისძიების ორგანიზატორს ვახტანგ ჭარაიას და ყველა იმ ადამიანს, ვინც საკუთარი წვლილი შეიტანა ამ კეთილშობილურ საქმეში. ფონდის დირექტორმა იმედი გამოთქვა, რომ დახმარების მსურველთა წრე მომავალში უფრო გაფართოვდება და ფონდის საქმიანობა კიდევ უფრო ეფექტური გახდება.

„სასიამოვნოა, რომ არსებობს „სწავლის ხელშეწყობის ფონდი“, რომელიც ეხმარება ისეთ სტუდენტებს, რომელთაც მოტივაცია აქვთ — კარგად ისწავლონ, მაგრამ არ გააჩნიათ სახსრები — სწავლის საფასური გადაიხადონ. ამ ფონდის დახმარებით კი სტუდენტი სწავლას აგრძელებს და უფრო მოტივირებული ხდება“, — განაცხადა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა ავთანდილ ბოლქვაძემ.

როგორც ფონდის დირექტორი მანანა ხარხელი აღნიშნავს, „ყველა გაჭირვებული სტუდენტი დაინტერესებულია, თავისი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს, პირობები გაიუმჯობესოს... ისინი მოტივირებულნი არიან — საუკეთესო სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ. და თუ ჩვენ ამას ხელი არ შევუწყვეთ, სულ გვექნება კადრების შიმშილი! გაუნათლებლობა აფერხებს ქვეყნის განვითარებას. უნიგნური ადამიანისთვის უცხოა იდეალები, პრინციპები, ღირებულებები და იგი ადვილად, გაუაზრებლად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ. ნიჭიერმა, მონდომებულმა ახალგაზრდებმა და ამ გარემოებებმა გადაგვაწყვეტინა სწორედ ამ ფონდის დაარსება. ეს ისეთი კარგი და მნიშვნელოვანი საქმეა, რომ საფაკულტეტო კი არა, საქვეყნო უნდა გახდეს! სასურველია, ყველამ გაიგოს ამ ფონდის არსებობის შესახებ, რათა უფრო მეტი სტუდენტის დახმარება შევძლოთ“, — აცხადებს მანანა ხარხელი და სურვილს გამოთქვამს, რომ ქველმოქმედებას, რომელიც ნიჭიერი ახალგაზრდების დახმარებას უზრუნველყოფს, საყოველთაო და სახალხო ხასიათი მიეცეს.

# ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო კონგრესი ლექსიკოგრაფიაში თბილისში გაიმართება

**ნატო ოგოლაძე**

ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის (EURALEX) მე-17 საერთაშორისო კონგრესი თბილისში გაიმართება. ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სამეცნიერო ფორუმი მიმდინარე წლის 6-10 სექტემბერს ჩატარდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კონგრესის პრესტიჟულობას, უპირველეს ყოვლისა, მისი მაღალი სამეცნიერო დონე განაპირობებს. ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის მე-17 საერთაშორისო კონგრესს თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრი მასპინძლობს, რომლის ხელმძღვანელი, პროფესორი თინათინ მარგალიტაძე, ამავე დროს, ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრია.

25 იანვარს თსუ-ში საერთაშორისო კონგრესის საპროგრამო კომიტეტის სხდომა გაიმართა. ამ მიზნით უნივერსიტეტს ესტუმრნენ ევროპელი მეცნიერები: ლარს ტრაპ-იენსენი, დანიური ენისა და ლიტერატურის საზოგადოება (დანია); პიუს ტენ ჰაკენი, ინსბრუკის უნივერსიტეტი (ავსტრია); ანდრეა აბელი, ბოლცანოს ევროპული აკადემია (იტალია); ჯენეტ დე ჩეზარისი, პომპეუ ფაბრას უნივერსიტეტი (ესპანეთი); სიმონ კრეკი, იოჟეფ სტეფანის ინსტიტუტი (სლოვენია).

„საპროგრამო კომიტეტის სხდომაზე იმ მოხსენებების გადარჩევა მიმდინარეობს, რომლითაც სექტემბერში ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის საერთაშორისო კონგრესზე წარდგებიან. ჩვენი მიზანია შევინარჩუნოთ კონგრესის მაღალი აკადემიური დონე და ეს მუშაობა სწორედ ამას ემსახურება“, — განაცხადა ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის პრეზიდენტმა ლარს ტრაპ-იენსენმა.

„სასიამოვნოა, რომ ჩვენს არეალში ევროპის სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოც მოექცა. ასოციაციისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ენობრივ მრავალფეროვნებას, ამდენად ჩვენს ენათა ტიპოლოგიაში ქართული ენის შემოსვლა მნიშვნელოვანია“, — აღნიშნა ესპანეთის პომპეუ ფაბრას უნივერსიტეტის პროფესორმა ჯენეტ დე ჩეზარისმა.

თინათინ მარგალიტაძე

ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის მე-17 საერთაშორისო კონგრესისთვის მზადება დაახლოებით 3 წლის წინ დაიწყო. თსუ-ის ლექსიკოგრაფიულმა ცენტრმა 35-გვერდიანი დოკუმენტი მოამზადა ასოციაციის დირექტორთა საბჭოსათვის, რომელშიც დეტალურად იყო ჩამოყალიბებული კონგრესის კონცეფცია, თემატიკა, დევიზი — ლექსიკოგრაფია და ლინგვისტური მრავალფეროვნება. ასევე, მოცემული იყო ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ, ლექსიკოგრაფიული ცენტრისა და მისი პუბლიკაციების შესახებ, ზოგადი ინფორმაცია საქართველოს თაობაზე და სხვა. თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრის შეთავაზებამ, ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, კონკურსში უპირატესობა მოიპოვა. შედეგად, საქართველო ევროკავშირის პირველი არაწევრი ქვეყანაა, სადაც ასოციაცია საერთაშორისო კონგრესს გამართავს. საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით, თბილისის კონგრესის ლოგოს დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის გამოსახულება ამშვენებს. მომზადდა სპეციალური ვებ-გვერდი euralex2016.tsu.ge, სადაც დაგეგმილი ღონისძიების შესახებ რეგულარულად თავსდება ამომწურავი ინფორმაცია.

„ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაცია 1983 წელს დაარსდა დიდ ბრიტანეთში, ექსეტერის უნივერსიტეტში პროფესორ რაინჰარდ ჰარტმანის ინიციატივით. ასოციაციის წევრი 1997 წლიდან ვარ. მეამაყება, რომ ამ ასოციაციის წევრი სწორედ პროფესორ რაინჰარდ ჰარტმანის მიწვევით გავხდი კემბრიჯის უნივერსიტეტში სტაჟირებაზე ყოფნის დროს. კონგრესის მაღალ სამეცნიერო დონეს კონგრესის ჩატარების კონცეფცია უზრუნველყოფს, რომელიც ასოციაციის დამფუძნებლებმა შეიმუშავეს გასული საუკუნის 80-იან წლებში და რომელშიც კონგრესისათვის მზადების ყოველი ეტაპი დეტალურადაა გაწერილი. კონგრესამდე ერთი წლით ადრე ვიღებთ, დაახლოებით, 6-8 გვერდის მოცულობის მოხსენებების გაფართოებულ თეზისებს. თითოეული ნაშრომი ორ ანონიმურ რეცენზენტთან იგზავნება და შეფასებების მიხედვით ხდება ნაშრომების გადარჩევა. მე-17 საერთაშორისო კონგრესისთვის, დაახლოებით, 150 მოხსენება მივიღეთ, აქედან გადავარჩიეთ 115 ნაშრომი. სწორედ ახლა მოხსენებებზე მუშაობის ბოლო ეტაპზე ვართ — ავტორებს ვუგზავნით რეცენზენტების შენიშვნებს, რომელთა მიხედვით დაიწერება კონგრესის კრებულში გამოსაქვეყნებელი მოხსენებების ბოლო ვერსიები. კონგრესის მოხსენებების სრული კრებული გამოქვეყნდება კონგრესის გახსნამდე ერთი კვირით ადრე. კონგრესის თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია: ლექსიკოგრაფია და კორპუსული ლინგვისტიკა, ლექსიკოგრაფია და სემანტიკური თეორია, ლექსიკოგრაფია და ენობრივი ტექნოლოგიები, ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევა, ლექსიკონის შექმნის პროცესი, ეტიმოლოგია და ისტორიული ლექსიკოგრაფია, ლექსიკოგრაფიისა და კორპუსული ლინგვისტიკის მდგომარეობა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში და სხვა. უკვე, შეიძლება ითქვას, რომ კონგრესისათვის წარმოდგენილი მოხსენებები საკმაოდ მაღალი სამეცნიერო დონისაა. სასიხარულოა, რომ კონგრესში მონაწილეობენ დოქტორანტებიც. ასოციაცია გეგმავს მომავალში საუკეთესო მოხსენებების ახალგაზრდა ავტორებს სპეციალური სტიპენდიაც დაუნიშნოს წასახალისებლად“, — განაცხადა ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრმა, თსუ-ის პროფესორმა თინათინ მარგალიტაძემ.

ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის მე-17 საერთაშორისო კონგრესი 6 სექტემბერს გაიხსნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ორგანიზატორების განცხადებით, აღნიშნული ღონისძიება არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენაცაა. სწორედ ამიტომ, კონგრესის ქართველმა ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს — საზეიმო მიღება შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართონ, სადაც დაგეგმილია მოკლე მოხსენება შოთა რუსთაველისა და მისი როლის შესახებ ქართული კულტურის ისტორიაში.

კონგრესს საკმაოდ შთამბეჭდავი გეოგრაფია აქვს — კონგრესის 200-მდე ავტორი მსოფლიოს 50 ქვეყნის წარმომადგენელია.

ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის მე-17 საერთაშორისო კონგრესს ლექსიკოგრაფიაში ბრიტანული ფონდი „ჰორნბი“ და ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა გაუწევს სპონსორობას. გახსნის ცერემონიაზე ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა კონგრესის მონაწილეებს მსოფლიო ენების ონლაინ-ლექსიკონების ახალ პროექტსაც წარუდგენს. საქართველოდან კონგრესს თი-ბი-სი ბანკი დააფინანსებს. ბანკი კონგრესის მონაწილეებს სპეციალურ სუვენირებს დაუმზადებს ქართული ანბანის თემაზე. თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრი მხარდაჭერისთვის თბილისის მერიასაც მიმართავს.

## ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ

# ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ „ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ“

*„ფაქტები და კომენტარები განსაკუთრებით მათთვის, ვისაც „არ ჯერა". ფაქტი კი სახეზეა: თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს ლადო პაპავას მიერ 2015 წლის მეცნიერების წლად გამოცხადებამ და შესაბამისმა ინიციატივებმა — თსუ-ში მინიმალური სამეცნიერო სტანდარტის შემოღებამ (პროფესურისთვის სავალდებულო გახდა პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად სამეცნიერო მუშაობაც) და უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან თითოეული ფაკულტეტისთვის მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების დასაფინანსებლად გარკვეული თანხების გამოყოფამ (ეს იმ პირობებში, როდესაც თსუ ჯერ კიდევ სტუდენტის მიერ შემოტანილი ფულით სულდგმულობს და არაფერი ისმის უნივერსიტეტის საბაზისო დაფინანსებაზე მთავრობის მხრიდან) 2016 წლისთვის შედეგი უკვე გამოიღო. სახეზე გვაქვს ის სამეცნიერო პროდუქტი, რომლებზეც თსუ-ის ფაკულტეტებიდან კონკურსის წესით გამარჯვებულმა პროფესორებმა და მათ მიერ სამეცნიერო მუშაობაში ჩართულმა დოქტორანტებმა, მაგისტრანტებმა თუ ბაკალავრებმა შექმნეს. სწორედ ამ სამეცნიერო პროექტების პრეზენტაციების ციკლი დაიწყო უნივერსიტეტში და თავად საუნივერსიტეტო საზოგადოებასა და მეცნიერების განვითარებით დაინტერესებულ ყველა პირს შესაძლებლობა აქვს — უფრო სიღრმისეულად გაეცნოს ამ პროექტებს და გამოიტანოს დასკვნა ამ ნამუშევრების მნიშვნელობაზე.*

*2016 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველად დაფინანსდა მიზნობრივი სამეცნიერო პროექტები, რომელთა განხორციელებისთვისაც თითოეულ ფაკულტეტს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან 75 ათასი ლარი გამოეყო. დეკემბრის თვეში ყველა პროექტი დასრულდა. ამ ეტაპზე ფაკულტეტები პროექტების პრეზენტაციებს მართავენ.*

*22 იანვარს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით, მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შედეგების პრეზენტაცია გაიმართა.*

*პროგრამის ფარგლებში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დაფინანსდა ექვსი სამეცნიერო–კვლევითი პროექტი:*

1. *გარემოსდაცვითი სოციალური მოძრაობები საქართველოში – ხელმძღვანელი:* ***სალომე დუნდუა****, ასოცირებული პროფესორი;*
2. *თანამედროვე ქართული საზოგადოების ცხოვრების წესი და განვითარების პერსპექტივა – ხელმძღვანელი:* ***ნინო დურგლიშვილი****, ასოცირებული პროფესორი;*
3. *თბილისის ურბანული განვითარების სივრცითი ასპექტები: მობილობის გავლენა სოციალური გარემოს ცვლილებაზე – ხელმძღვანელი:* ***გიორგი გოგსაძე****, პროფესორი;*
4. *თურქეთის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის იდენტობა და მათი ეკონომიკურ-კულტურული ინტერესები საქართველოსთან მიმართებით (ქალაქ კურგანის და მისი შემოგარენის ქართული დიასპორას მაგალითზე) – ხელმძღვანელი:* ***მალხაზ მაცაბერიძე****, პროფესორი;*
5. *ეუთოს მისიების ანატომია საქართველოსა და უკრაინაში: შედარებითი ანალიზი – ხელმძღვანელი:* ***სერგი კაპანაძე****, ასოცირებული პროფესორი;*
6. *1918-1921 წლების ქართული პლურალისტული მედიის ძირითადი სტრატეგიები – ხელმძღვანელი:* ***მანანა შამილიშვილი****, ასოცირებული პროფესორი.*

### „ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ“

საგრანტო პროექტში მონაწილეობდნენ: სალომე დუნდუა (ხელმძღვანელი), თამარ ქარაია (დოქტორანტი), ეკა დარბაიძე (დოქტორანტი), ქეთი მურუსიძე (დოქტორანტი), ნიკა ჩერქეზია და გიორგი მუნჯიშვილი (ბაკალავრები).

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲓᲣᲜᲓᲣᲐ:

— ჩვენი საკვლევი თემა გახლდათ „გარემოსდაცვითი სოციალური მოძრაობა საქართველოში". კვლევის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა გარემოსდაცვითი სამოქალაქო აქტივიზმის, როგორც არაძალადობრივი სოციალური მოძრაობის მაგალითის შესწავლა და განსაზღვრა იმისა, თუ რა თავისებურებებით გამოირჩევა მოცემულ საკვლევ თემად შერჩეული შემთხვევა (ხუდონჰესის განხილვა).

საგრანტო პროექტის ფარგლებში, განვახორციელეთ შემდეგი სამუშაოები:

1. დამუშავდა საკვლევ თემატიკასთან კავშირში მყოფი თეორიული მასალა და მომზადდა საკვლევი თეორიული ჩარჩო;

2. დამუშავდა მთელი საკვლევი პერიოდის - 1985-2015 წლების პერიოდული გამოცემები (გაზეთები), ასევე, დამუშავდა ინტერნეტ გვერდებზე დაბეჭდილი მასალები (კერძოდ, ინტერნეტ ჟურნალები და გაზეთები);

3. ჩატარდა კვლევის პროცესში დაგეგმილი თვისებრივი კვლევა. ამ მიზნით, პროექტის მონაწილეები: გიორგი მუნჯიშვილი და ნიკა ჩერქეზია 4 აგვისტოდან 9 აგვისტოს ჩათვლით იმყოფებოდნენ მესტიის რაიონის დაბა ხაიშში, სადაც კვლევის ფარგლებში დაგეგმილი სიღრმისეული ინტერვიუები აიღეს 15 ადგილობრივ მოსახლესთან. ასევე, გამოკითხეს ადგილობრივი ხელისუფლების 2 წარმომადგენელი.

4. დამუშავდა და შეისწავლეს პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები გარემოსდაცვითი თემატიკის შესწავლის კუთხით (1992-2012 წლები). ასევე, საპრეზიდენტო კანდიდატების პროგრამები.

5. კვლევის პროცესში გაკეთდა სიღრმისეული ინტერვიუები გარემოსდაცვით თემაზე მომუშავე ექსპერტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აქტივისტებთან. ასევე, გამოიკითხა ხელისუფლების წარმომადგენელი (რომელიც ამჟამად თანამდებობაზე აღარ იმყოფება).

მოპოვებული მასალის გაანალიზების და დამუშავების შედეგად მზადდება სამეცნიერო სტატია, რომელიც დაიბეჭდება რეფერირებად ჟურნალში.

### ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ

გვესაუბრება პროექტის ხელმძღვანელი, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი ᲜᲘᲜᲝ ᲓᲣᲠᲒᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

— პროექტის ძირითად იდეას წარმოადგენდა ისეთი მულტიდისციპლინური და ფართომასშტაბიანი კვლევის განხორციელება, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობდა ფაკულტეტზე მიმართულებათშორისი სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების ინტეგრირებასა და კავშირების განვითარებას, როგორც აკადემიურ პერსონალს, ისე სტუდენტებს შორის, მეორე მხრივ, კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, მოგვცემდა ფინანსების ოპტიმალურად გამოყენების საშუალებას - ერთი და იგივე კვლევის ფარგლებში შეიქმნებოდა რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი იდეის რეალიზების საშუალება, არა ერთი, არამედ რამდენიმე სტატიის მომზადების შესაძლებლობა.

სწორედ ამიტომ, კვლევის ძირითად მეთოდად შეირჩა რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკითხვა, რომელშიც ინტეგრირდა სოციოლოგიის, საზოგადოებრივი გეოგრაფიის, სოციალური მედიის, პოლიტოლოგიის, დემოგრაფიის, მიგრაციის პროცესების, სოციალური დაცვის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართა ინტერესები.

შერჩევის მოცულობა შეადგენდა 1050 რესპონდენტს. გამოკითხვა ჩატარდა საქართველოს მასშტაბით, სტარტიფიცირებული კლასტერული შერჩევის საფუძველზე.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: მოძიებულ იქნა სამეცნიერო ლიტერატურა და ანგარიშები; გაანალიზდა სათანადო დოკუმენტები; შემუშავდა კვლევის ინსტრუმენტები; შეიქმნა შერჩევის დიზაინი; მოხდა კვლევის ინსტრუმენტის პილოტირება; მომზადდა საველე სამუშაოები; ტრენინგები ჩაუტარდათ ინტერვიუერ სტუდენტებს.

მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ განხორციელდა საველე სამუშაოები: ჩატარდა ველის მონიტორინგი, კითხვარების ლოგიკური კონტროლი და კოდირება; მომზადდა მონაცემთა ბაზები, გაკეთდა სტატისტიკური და სოციოლოგიური ანალიზი. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სამეცნიერო სტატიებზე.

პროექტში სხვადასხვა მიმართულების 7 პროფესორი და 28 სტუდენტი მონაწილეობდა (თსუ-ის სრული პროფესორი ამირან ბერძენიშვილი; ასოცირებული პროფესორები: ნინო დურგლიშვილი (პროექტის ხელმძღვანელი), მარინა ბურძენიძე, ნათელა დონაძე, თამარ დოლბაია; ასისტენტ-პროფესორები: შორენა თურქიაშვილი, თეონა მატარაძე; დოქტორანტები: მარინა ქევხიშვილი, ილონა გოგია, ნინო ამონაშვილი, გიორგი ლეკვეიშვილი, ჯაბა უროტაძე; მაგისტრანტები: თემურ გუგუშვილი, თეკლა ჯამრულიძე, გვანცა სალუქვაძე, გიორგი ლოლაშვილი; ასევე 19 ბაკალავრიატის სტუდენტი).

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტში მონაწილე არცერთ პროფესორს ანაზღაურება არ აუღია, რათა მაქსიმალურად შეწყობოდა ხელი სტუდენტთა მოტივაციის ამაღლებას.

სტუდენტები, მათი კომპეტენციის შესაბამისად, ჩართულნი იყვნენ პროექტის განხორციელების ყველა დონეზე. განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა თითოეულ მათგანს — გამოკითხვა კვლევის ყველა სტანდარტის, მათ შორის, კვლევის ეთიკის მოთხოვნების მაქსიმალური დაცვით წარიმართა. გაზომვები შესრულდა მაღალ დონეზე, რაც, მონიტორინგის გარდა, კვლევის შედეგად მიღებული დემოგრაფიული მონაცემების საქსტატის მაჩვენებლებთან შედარებითაც დასტურდება.

სტუდენტთა შორის განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო თემურ გუგუშვილის, გვანცა სალუქვაძის, თეკლა ჯამრულიძის, ჯაბა უროტაძის, გიორგი ლეკვეიშვილის წვლილი, რომლებმაც, საპროექტო წინადადებით გათვალისწინებული აქტივობების გარდა, პირადი ინიციატივით მონაწილეობა მიიღეს სხვა აქტივობებშიც. გარდა ამისა, ისინი პროექტში ჩართულები არიან როგორც მკვლევრები. მათ უკვე წარმოადგინეს პრეზენტაციები, ამჟამად კი განაგრძობენ მუშაობას სტატიების მოსამზადებლად.

პროექტის კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი მიზანი — თანამედროვე ქართული საზოგადოების ცხოვრების წესისა და განვითარების პერსპექტივის კვლევა — შეირჩა იქიდან გამომდინარე, რომ ცხოვრების წესი, როგორც ზოგადი სოციალური კატეგორია — ობიექტური და სუბიექტური ასპექტების სისტემა — კვლევის პროცესში მაქსიმალურად ფართო სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების ინტეგრირების საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, მართალია, პოსტსაბჭოური პერიოდის საქართველოში ცხოვრების წესის ცალკეული ასპექტების კვლევები მიმდინარეობს, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ხორციელდება და მათ ორგანიზებას, ძირითადად, არასამეცნიერო ორგანიზაციები ახდენენ.

კვლევის ძირითადი სამეცნიერო ღირებულება და სიახლე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საფუძველი ჩაეყარა ცხოვრების წესის, როგორც სისტემის, საქართველოს სინამდვილესთან ადაპტირებული კვლევის კომპლექსური მეთოდოლოგიის შემუშავებასა და უნივერსიტეტის ფარგლებში მის პერმანენტულ, გეგმაზომიერ სამეცნიერო კვლევას.

### ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲠᲑᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲕᲠᲪᲘᲗᲘ ᲐᲡ�პᲔᲥᲢᲔᲑᲘ: ᲛᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲖᲔ



*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების ფარგლებში, საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის მიერ წარდგენილი კვლევის ამოცანა თბილისის მოსახლეობის სოციალური და საცხოვრებელი კარიერის, საცხოვრისის მდგომარეობის და რესპონდენტების მიერ საცხოვრებელი გარემოს აღქმის შესწავლა გახლდათ. ამ მიზნით, კვლევის ჯგუფმა თბილისის მასშტაბით, 5 მაკრორეგიონზე განზოგადებადი მასობრივი გამოკითხვა ჩაატარა.*

*გვესაუბრება პროექტის ხელმძღვანელი, თსუ-ის პროფესორი* ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲝᲒᲡᲐᲫᲔ:

— დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდის ტურბულენტური ცვლილებები საქართველოს და, კერძოდ, თბილისის მოსახლეობის ცხოვრების ყველა ასპექტს შეეხო. მიუხედავად ამისა, ქალაქში სოციალური და საცხოვრებელი მობილობის პოსტსაბჭოთა თავისებურებები საფუძვლიანად არ გახლავთ გამოკვლეული.

არაპირდაპირი ემპირიული მასალის (მაგ. მოსახლეობის აღწერა, მასობრივი გამოკითხვის შედეგები) მიხედვით, საფიქრე-

ᲒᲔ-8 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

# მეცნიერება უნივერსიტეტში „ამუშავდა“

**მეშვიდე გვერდიდან**

ბელია, რომ ქალაქის მცხოვრებთა სოციალურ და საცხოვრებელ კარიერებზე როგორც ეკონომიკური ურთიერთობების ტიპის ცვლილებამ, ასევე აქტიურმა საშინაო და საგარეო მიგრაციამ მოახდინა გავლენა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია პოსტსაბჭოთა პერიოდში სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის ზრდა და/ან მისი სივრცითი გამოხატვის ცვლილებები.

კვლევა განხორციელდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებაზე. საპროექტო გუნდი: გიორგი გოგსაძე – პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი; დავით სიჭინავა – დოქტორანტი, უფროსი მკვლევარი; დავით სიდამონიძე და ლიკა ჟვანია – მაგისტრანტები, მკვლევრები.

თბილისის მოსახლეობის საცხოვრისის და გეოგრაფიული მობილობის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ თბილისში დღეს მყოფი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი 1990 წლისთვის უკვე დედაქალაქში ცხოვრობდა. მობილობის თვალსაზრისით, შესამჩნევია, რომ ცენტრალური/შედარებით „პრესტიჟული“ უბნების მცხოვრებლები ნაკლებად იცვლიან საცხოვრებელს და, შეცვლის შემთხვევაში, ცდილობენ, რომ მსგავსი სტატუსის მქონე არეალებში იცხოვრონ. ნაკლებად პრესტიჟული უბნების მცხოვრებლებისთვის კი პრიორიტეტს უფრო „პრესტიჟულ“ უბნებში გადასვლა წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე საქართველოს სხვადასხვა მხარიდან დედაქალაქში ჩამოსულ ადამიანებს, საცხოვრებელი უბნის მხრივ, გამოკვეთილი პრეფერენცია არ გააჩნიათ.

მასობრივი გამოკითხვის ექსპერიმენტის მეშვეობით, კვლევის გუნდმა შეაფასა თბილისის მოსახლეობის საცხოვრებელი პრეფერენციების თავისებურებები. აღმოჩნდა, რომ ხშირ შემთხვევაში, რესპონდენტებისთვის მნიშვნელოვანია არა შენობის ფიზიკური მდგომარეობა, არამედ მისი მდებარეობა.

და ბოლოს, საცხოვრისის ხარისხის ობიექტური მაჩვენებლების (ერთ სულ მოსახლეზე საცხოვრებელი ფართობი და საცხოვრისში არსებული სერვისების ინდექსი) მიხედვით, განსხვავება გამოიკვეთა ცენტრალურ (ვაკე-საბურთალოს) და სხვა რაიონებს შორის.

## ყურღანის ქართული დიასპორას იდენტობის საკითხები

*პროექტის სახელწოდებაა „თურქეთის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის იდენტობა და მათი ეკონომიკურ-კულტურული ინტერესები საქართველოსთან მიმართებით (ქალაქ ყურღანის და მისი შემოგარენის ქართული დიასპორას მაგალითზე)“.*

*რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ რუსეთის იმპერიის ხელში გადავიდა საქართველოს კიდევ ერთი ისტორიული კუთხე — ბათუმის ოლქი. ამ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მუსლიმი ქართველების ნაწილმა გადაწყვიტა ოსმალეთის ტერიტორიაზე გადასახლება. თურქეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერის ფევზი ჩელების (ჩელებაძე) თანახმად, „ამ მიწებიდან ოსმალეთმა სულ მცირე ნახევარი მილიონი ადამიანი შეიფარა. გადასახლების მთავარი მიზეზი იყო პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლა, რომელსაც მუსლიმან ქართველებზე ახორციელებდნენ“.*

*რუსეთსა და თურქეთს შორის 1879 წლის 27 იანვარს სტამბოლში ხელმოწერილი შეთანხმებით, 1879 წლის 3 თებერვალს ოფიციალურად დაიწყო გადასახლების პროცესი, რაც წლების მანძილზე გაგრძელდა. XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ფათსას გარშემო 35 სოფელი იყო, სადაც სულ ქართველები ცხოვრობდნენ. მთლიანად ორდუს ვილაიეთში კი ასამდე ქართული სოფელი იყო. ფათსას გარშემო ქართულ სოფლებში, ძირითადად, ქობულეთიდან გადასახლებულები ცხოვრობენ, ანუ, როგორც თვითონ ამბობენ, ჩურუქსუელები.*

*დღეისათვის ყურღანსა და მის მიმდებარე ოთხ სოფელში — იაზლიკი, სარალიჩი, იესილალანი და ტეპელანი (yazlık, saralıç, Yeşilalan, tepelân, korgan), მთლიანობაში 5 ათასამდე ეთნიკურად ქართველი ცხოვრობს. ამ ციფრს ასახელებენ თავად აღნიშნული დიასპორას წარმომადგენლები.*

*კვლევის მიზანი იყო ყურღანის ქართული დიასპორას ეთნიკური იდენტობის კვლევა, მათი ეკონომიკური და კულტურული ინტერესების გამოვლენა და მის საფუძველზე ისტორიულ სამშობლოსთან კონტაქტების გაზრდის შესაძლებლობების განსაზღვრა.*

*კვლევა განხორციელდა 2015 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური პროექტების ფარგლებში, რის საფუძველზეც კვლევითი ჯგუფი — თსუ-ის პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე და დოქტორანტები: ლადო ნაფეტვარიძე და თინა ცხოვრებაძე 2015 წლის 29 ივნისიდან 2 ივლისს ჩათვლით იმყოფებოდნენ ქალაქ ყურღანში.*

*პროექტის შესახებ გვესაუბრება მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელი თსუ-ის პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე:*

**ყურღანის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ორმაგი იდენტობა**

ყურღანის ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას ორმაგი იდენტობა გააჩნია. ისინი თურქეთის მოქალაქეები არიან და ამ ადამიანებში დომინირებს თურქული იდენტობა. რაც შეეხება ქართულ იდენტობას, ის მეორადი და თანაც ქრობადი ხასიათისაა.

რაში ვლინდება დომინირებული თურქული იდენტობა? ეს ადამიანები სრულად არიან ინტეგრირებულნი თურქულ სამყაროში. არ გააჩნიათ პრობლემა ადგილობრივ თურქულ მოსახლეობასთან თუ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში, ეთნიკური ქართველები და თურქები ერთი და იგივე რელიგიური აღმსარებლობის — მუსლიმი-სუნიტები არიან; ამასთან ეთნიკური ქართველები ცდილობენ იყვნენ „სანიმუშონი“ ქცევასა და რელიგიური ტრადიციების დაცვაში.

### ქართული იდენტობის ელემენტები

თურქეთის მოქალაქის იდენტობასთან ერთად, ყურღანში მაცხოვრებელი ეთნიკურად ქართული წარმომავლობის მოსახლეობა თავს მიჯნავს მეზობლად მცხოვრები თურქებისაგან. ასევე ყურღანელი ქართველები ამაყობენ თურქეთის ხელისუფლებაში მყოფი ან თურქეთში ცნობილი იმ ადამიანებით, რომელთაც ეთნიკურად ქართული წარმომავლობა აქვთ.

ყურღანის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ქართულ იდენტობას დღეს აყალიბებს რამდენიმე ძირითადი ელემენტი:

- დიასპორული ისტორიული მეხსიერება;
- გვარი;
- ქართული ენა;
- „გარეგნული გამორჩევა“.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ДИАСПОРУЛИ ИСТОРИУЛИ МЕХСИЕРЕБА. ყურღანელმა ქართველებმა არ იციან საქართველოს ისტორია. მათი ისტორიული მეხსიერება, რეალურად, დიასპორული ხასიათისაა. ყურღანელმა ქართველებმა იციან, რომ „ბათუმიდან არიან გამოსული“; ნაწილს ახსოვს ოჯახური ისტორიები ყურღანში გადმოსახლების შესახებ; უნდათ დიასპორული მეხსიერების შენარჩუნება, თუმცა ყურღანის ქართული დიასპორას ისტორია არავის დაუწერია. არსებობს ყურღანში ქართული დიასპორას ეთნოგრაფიული მუზეუმის შექმნის სურვილიც (ამის კონკრეტული გეგმა აქვს ყურღანის მკვიდრს, ადგილობრივ ბიზნესმენს ალი ქათამიძეს. ბატონი ალი დაინტერესებულია ისტორიით და სახლში პატარა ეთნოგრაფიული კუთხე აქვს მოწყობილი).

ГВАРИ, РОГОРЦ ИДЕНТОБИС ФАКТОРИ. ყურღანის ეთნიკურად ქართული დიასპორას წარმომადგენლებს აქვთ თურქული სახელები და გვარები, მაგრამ მათ, როგორც წესი, ახსოვთ თავიანთი ქართული გვარებიც, თუმცა ბევრი გვარის დაბოლოებას ვერ ამბობს — მაგალითად, გეტყვის, რომ არის „ჯინჭარ-ოღლი“, „ნაცარ-ოღლი“. როცა ეტყვი, რომ არის ჯინჭარაძე ან ნაცარაშვილი, გეთანხმება, რომ ესაა მისი გვარი. მეორე ნაწილი ქართულ გვარს სწორად ამბობს. ყურღანელ ქართველთა გვარებია: ქათამაძე, ჯინჭარაძე, ნაცარაშვილი, ნოღაიდელი, პაპუნაიშვილი, რომანიძე, მიქელაძე, ანანიძე და სხვა. გამოკითხულთა დიდი ნაწილი სურვილს გამოთქვამს — გაიცნოს და კონტაქტი დაამყაროს საქართველოში დარჩენილ თავისი გვარის ადამიანებთან.

ქართული ენა. ყურღანელი ქართველებისთვის ქართული ენა ქართული იდენტობის შენარჩუნების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. საერთო სურათი შემდეგია: ქართული საუბარი ყურღანში მაცხოვრებელი ეთნიკურად ქართული მოსახლეობის უმრავლესობას ესმის. უფროსი ასაკის ადამიანებმა ქართული იციან და ქართულად მეტ-ნაკლებად ლაპარაკობენ. ახალგაზრდა თაობის მნიშვნელოვან ნაწილს უჭირს ქართულად ლაპარაკი, ბავშვებში კი ბევრია ისეთი, რომელიც ქართულად არ ლაპარაკობს და არც ესმის.

ენის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ის შესაძლებლობა, რაც თურქეთის მთავრობის გადაწყვეტილებით გაჩნდა. 2014 წლის სექტემბერში თურქეთის განათლების სამინისტრომ სკოლებში ქართული ენის სწავლების პროგრამა დაამტკიცა. თუკი ეთნიკური უმცირესობის ათი წარმომადგენელი სკოლაში მოინდომებს თავისი ენის შესწავლას, მათ მისცემენ ამის საშუალებას, მაგრამ გარდა ტექნიკური ხასიათის საკითხებისა (სახელმძღვანელოები, მასწავლებლები), არის სუბიექტური მხარეც. ზოგიერთი ყურღანელი ქართველის განცხადებით, ასეთი პროგრამა იმუშავებს თურქეთის დიდ ქალაქებში...

გარეგნული გამორჩევა. ყურღანელი ქართველები ამბობენ, რომ ერთმანეთს „იერით ცნობენ“ და გარეგნულად განსხვავდებიან მეზობლად მცხოვრები არაქართველი მოსახლეობისაგან. კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპოდენტები აცხადებდნენ, რომ გარეგნობით ცნობენ ქართველს, რადგან მათი აზრით, თუ ადამიანს ან დედა ან მამა ქართველი ჰყავს, „ქართული იერი“ დაჰკრავს.

საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილი. ყურღანში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებში ქართული იდენტობის არსებობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბევრი მათგანი მონადინებულია, მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა. ლაპარაკია ორმაგ მოქალაქეობაზე. 2012 წელს საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თურქეთის ბევრ მკვიდრს მისცა საქართველოს მოქალაქეობა, მათი დიდი ნაწილი ეთნიკურად ქართველი იყო, თუმცა იყვნენ თურქებიც. საქართველოს მოქალაქეობის მიღებას ყურღანის ქართველობის ნაწილიც ელოდა და შესაბამისი თხოვნაც ჰქონდა სააკაშვილის სახელზე გამზადებული, მაგრამ უშედეგოდ. რამდენიმე რესპონდენტმა გვაჩვენა საქართველოს მოქალაქის მოწმობა, დანარჩენები კი, რომელთაც ვერ მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა, აღნიშნავდნენ, რომ ეს გარემოება მათ ხელს უშლით საქართველოსთან კავშირების დამყარებაში.

### კავშირები საქართველოსთან: პრობლემები და პერსპექტივები

КАВШИРЕБИС ШЕМАФЕРХЕБЕЛИ ФАКТОРЕБИ. დიდი ხნის განმავლობაში თურქეთში გადასახლებული ქართველები იზოლირებული იყვნენ საქართველოსგან. რუსეთის იმპერიის და, მით უმეტეს, საბჭოთა კავშირის არსებობის დროს მათ კავშირი ისტორიულ სამშობლოსთან ფაქტობრივად არ ჰქონდათ. „საქართველოსგან იზოლაციის“ პერიოდი, დაახლოებით, 120 წელი გაგრძელდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და თურქეთ-საქართველოს საზღვრის გახსნის შემდეგ უმთავრესი ბარიერები კომუნიკაციისთვის მოხსნილია, მაგრამ ხანგრძლივმა იზოლაციამ თავისი კვალი დატოვა.

ყურღანში გამოკითხულთა უმრავლესობა არასდროს ყოფილა საქართველოში, ხოლო იმ ადამიანების ნაწილი, რომლებმაც გადმოკვეთეს საზღვარი, ბათუმს არ გასცილებია.

ყურღანის ქართულ დიასპორაში საგრძნობია ინფორმაციის ნაკლებობა საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ: მაგალითად, არ იციან როგორია პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა; რა რელიგიის მატარებელია საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილი და სხვა.

ყურღანელი ქართველობისთვის მისაწვდომია ქართული სატელევიზიო არხები: მაგალითად, აჭარის ტელევიზია, მაგრამ ქართულ გადაცემებს ნაკლებად უყურებენ.

ყურღანში მაცხოვრებელ ახალგაზრდა თაობას აქვს წვდომა ინტერნეტთან, მათ შორის, ისეთ სოციალურ ქსელებთან, როგორიცაა: Facebook, Google და ა.შ. გამომდინარე აქედან, მათ შეუძლიათ, მიიღონ ინფორმაცია საქართველოს შესახებ და დაამყარონ კომუნიკაცია საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებთან, თუმცა ამ მიმართულებითაც იკვეთება სერიოზული პრობლემები. ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორი, რაც ართულებს თუნდაც ინტერნეტით კომუნიკაციას, არის ენობრივი ბარიერი.

საქართველოსადმი ინტერესის განსხვავებული ასპექტები. კვლევაში მონაწილე რესპონდენტები შეიძლება დაიყოს 4 სხვადასხვა ჯგუფად: რიგითი მოქალაქეები, ახალგაზრდები/სტუდენტები, ბიზნესმენები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ყოველ მათგანს სხვადასხვა დამოკიდებულება და ინტერესი გააჩნია საქართველოს მიმართ. მაგალითად, რიგითი მოქალაქეების ინტერესის სფეროს წარმოადგენდა საქართველოში მაცხოვრებელი მათი შორეული ნათესავების მოძიება და კონტაქტის დამყარება; ახალგაზრდობის ნაწილს აინტერესებდა იმის გარკვევა, შესაძლებელია თუ არა საქართველოში სწავლის გაგრძელება; ბიზნესმენებისთვის საინტერესოა საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და კონკრეტული ბიზნეს-სექტორები; რაც შეეხება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისინი იმედოვნებენ საქართველოდან ტურისტების ჩასვლას და ეკონომიკური კავშირების განვითარებას, ამიტომ მკვლევართა ჯგუფის მიმართ კეთილგანწყობილნი იყვნენ და ხელს უწყობდნენ მათ მუშაობაში. ადგილობრივ ხელისუფლებაში დასაქმებული ეთნიკური ქართველები აქტიურად ჩაერთვნენ კვლევის პროცესში, მათი მონაწილეობა არ შემოიფარგლა მხოლოდ რესპონდენტობით. კვლევით ჯგუფს მათ სერიოზული დახმარება გაუწიეს, მოახდინეს რა ქართველებით დასახლებულ სხვადასხვა სოფლებში მაცხოვრებლების შეკრების ორგანიზება.

### დასკვნა

ყურღანის ეთნიკურად ქართულ მოსახლეობას, მეორადი იდენტობის სახით, შენარჩუნებული აქვს ქართული იდენტობის ძირითადი ელემენტები. საქართველოსთან კონტაქტების გაფართოების შემთხვევაში, შესაძლებელია ქართული იდენტობის შენარჩუნება-განმტკიცება. ყურღანის ქართული დიასპორას კონტაქტების გაზრდა ისტორიულ სამშობლოსთან ხელს შეუწყობს საქართველო-თურქეთის ურთიერთობების გაღრმავებას.

მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციების შემუშავება:

მე-9 გვერდზე

## ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ

# ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ „ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ“

**მერვე გვერდიდან**

1. ისტორიული მეხსიერების შენარჩუნების მიზნით კარგი იქნება ქართველი ისტორიკოსების მიერ მოკლედ დაიწეროს აჭარიდან მუჰაჯირობის ისტორია და გამოიცეს ქართულ და თურქულ ენებზე. ასევე ყურღანის ქართულ დიასპორაში შეიკრიბოს და გამოიცეს ოჯახური გადმოცემები დიასპორას ისტორიასთან დაკავშირებით;

2. ორდუს ოლქისა და ქალაქ ყურღანის ადმინისტრაციასთან კონტაქტების დამყარება შემდგომი ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, როგორც ტურისტული, ასევე, ეკონომიკური და საგანმანათლებლო კუთხით.

3. ყურღანის ადმინისტრაციასთან კავშირში დახმარება გაეწიოს ქართული ეთნოგრაფიული ცენტრის შექმნას, რისი სურვილიც არსებობს ყურღანის ქართულ დიასპორაში;

4. საზაფხულო სკოლების ორგანიზება თბილისში ან ბათუმში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ყურღანში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდები და, სურვილის შემთხვევაში, თურქებიც.

5. კონტაქტების გაძლიერება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მხრიდან, ანუ იმ რეგიონიდან, საიდანაც გადასახლებულებმა შექმნეს ყურღანის ქართული დიასპორა. როგორც უკვე ითქვა, ყურღანის ქართულ დიასპორაში არსებობს საქართველოში თავისი გვარის წარმომადგენელთა გაცნობის სურვილი. ამის ორგანიზება კი სწორედ იმ რეგიონიდან შეიძლება მოხდეს, საიდანაც გადასახლდნენ მათი წინაპრები.

6. უფასო ადგილების (1–2) გამოყოფა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ყურღანელი ახალგაზრდებისთვის ენის კურსების გავლით. შეიძლება უფრო პერსპექტიული იყოს ამის გაკეთება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ეს ხელს შეუწყობს ქართული ენის სწავლის წახალისებას და მომავალი მასწავლებლების აღზრდას, რომელთაც შემდგომ შეეძლებათ ქალაქ ყურღანის სკოლებში, შესაბამისი მსურველებისთვის, ჩაატარონ ქართულის გაკვეთილები.

7. კარგი იქნება დოკუმენტური ფილმის გადაღება მუჰაჯირობაზე და ყურღანის ქართულ დიასპორაზე, მისი ჩვენება თურქეთისა და საქართველოს ტელევიზიების მიერ.

## ᲔᲣᲗᲝᲡ ᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲐᲢᲝᲛᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ: ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ

*მიზნობრივი-სამეცნიერო პროექტი, რომელიც გულისხმობდა ეუთოს მისიების ანატომიის ანალიზს საქართველოსა და უკრაინაში, განახორციელა თსუ-ის სოციალ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მკვლევართა ჯგუფმა.*

*გვესაუბრება ჯგუფის ხელმძღვანელი, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი* სერგი კაპანაძე:

— პროექტი — „ეუთოს მისიების ანატომია საქართველოსა და უკრაინაში: შედარებითი ანალიზი“ — შეისწავლის შედარებით შემთხვევებს (Comparative Case-Study) და მასში შედარებულია საქართველოსა და უკრაინაში მოქმედი ეუთო-ს მისიების თავისებურებები.

მთავარი საკვლევი კითხვა იყო — რა ფაქტორებმა განაპირობა ეუთოს მისიების წარმატება/წარუმატებლობა საქართველოსა და უკრაინაში?

საკვლევი კითხვის შესაბამისად შემუშავდა კვლევის კონკრეტული სტრატეგია და შესაბამისი მეთოდოლოგიური ელემენტები. ამასთან, საკითხის სიღრმისეული ანალიზისთვის გამოიყო კვლევის რამდენიმე მიმართულება:

1) ეუთო-ს სამშვიდობო და სადამკვირვებლო მისიების მექანიზმებისა და ინსტრუმენტების ანალიზი;

2) მისიებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმები;

3) იმის გამოვლენა, თუ რომელმა ინსტრუმენტებმა გაამართლა და რომელმა — არა და, შესაბამისად, რა ფაქტორებმა მოახდინა გავლენა მისიების წარმატებაზე.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე მოძიებული იქნა საკვანძო უწყებრივი დოკუმენტები, მათ შორის, ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს გადაწყვეტილებები საქართველოსა და უკრაინის შესახებ 1992 წლიდან დღემდე, ასევე ამ თემაზე გამოქვეყნებული ოფიციალური ანგარიშები, მოხსენებები და სხვა აკადემიური ნაშრომები. პროექტის ფარგლებში ჩატარდა 10-მდე სიღრმისეული ინტერვიუ მისიაზე მომუშავე საერთაშორისო, უკრაინელ და ქართველ გადაწყვეტილებების მიმღებებთან.

კვლევაში გამოყენებულ იქნა კონტენტ-ანალიზი (Content Analysis), რაც მოიცავს პირველადი მოკვლევის საფუძველზე მოძიებული დოკუმენტების — პირველადი წყაროების შინაარსის გაანალიზებას. დამუშავდა საქართველოს ქეისთან დაკავშირებული უწყებრივი დოკუმენტები და ანგარიშები, ოფიციალური გამოსვლები და სხვა ნაშრომები.

სრულყოფილი, სიღრმისეული ანალიზისათვის შევისწავლეთ 1990-იანი წლების შემდგომ ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურაში ეუთო-ს, როგორც ერთ-ერთი საკვანძო ორგანიზაციის, როლი, მისი ძირითადი სამუშაო პრინციპები, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ადმინისტრაციული შესაძლებლობები. შესაბამისად, დამუშავდა და გაანალიზდა მთელი რიგი დამფუძნებელი დოკუმენტებისა, რომელსაც ეფუძნება ორგანიზაციის საქმიანობა და სამშვიდობო მისიების თავისებურებები.

გარდა ამისა, უშუალოდ ქეისების ქრონოლოგიური შესწავლის (ე.წ. პროცეს-თრეისინგის მეთოდოლოგიური ელემენტი/process-tracing) კვლევის პროცესში გამოიკვეთა ის ფაქტორები, რამაც უშუალოდ იმოქმედა მისიების ეფექტიანობაზე. ეს ფაქტორები იყო:

1. დიდი ქვეყნების და მასპინძელი ქვეყნის დაინტერესება მისიების წარმატებით;

2. მისიების მანდატში არსებული სამშვიდობო შესაძლებლობები; მათი გამოყენების შესაძლებლობა;

3. მისიების ადამიანური რესურსები, მონიტორების რაოდენობა და მათი უფლებამოსილებები;

4. მისიის ტექნიკური შესაძლებლობები, შორეული დაკვირვების საშუალებების გამოყენების საშუალება, ასევე დრონების და სატელიტური ტექნიკის გამოყენების საშუალება;

5. პოლიტიკური მსხვერპლი, რომელიც გაღებული იქნა მასპინძელი სახელმწიფოების მხრიდან ამ მისიების ეფექტურად სამოქმედოდ;

6. მისიის განახლების და შეწყვეტის მექანიზმები;

7. მისიის ხელმძღვანელობა და ხელმძღვანელი პირების როლი მისიის წარმატების საქმეში;

8. ეუთოს როლი კონფლიქტთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში;

9. ეუთოს თავმჯდომარე ქვეყნის როლი;

10. გადაადგილების თავისუფლება, რომელიც მისიას გააჩნდა დე ფაქტო კონფლიქტის ზონაში;

11. სტატუს-ნეიტრალობა, როგორც მისიის მანდატში არსებული მნიშვნელოვანი ელემენტი.

შესაბამისად, დასკვნები ამ 11 ელემენტის ანალიზის საფუძველზე მივიღეთ.

## 1918-1921 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲚᲣᲠᲐᲚᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲔᲑᲘ

*თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამით წარმოდგენილი პროექტი - „1918 -1921 წლების ქართული პლურალისტული მედიის ძირითადი სტრატეგიები“ 1918 -1921 წლების პრესის მეცნიერული შეფასების მცდელობა გახლავთ. კვლევა განხორციელდა კონტექსტური ცოდნის გათვალისწინებით, აღნიშნული დროის პერიოდიკასა და საარქივო მასალაზე დაყრდნობით. ძირითადი მედიასაშუალებების (გაზეთები: „ერთობა“, „სახალხო საქმე“, „საქართველო“, „საქართველოს რესპუბლიკა“) შესწავლის შედეგად მსოფლმხედველობრივ ჭრილში წარმოჩნდა პუბლიცისტური დისკურსის, ტრადიციული ღირებულებითი მოდელებისა და ახალი იდეოლოგიური პრობლემატიკის ურთიერთმიმართების, ემპირიულ დროში მიმდინარე პროცესების მედიატექსტებში ასახვის თავისებურებანი. აღნიშნული საკითხების ანალიზის საფუძველზე ნათლად გამოიკვეთა მონიშნული პერიოდის პლურალისტური მედიის ძირითადი სტრატეგიები.*

*გარდა იმისა, რომ მოცემული თემატიკა დღემდე არ გამხდარა საგანგებო შესწავლის საგანი, მის აქტუალობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ახლო წარსულის მედიაკლიმატის მეცნიერული ძიება არა მხოლოდ სოციოლოგიური ინსტრუმენტით, ღირებულებათა კვლევის კუთხითაც განხორციელდა.*

*პროექტში ძირითადი შემსრულებლის სტატუსით დაკავებული იყო თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სამი პროფესორი (ასოც. პროფესორები: მ. შამილიშვილი, მ. წერეთელი, ნ. ტალახაძე) და ამდენივე სტუდენტი (დოქტორანტურის წარმომადგენელი — თინათინ მაჭარაშვილი, მაგისტრატურის — ანა კაკურია, ხოლო ბაკალავრიატისა — ბადრი კობიაშვილი).*

*პროექტის შესახებ საუბრობს მისი ხელმძღვანელი, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი* მანანა შამილიშვილი:

— პროექტის ამოცანიდან გამომდინარე, მონიშნული დროის მონაკვეთში ქართულ მედიაგარემოში მიმდინარე პროცესების, ძირითადი ნარატივებისა და პლასტების წარმოსაჩენად, მოძიებული მდიდარი მასალა შემდეგი თემატური კლასიფიკაციით ვიკვლიეთ:

- იდენტობის პრობლემა და დამოუკიდებლობის წლების ქართული პრესის მნიშვნელობა ნაციონალიზმის ცნებების, მითების, სიმბოლოებისა და იდეოლოგიის წარმოქმნასა და გაანალიზებაში.
- იდეოლოგიური დაპირისპირება დამოუკიდებლობის წლების პრესაში და დისკუსია საქართველოს სივრცითი ორიენტაციის საკითხზე, ვექტორებით: დასავლეთი/აღმოსავლეთი.
- ბოლშევიკური მეტატექსტი და მისი ძირითადი კონცეპტები.
- ფემინისტური ნარატივი და მისი პარადიგმები 1918-1921 წლების ქართულ პრესაში.
- მილიტარისტული ნარატივი — „ლაზისტანის ირრედენტას“ საკითხი: ქართული მიწების შემომტკიცებისა და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა საკვლევი პერიოდის პუბლიცისტიკაში.

კვლევისას გამოვლინდა თითოეულ წარმოდგენილ მოდელს შორის ურთიერთქმედების თავისებურებები და მათი გავლენის ხარისხი მთლიან მედიალანდშაფტზე; გამოიკვეთა მედიის განვითარების ტენდენციები და ის მაგისტრალური ხაზი, რომელიც დამოუკიდებლობის პერიოდის პრესას წინარე ეპოქების მედიაგამოცდილებასთან (მე-19 საუკუნის 60-80-იანი წლებისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ჟურნალისტური ტრადიციები) აკავშირებს; ევოლუცია, რაც მედიატექსტმა განვითარების ხანგრძლივ და წინააღმდეგობრივ გზაზე განიცადა და საკვლევი პერიოდისთვის განსხვავებულ, თვითმყოფად სახედ ჩამოყალიბდა.

კვლევისას ვხელმძღვანელობდით მედიის ისტორიის თანამედროვე მკვლევრების — დანიელ ჰალინისა და პაოლო მანჩინის (Hallin Daniel C., Mancini Paolo, Comparing Media Systems –Three Models of Media and Politics, Cambridge University Press, 2004) მედიის პოლარიზებული პლურალისტული მოდელით, რომელიც მათ თავიანთ ცნობილ ნაშრომში — „მედიასისტემების შედარება — მედიისა და პოლიტიკის სამი მოდელი“ — ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნების პრესის ანალიზისას შემოგვთავაზეს. წარმოდგენილმა მოდელმა ნაშრომის თეორიული ჩარჩოს ფუნქცია შეასრულა. საკვლევი მასალის სპეციფიკის გათვალისწინებით (რაც შესაბამისი წყაროების, საგაზეთო მასალის მოპოვებას, სისტემატიზებასა და დამუშავებას გულისხმობს), გამოყენებული იქნა აგრეთვე საარქივო კვლევისა და ისტორიულ-შედარებითი (კომპარატივისტული) მეთოდები.

აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე პრობლემის კვლევამ საშუალება მოგვცა — შეგვესრულებინა პროექტის ძირითადი მიზნები და ამოცანები, რაც ითვალისწინებდა: 1. ნაკლებად ცნობილ და სრულიად უცნობ საგაზეთო და საარქივო მასალებზე დაყრდნობით, 1918 წლიდან 1921 წლამდე პერიოდის ქართული მედიაგარემოს კომპლექსურ კვლევას ინტერდისციპლინურ ჭრილში (კულტურული, პოლიტიკური, სოციალური კონტექსტების გამოკვეთის ფონზე); 2. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე რთული და მრავალმხრივ საინტერესო პერიოდის პარადიგმის გააზრებასა და მის თანამედროვე რეცეფციას.

დიდძალი ემპირიული მასალის შესწავლამ (განვიხილეთ 1500-ზე მეტი პუბლიკაცია) და თემატურმა ანალიზმა შემდეგი დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა:

ა) მოცემული მედიასაშუალებების შესწავლის შედეგად წარმოჩნდა იმ პერიოდის პუბლიცისტური დისკურსის თავისებურებები, რაც, უმთავრესად, პლურალისტული მედიაგარემოსა და სარედაქციო თავისუფლების ნიშნით გამოიხატა. ეს ყოველივე კი შედეგი იყო დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ დაშვებული პარტიების თანაარსებობისა, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მათი მონაწილეობისა, უფლებრივი თანასწორობისა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებდა პრესის თავისუფლებას; ქმნიდა იმ უპრეცედენტო პლურალისტულ გარემოს, რომლითაც ხასიათდება დამოუკიდებლობის წლების ჟურნალისტიკა.

ბ) გამოიკვეთა პუბლიცისტური ტექსტების კონცეპტუალური მახასიათებლები, მათში დომინირებადი მოტივები, რამაც, საბოლოო ჯამში, ხელი შეუწყო მოცემული პერიოდის მედიაგარემოს შემოქმედებითი სტრატეგიის წარმოჩენას;

გ) აღნიშნული პერიოდის მედიაგარემოზე დაკვირვებით, შესაძლებელი გახდა, ჩაგვეტარებინა ტრადიციული ღირებულებითი მოდელებისა და ახალი იდეოლოგიური პრობლემატიკის ურთიერთმიმართების ანალიზი, გვეჩვენებინა ემპირიულ დროში მიმდინარე პროცესების მედიატექსტებში ასახვის თავისებურებები.

დ) კვლევისას გამოიკვეთა სამოქალაქო ფასეულობების ფორმირების პროცესი — რამდენად დიდი იყო იმდროინდელი ქართული საზოგადოების ინტერესი და მზაობა ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის მიმართ.

საბოლოო ჯამში, აღნიშნული საკითხების ანალიზმა საშუალება მოგვცა, მკაფიოდ წარმოგვეჩინა მონიშნული პერიოდის მედიაკლიმატის თავისებურებები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის ფარგლებში მომზადდა 3 საკონფერენციო მოხსენება, რომელთაგან 2 საერთაშორისო და 1 ლოკალური მნიშვნელობისაა.

**მოამზადა მაია ტორაძემ**

# ბატონო ლადო! ცნობთ თუ არა „აკადემიურ თავისუფლებას“?

უნივერსიტეტის გაზეთში ორჯერ (2011 წ. №3 და 2015 წ. №15) გამოვაქვეყნე წერილები: „იწყება ახალი დიალოგი სამყაროსთან“ და „ახალი მსოფლმხედველობრივი პარადიგმა, როგორც დღევანდელი ადამიანის სამყაროსთან დიალოგის საფუძველი“. ორივეჯერ დავსვი საკითხი განათლების სისტემაში ფილოსოფიის სწავლების ინოვაციური ფორმების, მეცნიერული მსოფლმხედველობისა და კრიტიკული თეორიული აზროვნების განვითარების შესახებ. ასევე ორჯერ მოგმართეთ განცხადებით: (№37838/22 05.12.2013 წ. და №1925 26.01.2015 წ.), რომ მიგეღეთ და მოგესმინათ ჩემთვის ამ საკითხთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, თქვენგან ორჯერვე მივიღე უარი. ეს რატომ, თქვენ ამ საკითხებს ყურადღების ღირსად არ თვლით?

„აკადემიური თავისუფლების“ ამგვარი იგნორირების შედეგია სწორედ ის, რომ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მონაწილეობას ვერ იღებს ე.წ. „ჩარეცხილ“ პროფესორ-მასწავლებელთა ის ნაწილი, ვისაც საკმაოდ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია არააგრესიული, კულტურული, პროფესიული მუშაობის ფორმატში. ბატონო ლადო! ნუთუ ძნელი იყო ამ ხნის მანძილზე უნივერსიტეტში შექმნილიყო განათლების საკითხებზე მომუშავე მუდმივმოქმედი სემინარი, სადაც მსურველს შეეძლებოდა გამოეთქვა თავისი აზრი ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე, რითაც ნამდვილად შეიქმნებოდა უნივერსიტეტში იმაზე უკეთესი ატმოსფერო, ვიდრე დღეს არის.

ახლა ისევ ახალი მსოფლმხედველობრივი პარადიგმის ფორმირების შესახებ, ანუ საკითხზე, რომელსაც თქვენ რატომღაც იგნორირება გაუკეთეთ: დრომ მწვავედ დააყენა იმ ფართო შესაძლებლობების რაციონალური გამოყენების საკითხი, რასაც იძლევა ინტერნეტი. ამან მოითხოვა სწორედ რეფორმები განათლების სისტემაში და შემეცნების ახალი ფორმების და მეთოდების შემოღება. დღეს აუცილებელია - ადამიანს გაუჩნდეს საკუთარი პოტენციალის რეალიზაციის სურვილი; იგი უნდა იყოს არა მხოლოდ კომპიუტერიდან მიღებული ინფორმაციის პასიური მომხმარებელი, ანუ ჩაარტყას მხოლოდ თითი კლავიშს და მოისმინოს ან ნახოს რაიმე უკვე არსებული, არამედ ეცადოს, ამავე დროს, შექმნას ახალი და დაეხმაროს საზოგადოებას დროის შესაბამისი მსოფლმხედველობრივი პარადიგმის შემუშავებაში.

მოწოდება: ,,ვიცხოვროთ ჩვენს დროსთან ერთად!“ - მთავარი მოწოდებაა დღეისათვის, როდესაც მწვავედ დგება სხვადასხვა სფეროში ტოპ-მენეჯერთა მომზადების საკითხი. განათლების სისტემას კი ამ დროს მოეთხოვება აღზარდოს და განავითაროს ინდივიდში ინიციატივის გამოვლენის უნარი და მოქმედებაში კოორდინაციის თვისება. თავისუფალმა ადამიანმა დღეს უნდა შეძლოს ადეკვატური მოქმედება, გადაწყვეტილების დროულად მიღება და მას უნდა გააჩნდეს თანაც დემოკრატიული და სახელმწიფოებრივი აზროვნების კულტურა. იგი უნდა იყოს კვალიფიცირებული, მოუსმინოს სხვას და გაიზიაროს სხვისი აზრი ყოველთვის, როდესაც ეს საჭიროა. ანუ ადამიანი მუდმივად უნდა ისწრაფოდეს განვითარებისა და სრულყოფისაკენ, ახალი ტექნოლოგიების დაუფლებისკენ, უნდა შეეძლოს თავის შრომით კოლექტივთან და, საერთოდ, საზოგადოებასთან ურთიერთობა. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ახალი მოთხოვნების რეჟიმში დღეს მუშაობას ახერხებენ მხოლოდ საბანკო სისტემები.

ერთობლივი მუშაობის კულტურა და კრიტიკული თეორიული აზროვნების უნარი ადამიანის თანდაყოლილი თვისებები არ არის, მათ სერიოზული აღზრდა და განვითარება სჭირდებათ. ჩვენი ყოველი არჩევანი უნდა იძლეოდეს სხვებთან ურთიერთმომგებიანი კავშირის დამყარების საშუალებას და უნდა ვგრძნობდეთ იმასაც, რომ ამას ვერ შევძლებთ რეალობის რაციონალური, პროფესიული და ადეკვატური შეფასების გარეშე. ამიტომაც კეთდება დღეს უდიდესი აქცენტი გამოყენებით მეცნიერებებზე, რაც, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს ფუნდამენტურ მეცნიერებათა უგულებელყოფას, მაგრამ, ამავე დროს, მოითხოვს ძირეულ ცვლილებებს განათლების სისტემაში. შემოდის სოციუმის მართვის ახალი პოლიტიკა. შესაბამისად, იცვლება სახელმწიფო სტრუქტურები და, პარალელურად, თუ სასწრაფოდ არ შევიმუშავეთ განათლების ახალი ფორმები და მეთოდები, თუ პრინციპულად არ შევცვალეთ რეალობასთან ჩვენი დამოკიდებულების მსოფლმხედველობრივი ფორმატი, მაშინ სულ მალე აღმოვჩნდებით მძიმე მდგომარეობაში. დრო ითხოვს ჩვენგან ახალ და მაღალკვალიფიცირებულ კადრებს და დროის მოთხოვნების შეუსაბამო კადრები უბრალოდ ვეღარ მოახერხებენ დასაქმებას.

თავისი პლუსებით და მინუსებით ყველგან მიმდინარეობს გლობალიზაციისა და ინტეგრაციის რთული, მაგრამ საინტერესო პროცესი. ჩვენ ღია ვართ მთელი სამყაროს მიმართ და იძულებული ვართ შევძლოთ ორიენტაცია ამ ზღვა ინფორმაციაში. ჩვენ არ უნდა დავიბნეთ გადაწყვეტილების მიღების დროს, არ უნდა დავუშვათ შეცდომა სიტუაციის შეფასებაში და, რაც მთავარია, არ უნდა დავმარცხდეთ. ძნელია ასეთ პირობებში შეიმუშაო საკუთარი სამოქმედო პოზიცია, შეინარჩუნო ადეკვატური მოქმედების უნარი, ნათლად წარმოადგინო საკუთარ სამუშაო პროექტში განსახილველი პრობლემა და აჩვენო თანაც მისი გადაჭრის ისეთი გზა, რომელიც კოორდინირებული იქნება ამ მომენტისათვის მიმდინარე სხვა პროცესებთან, გაითვალისწინებს მათ ხასიათს და, ხელს თუ არ შეუწყობს, არ შეაფერხებს მაინც მათ განხილვას.

ასეთ ვითარებაში მეცნიერულმა ფილოსოფიამ და მეცნიერებაზე დაყრდნობილმა მსოფლმხედველობამ უნდა დაანახოს სწორედ ინდივიდს დროის მოთხოვნები, კომფორტულად აგრძნობინოს თავი მოქმედებისას, შეაძლებინოს მოვლენებში კოორდინირება და აპოვნინოს ახალი რეალობის შემეცნების და შეფასების ეფექტური გზები. იმაში, რომ შევძლოთ ადაპტირება ახალთან, არ დავუშვათ შეცდომა და გავაკეთოთ ადეკვატური არჩევანი, ყველაზე მეტად გვეხმარება და ყველაზე ნაყოფიერ შედეგს იძლევა დიალოგი პროფესიონალთა შორის, რომელიც ყოველთვის თავისუფალია აბსტრაქტული, პოპულისტური ხასიათის მსჯელობებისაგან და ეყრდნობა მხოლოდ რეალობის მეცნიერული აღქმისა და შეფასების ობიექტურ მონაცემებს. ამრიგად, მხოლოდ პროფესიონალთა შეთანხმებული, კოორდინირებული მუშაობით არის შესაძლებელი განათლების სისტემაში არსებული პრობლემების დაძლევა, მხოლოდ ეს გზა არის პროგრესის გარანტი.

ყველაზე დიდი დანაშაულია ასეთ დროს მოლოდინის რეჟიმში ყოფნა, ერთი ადგილის ტკეპნა და წამოჭრილი პრობლემების იგნორირება. ჭეშმარიტი ლიდერის თვისება უნდა იყოს არა სიტუაციის ერთპიროვნული მართვა, სხვებზე ზეწოლა და ინიციატივის ჩახშობა, არამედ კოლეგებთან თანამშრომლობა და დიალოგი, რათა ყველამ ერთად გავინაწილოთ პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ასე რომ, აუცილებელია კოლეგების მოსმენა და მათი მხარდაჭერა, რადგან მხოლოდ ასე და ამ გზით შეიძლება პრობლემების ეფექტური გადაწყვეტა.

„აკადემიური თავისუფლების“ გარეშე ვერ განვითარდება ვერც განათლების სისტემა და ვერც საზოგადოება; ამიტომაც არის ეს აღიარებული განათლების სფეროს ძირითად პრინციპად და დეკლარირებულია მრავალი ქვეყნის კონსტიტუციაში. ასე რომ, კვლევისა და სწავლების თავისუფლება საუნივერსიტეტო ცხოვრების ფუნდამენტური პრინციპია; მაგრამ მისი დანერგვა არ გულისხმობს მხოლოდ კანონმდებლობაში დეკლარირებული ხასიათის ნორმების არსებობას. საჭიროა აგრეთვე სამართლებრივი ნორმები, რომელთა საფუძველზეც პროფესორს რეალურად ექნება შესაძლებლობა თავისუფლად განახორციელოს სწავლება და კვლევა და ექნება აგრეთვე საშუალება სამართლებრივი მექანიზმით დაიცვას თავი ჩაგვრისაგან.

ძირითადი მაორიენტირებელი განათლების სფეროში უნდა იყოს განათლების სახელმწიფოებრივი სტანდარტი. კარგი იქნება აგრეთვე წარმატებული პედაგოგების პოპულარიზაცია და სასწავლო პროცესის ზედმეტი ბიუროკრატიული მომენტებისაგან გათავისუფლება. აშკარაა, რომ უნდა შეიქმნას განათლების ახალი პოლიტიკა და შემოვიდეს ჰორიზონტალური ურთიერთობების ახალი კულტურა. საჭიროა და აუცილებელი ახალი ფასეულობების დროული შერჩევა და დანერგვა. ჩვენ კი, სამწუხაროდ, მიჩვეულნი ვართ მხოლოდ დომინირების ფორმატში მუშაობას, ასეთი კულტურით კი ნამდვილად გაგვიჭირდება დღეს ცხოვრება და ვერ შევალთ ახალ საუკუნეში.

ფუნდამენტური, კოლოსალური ცვლილება კულტურაში უნდა განიცადოს დღეს ყოველმა ჩვენთაგანმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ დავიძვრებით ადგილიდან. კულტურა, რომელიც მხოლოდ დიქტატზე და მორჩილებაზეა დამოკიდებული, აფერხებს, თრგუნავს და ბლოკავს პროგრესს. უმაღლესი განათლების პედაგოგს აქვს უფლება, თავისი პასუხისმგებლობის მიხედვით, წარმართოს თავისი საგნის სწავლება. თავისი შეხედულებებით აირჩიოს საკვლევი პრობლემები, სწავლების ფორმები და მეთოდები.

დღეს საჭიროა შემეცნებითი და შეფასებითი განათლება, რომლის საფუძველია ადამიანის ფაქტორის წინა პლანზე წამოწევა. ცვლადი, დინამიური და წინააღმდეგობრივია დღევანდელი გარემო და განათლებით უნდა გადავიდეს კულტურა თაობიდან თაობაზე, მაგრამ ისე, რომ არ შეიზღუდოს ინდივიდუალური თავისუფლება. შემოქმედმა ადამიანმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დაანგრიოს ძველი და შემოიტანოს ახალი, მაგრამ ისე, რომ არ დაიკარგოს ამ დროს ქვეყნის იდენტურობა და სუვერენიტეტი.

დრო ითხოვს თავისუფალ, რაციონალურ და თანასწორუფლებიან პარტნიორობას, მაგრამ ამ დროს ლიბერალიზმი არ უნდა იქცეს ისტერიად. ექსტრემიზმი და განსხვავებული აზრი არ არის ერთი და იგივე. ეს უკანასკნელი ავითარებს ქვეყანას და ხელს უწყობს პროგრესს. ამიტომაც ეძლევა სწორედ ესოდენ დიდი მნიშვნელობა „აკადემიურ თავისუფლებას“, ექსტრემიზმი კი ძირს უთხრის ქვეყნის სუვერენიტეტს და ანგრევს მის სახელმწიფოებრიობას.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს ნებისმიერი პოლიტიკა, რომელსაც არ გააჩნია მეცნიერული არგუმენტაცია და არა აქვს მეცნიერული საფუძველი, იქცევა ლაყბობად და ვერასოდეს ვერ მოახერხებს გლობალური და ლოკალური ინტერესების შედეგიან სინთეზს. დრო კი არ ითმენს, დრო ითხოვს საზოგადოებრივი პროგრესისაკენ მიმავალ კოორდინირებულ მოქმედებებს და წარმატებულ სამუშაო პროექტებს. ასეთ ვითარებაში აკადემიური თავისუფლებისა და უფლებების ყოველი შეზღუდვა ხელს უშლის მეცნიერებისა და განათლების სისტემის დემოკრატიულ განვითარებას და სტაგნაციით ემუქრება მთელ მეცნიერულ აზრს და მეცნიერულ საზოგადოებას. ამიტომაც არის, რომ უმაღლეს სასწავლებლებში „აკადემიური თავისუფლება“, ანუ სწავლების და დისკუსიის თავისუფლება იუნესკომ გამოაცხადა მეცნიერული პროგრესის ძირითად მამოძრავებელ ძალად.

და აი სწორედ ასეთ დროს ნამდვილად არ მინდა, რომ ჩემმა საყვარელმა უნივერსიტეტმა შემომთავაზოს რაღაც გაურკვეველი სახის „მოწყალება“ და სანაცვლოდ ამისა მომთხოვოს კიდევ ხელწერილი იმაზე, რომ არსად, არასოდეს აღარ ვიფიქრებ არაფერზე ცხოვრებაში. ვფიქრობ, რომ „ჩარეცხილები“ ჯერ კიდევ ჭირდება უნივერსიტეტს, მათ ბევრის გაკეთება შეუძლიათ.

P.S. პრობლემა, რომელსაც ჩემი პროექტი ეხება, სრულად წარმოდგენილია ჩემს პირად საიტზე: gildasikharulidze.com. ვიტოვებ იმედს, რომ მომეცემა ამ პროექტის საჯაროდ განხილვის საშუალება, მითუმეტეს, რომ მასში მოცემულია მცდელობა — გაგრძელდეს უნივერსიტეტში ის ბრწყინვალე ტრადიცია, რომელსაც თავის დროზე საფუძველი ჩაუყარეს აკადემიკოსებმა მ. მირიანაშვილმა და ვ. მამასახლისოვმა და რაც, ძირითადად, ეხებოდა ფილოსოფიის პროფილის მიხედვით სწავლებას. ასევე, მეცნიერებისა და ფილოსოფიის ურთიერთობის პრობლემა იუნესკომ აქტუალურ პრობლემად გამოაცხადა და პირდაპირ მოუწოდა, რომ ამ ფორმატში ჩამოყალიბდეს ფილოსოფიის სწავლების ინოვაციური ფორმა. მაგრამ ამაზე შემდეგ...

**გილდა სიხარულიძე**
**მოწვეული პროფესორი**

# ᲛᲝᲓᲘᲗ, ᲦᲘᲐᲓ ᲕᲘᲡᲐᲣᲑᲠᲝᲗ — ᲐᲠᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲝ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ?

**ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲒᲘᲚᲓᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ**

**— თსუ-ის მოწვეულმა პროფესორმა გილდა სიხარულიძემ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" რედაქციას თქვენდამი მომართვის წერილის დაბეჭდვა გვთხოვა, სადაც იგი აღნიშნავს, რომ არაერთხელ დასვა საკითხი განათლების სისტემაში ფილოსოფიის სწავლების ინოვაციური ფორმების, მეცნიერული მსოფლმხედველობისა და კრიტიკული თეორიული აზროვნების განვითარების აუცილებლობის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით, როგორც ქალბატონი გილდა ამბობს, მას თქვენთან შეხვედრა სურდა, რაც აქამდე ვერ მოხერხდა. პროფესორი თავის წერილში თქვენი მისამართით სვამს კითხვას: „ბატონო ლადო, ნუთუ ძნელი იყო ამ ხნის მანძილზე უნივერსიტეტში შექმნილიყო განათლების საკითხებზე მომუშავე მუდმივმოქმედი სემინარი, სადაც მსურველს შეეძლებოდა გამოეთქვა თავისი აზრი ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე?" თქვენ რა პასუხი გაქვთ ქალბატონი გილდას მომართვასთან დაკავშირებით?**

— მაქსიმალურად ვცდილობ, რომ ყველას შევხვდე, რექტორი იზოლირებული არავისგან არის, მაგრამ ფიზიკურად შეუძლებელია ყველასთან პირისპირ საუბარი. რაც შეეხება იმ მოთხოვნას, რომ ქალბატონ გილდას სემინარის მოწყობა უნდა, მინდა განვმარტო, რომ სემინარს რექტორი ვერ მოაწყობს (და არც უნდა აწყობდეს) — ეს თავად იმ დარგის პროფესორებმა უნდა გააკეთონ, ვისაც სემინარის ჩატარება უნდა. რამდენადაც გავეცანი ქალბატონი გილდა სიხარულიძის წერილს, იგი მასში კარგად ასახავს იმას, რომ ადრე სემინარებს ატარებდნენ და, თავის დროზე, ამ სემინარების გამართვის ბრწყინვალე ტრადიცია ჩამოაყალიბეს აკადემიკოსებმა მირიანაშვილმა და მამასახლისოვმა. განა ერთი ან მეორე რექტორი იყო? მე, როგორც პროფესორ ლადო პაპავას, მაქვს ჩემი საკუთარი სემინარი ეკონომიკაში და ეს სემინარი მქონდა მანამდეც, ვიდრე რექტორი გავხდებოდი. ამდენად, თუ ქალბატონ გილდას სემინარის ჩატარება უნდა, მან უნდა მიმართოს შესაბამისი დარგის პროფესორებს, რათა შეთანხმდნენ პერიოდული ღონისძიებების გამართვის თაობაზე.

როდესაც ქალბატონი გილდას წერილი განცხადებითურთ ჩვენთან შემოვიდა, ეს წერილი გადავუგზავნე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაშინდელ დეკანს, ქალბატონ დარეჯან თვალთვაძეს, რათა მიეცა შესაბამისი რეაგირება. წერილის პასუხად დასკვნა დაწერა ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა დემურ ჯალაღონიამ, სადაც მან ახსნა, რომ ქალბატონი გილდას პროფესიონალიზმსა და კვალიფიციურობას იგი მუდამ პატივს სცემდა და რომ სწორედ ამგვარი შეფასების გათვალისწინებით იყო მიწვეული გილდა სიხარულიძე ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე: „ფილოსოფია და თანამედროვეობა". ანუ, უნივერსიტეტის კარი არავისთვისაა დახურული, მაგრამ, დიდი ბოდიში და, ფილოსოფიაში, ფიზიკაში, ქიმიასა თუ მეცნიერების რომელიმე დარგში, რექტორი ვერ იქნება სემინარის ინიციატორი. ქალბატონი გილდა უნდა მისულიყო ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელთან დემურ ჯალაღონიასთან და უნდა ეთხოვა, რომ თუკი გაქვთ სემინარი ფილოსოფიაში, მინდა ამ სემინარზე მოხსენებით გამოსვლა, ანუ ამას არ წყვეტს რექტორი.

ჩემი მხრიდან კი, რაც შემიძლია, მოვუწოდებ ყველა წამყვან პროფესორს, ჩაატარონ საკუთარი სამეცნიერო სემინარი. ამისთვის ყველას ვაძლევ პირად მაგალითს, რომ ასეთი სემინარი მაქვს და, როგორც გითხარით, ეს სემინარი არსებობს ჩემს რექტორად არჩევამდე და გაგრძელდება მას მერეც, როცა ჩვეულებრივი პროფესორი ვიქნები. და თუ არ ვიქნები უნივერსიტეტის პროფესორი, სადაც ვიქნები, სემინარს იქაც ჩავატარებ, რადგან ეს არის თავად მეცნიერის არჩევანი და ინტერესი, რომ ჰქონდეს სემინარი.

**— თქვენდამი მომართვის წერილში ქალბატონი გილდა სათაურშივე სვამს კითხვას: — „ბატონო ლადო, ცნობთ თუ არა აკადემიურ თავისუფლებას?" პროფესორი, ამ მხრივ, თავის შეხედულებებს აყალიბებს წერილში. თქვენი აზრით, უნივერსიტეტის სივრცეში რა პრობლემები არსებობს აკადემიურ თავისუფლებასთან მიმართებაში?**

— რაც შეეხება კითხვას — ცნობთ თუ არა აკადემიურ თავისუფლებას? — ვფიქრობ, კარგი კითხვაა და, მოდით, გავშალოთ დისკუსია ამ თემაზე ჩვენი გაზეთის საშუალებით, ანუ დავსვათ კითხვა — არის თუ არა, დღეს, უნივერსიტეტში აკადემიური თავისუფლება? არანაირი შეზღუდვა არ იარსებებს — თუ რა დაიბეჭდება ამ კითხვაზე პასუხად და ჩვენი პროფესურის მხრიდან როგორი შეხედულებები აისახება გაზეთში. ჩემს მოსაზრებას კი გეტყვით, რომ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი გაწერილია, დამტკიცებულია კურიკულუმების შესატყვისი სილაბუსები, რის მიხედვითაც კითხულობენ ლექციებს პროფესორები. სამეცნიერო საქმიანობაში არანაირი შეზღუდვა არ არსებობს. გამოვცემთ სხვადასხვა ჟურნალებს, ვატარებთ კონფერენციებს... ვფიქრობ, რომ, დღეს, უნივერსიტეტში აკადემიური თავისუფლება არ არის შეზღუდული. ეგებ მე ვცდები, როგორც რექტორი? აგერ გაზეთი და, გთხოვთ, მოიწვიეთ სხვადასხვა დარგის მეცნიერები — ფილოსოფოსებიც, ფსიქოლოგებიც, ეკონომისტებიც, იურისტებიც, ფიზიკოსებიც, მათემატიკოსებიც და ღიად ვისაუბროთ — არის რაიმე შეზღუდული საუნივერსიტეტო სივრცეში?

**— არსებობს პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ე.წ. „ჩარეცხილი პროფესორები" თითქოს სათანადო ყურადღებას ვერ იმსახურებენ თსუ-ში და ის დახმარებაც, რომელიც მათთვის გამოიყო, მათი აზრით, ძალიან მცირეა. ამავე დროს, როგორც გილდა სიხარულიძე აცხადებს, უკმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ თავის დროზე უნივერსიტეტიდან გაშვებულ პროფესორებს, რომლებიც ამ თანხას იღებენ, აწერინებენ ხელწერილს, რომ არსად უნდა იმუშაონ, თორემ დახმარებას აღარ მიიღებენ. თქვენ რა პასუხს გასცემთ ამგვარ პრეტენზიებს?**

— ჩემი აზრით, არასწორია ასეთი პრეტენზია. ჯერ ერთი, ეტყობა ქალბატონმა გილდამ არ იცის, რომ უნივერსიტეტს არ აქვს საბიუჯეტო დაფინანსება და რომ ჩვენ ვარსებობთ სტუდენტის მიერ მოტანილი ფულით. არის კიდევ დამატებით ძალიან მწირი რესურსი — შემოსავალი უნივერსიტეტის სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან. მიუხედავად ამ მწირი რესურსებისა, შეგახსენებთ, რომ ჩვენივე ინიციატივით კანონში შევიტანეთ ცვლილება, რათა 2006 წლიდან ე.წ. რეპრესიების დროს გაშვებული პროფესორებისთვის დახმარების თანხა მიგვეცა. გაშვებული პროფესორები აღმოჩნდნენ საკმაოდ ბევრნი, თანხა კი საკმაოდ მცირეა. სწორედ ამიტომ ვთქვით, რომ მართლა ვისაც უჭირს და სამსახური არ აქვს, იმას დავეხმაროთ, რადგან ჩვენს დახმარებას სოციალური დაცვის ფუნქცია არ აქვს. სოციალური დახმარება — ეს არის სახელმწიფოს ფუნქცია. ჩვენ კეთილი ნება გამოვხატეთ და, რა თქმა უნდა, თანხა გამოვიდა ცოტა, ვინაიდან გაშვებული პროფესორი ბევრია, ხოლო ჩვენი ფინანსური რესურსები — შეზღუდული. მე არ ვწყვეტ, თუ ვის რამდენი უნდა შეხვდეს, ეს არის იმ კომისიის გადაწყვეტილება, რომელშიც, ასევე, შესულნი იყვნენ ის პროფესორებიც, რომლებიც იმ ავბედით დღეებში გაშვებულნი იყვნენ უნივერსიტეტიდან. ითქვა ისიც, რომ, მაგალითად, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თუ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრებსა თუ წევრ-კორესპონდენტებს ამ დახმარების მიღების უფლება არ აქვთ, რადგან მათ სხვა შემოსავალიც გააჩნიათ. მაშასადამე, ეს დახმარება არის მათთვის, ვისაც ნამდვილად უჭირს. თუ ვინმეს გაუჩნდება სხვა შემოსავალი, მაშინ ეს თანხა დაიზოგება და, გამოთავისუფლებული თანხის სახით, მეტს მივცემთ სხვა გაჭირვებულს. ეს ნაბიჯი სწორედ სოლიდარობისთვის არის გადადგმული და არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ამით სრულ ფუფუნებას ვპირდებით ვინმეს. ცვლილება კანონში ჩვენი ინიცირებულია და, შეგვეძლო, ეს საერთოდ არ გაგვეკეთებინა — არავინ გვავალდებულებდა. ჩვენ ავიტკივეთ თავი და, ვფიქრობ, რომ სწორადაც ავიტკივეთ, რადგან ამ ჟესტით გამოვხატეთ სოლიდარობა.

**ესაუბრა**
**ᲜᲘᲜᲝ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐ**

# ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲢᲐᲠᲢᲣᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲡ ᲐᲡ�წᲐᲕᲚᲘᲡ

*ᲢᲐᲠᲢᲣᲡ (ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ) ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲘᲛ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲐᲚᲡ ᲓᲐᲔᲛᲐᲢᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡᲐᲪ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲡ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐᲜ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲤᲔᲑᲘᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲚ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲒᲘᲣᲚᲘ ᲨᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲬᲐᲣᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ.*

ევროპის ერთ-ერთ უძველეს და პრესტიჟულ უნივერსიტეტში კლასიკურ, ინგლისურ, გერმანულ, სხვა რომანულ, სლავურ, სკანდინავიურ, ბალტიისპირულ ენებთან ერთად ქართული ენის სწავლა, პროექტის ფარგლებში, სრულიად უფასოდ, არა მხოლოდ ტარტუს, არამედ სხვა ესტონური უნივერსიტეტების სტუდენტებსაც შეეძლებათ. მეცადინეობები თებერვლის მეორე კვირაში დაიწყება. ქართული ენის კურსის პარალელურად, ესტონელი სტუდენტები გაეცნობიან საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებს.

ტარტუს გარდა, უკვე რამდენიმე წელია, თსუ-ის პროფესორები ქართულ ენას ასწავლიან პარტნიორ უნივერსიტეტებში: კერძოდ, ლაიდენის უნივერსიტეტში (ჰოლანდია), ბრემენის უნივერსიტეტში (გერმანია), ვილნიუსის უნივერსიტეტში (ლიტვა). 2009 წელს მსგავსი პროექტი განხორციელდა სანგმიუნგის უნივერსიტეტში (სეული, სამხრეთ კორეა). სტუდენტებისთვის და თანამშრომლებისთვის ქართული ენის სწავლების სურვილი გამოთქვა ჩინეთის ერთ-ერთმა უნივერსიტეტმაც. ჩინეთის უნივერსიტეტში ქართული ენის შესწავლის პროექტის განხორციელების საკითხი თსუ-ში ჩინური დელეგაციის ვიზიტის დროს — გაზაფხულზე გადაწყდება.

„ქართული ენის სწავლება უცხოეთის უნივერსიტეტებში აღარ არის იშვიათი შემთხვევა. ეს ტენდენცია, რომელიც ბოლო დროს გამოიკვეთა, იმითაც გამოირჩევა, რომ სწავლება ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებული პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს. ჩვენი პროფესორები ქართული ენითა და კულტურით დაინტერესებული სტუდენტებისათვის სპეციალურ კურსს წაიკითხავენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენი ქვეყნისადმი ინტერესი ამ პროექტით უფრო გაიზრდება", — აცხადებს თსუ-ის რექტორის მოადგილე დარეჯან თვალთვაძე.

„ქართული რთულად შესასწავლი ენაა. მაგრამ როდესაც სწორი მეთოდიკაა შემუშავებული და სახელმძღვანელოებიც სათანადო დონეზეა შედგენილი, ნამდვილად შეიძლება ამ რთული ამოცანის დაძლევა. ჩემთვის, როგორც პედაგოგისთვის, მნიშვნელოვანია უცხოელი სტუდენტების დაინტერესება და მათი მოტივაციის ამაღლება, შესაბამისად, იმ დონეზე შესწავლა ქართული ენისა, რომ მათ მოკლე დროში შეძლონ კომუნიკაცია. ენის შესწავლისას მნიშვნელოვანია რამდენიმე ფაქტორი: სტუდენტის და პედაგოგის მოტივაცია, ასევე, სახელმძღვანელო და თანამედროვე აპრობირებული მეთოდები. ჩვენ გვაქვს რამდენიმე სახელმძღვანელო, მათ შორის: ნინო შარაშენიძის „მიდამო" და ნანა შავთვალაძის „ბილიკი". სწორედ ამ სახელმძღვანელოების მეშვეობით, მეთოდურად ხდება მასალის დამუშავება მარტივიდან რთულისკენ. აღსანიშნავია, რომ განვლილი კურსის ფარგლებში სტუდენტები კრედიტს აიღებენ. ჩვენი მიზანი, ენის შესწავლასთან ერთად, ისიც არის, რომ ევროპელი სტუდენტები უფრო ახლოს გაეცნონ ქართულ კულტურასა და ტრადიციებს, ეს კი თანამედროვე სწავლების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია", — ამბობს გიული შაბაშვილი.

**მოამზადა ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲛᲐ**

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის კიდევ ერთი მედალოსანი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ჩარიტა ჯაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და უნივერსიტეტის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით დაჯილდოვდა.*

„მთელი ჩემი ცხოვრება უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული. უნივერსიტეტი არის ჩემთვის ყველაფერი! მრავალი ჯილდო მაქვს მიღებული, მაგრამ ივანე ჯავახიშვილის მედალზე უფრო დიდი ჯილდო უნივერსიტეტელისთვის არ არსებობს“, — გულწრფელად ამბობს ქალბატონი ჩარიტა და საკუთარ მიღწევებსა და დამსახურებებზე მოკრძალებულად საუბრობს. არ უყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი, არც წარმატებული სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის აფიშირება მოსწონს.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მარკეტინგის კათედრის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი ჩარიტა ჯაში 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 3 მონოგრაფიისა და 3 სახელმძღვანელოს ავტორია.

იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ამერიკის ეკონომიკური განათლების საბჭოს (CEE) პროგრამების დირექტორად საქართველოში, გაეროს (UNDP, UNESE), ეუთოს (OSCE/ODIHR), მსოფლიო ბანკის, გლობალური ფონდის პროგრამების კოორდინატორად და კონსულტანტად.

არის არა ერთი საერთაშორისო კონფერენციისა და სემინარის ორგანიზატორი და მონაწილე; ამასთან, სოციალური მარკეტინგის საერთაშორისო ორგანიზაციის (WSM) წევრი და ფემინისტ ეკონომისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის (IAFEE) წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში. ეს არის მხოლოდ მცირე ჩამონათვალი იმ რეგალიებისა, რასაც ეკონომიკის დოქტორი ფლობს. მიუხედავად ამისა, თავს უხერხულად გრძნობს, როცა მისი პერსონით ინტერესდებიან. თავმდაბლობა ყველა ღირსეული ადამიანის თვისებაა და ხელს უწყობს ადამიანს — კარგი ურთიერთობა ჰქონდეს სხვებთან და თავადაც ემოციურად მდგრადი და მტკიცე ხასიათის მქონე პიროვნება იყოს... და რომ ეს ასეა, ადვილად დარწმუნდებით, თუ თვალს გადაავლებთ ეკონომიკის დოქტორის ჩარიტა ჯაშის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზას.

მართალია, ქალბატონმა ჩარიტამ წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ინგლისური ენის სპეციალობით, მაგრამ სწავლის გასაგრძელებლად სრულიად განსხვავებული სფერო - ეკონომიკა აირჩია. ეს მოულოდნელი არჩევანი საკუთარი ცხოვრების ყველაზე სწორ ნაბიჯად მონათალა, რამაც ცხოვრებაში, თურმე, ბევრი რამ მისცა. ეკონომიკური მეცნიერებით დაინტერესებას პროფესორ გივი ჭანუყვაძის დამსახურებად თვლის და სრულებით არ

ნანობს, რომ უფროსი კოლეგის რჩევას ყური უგდო და ასპირანტურაში სწავლა სწორედ ამ მიმართულებით გააგრძელა.

მოსკოვის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტში სამეცნიერო მივლინება საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა ახალგაზდა ეკონომისტისთვის — წარმატებით დაიცვა დისერტაცია ინგლისის შერეული ეკონომიკის თეორიული ასპექტების შესახებ. თემა საკმაოდ საინტერესო და ცოტა უჩვეულოც კი იყო იმ დროისთვის. ამის შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ქალბატონმა ჩარიტამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, საქართველოს ეკონომიკისა და ეკონომიკის პრინციპების ლექციების კურსი წაიკითხა.

მარკეტინგის მიმართულებით მუშაობა მან 1989 წელს გადაწყვიტა, როცა გაცვლითი პროგრამით, მასაჩუსეტის უნივერსიტეტის (აშშ) უილიამს კოლეჯში მოხვდა. ეს იყო პირველი გაცვლითი პროგრამა ორ უნივერსიტეტს შორის. პირველად იქ დაინტერესდა მარკეტინგის დისციპლინით და შესაბამისი ლიტერატურაც წამოიღო თან. 1994 წლიდან დაიწყო ამ მიმართულებით პედაგოგიური მოღვაწეობა.

„ეს იყო პერიოდი, როცა მარკეტინგი ნელ-ნელა იკიდებდა ფეხს ქართულ ეკონომიკურ რეალობაში. როგორც მოგეხსენებათ, მარკეტინგის გამოყენება განვითარებული ქვეყნების ეკონომიკისთვის არის დამახასიათებელი, სადაც პროდუქციის სიუხვეა მომხმარებელთა მინდების თვალსაზრისით. ჩვენს ქვეყანაში კი, იმ დროს, ყველაფერი პირიქით იყო... როცა უნივერსიტეტში ამ საგნის კითხვა დავიწყე, სტუდენტების სკეპტიკურ დამოკიდებულებას ვგრძნობდი, რადგან, რეალობიდან გამომდინარე, მათ ცოტა დაუჯერებლად მიაჩნდათ ქართული ბაზრისთვის პროდუქტების სიუხვე. დღეს სხვა რეალობაა...

უნივერსიტეტში მარკეტინგის კათედრა 2002 წელს დაარსდა და ამავე წლიდან აქ ვმოღვაწეობ. მიხარია, რომ კათედრის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, თსუ-ის ადმინისტრაციის მხრიდან, დიდ ხელშეწყობას ვგრძნობთ, ამდენად აქტიურად ვმონაწილეობთ ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში. ჩვენი სამეცნიერო პუბლიკაციები იბეჭდება საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში“, — აცხადებს ჩარიტა ჯაში, რომელიც სამეცნიერო მუშაობასთან ერთად წარმატებით თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებენ.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ჩარიტა ჯაშის მოღვაწეობა გენდერული თანასწორობის პოპულარიზაციის მიმართულებით. მსოფლიოში მიმდინარე დემოკრატიულმა პროცესებმა გენდერული თანასწორობის საკითხი მეტად მწავავედ დააყენა დღის წესრიგში. იგი გენდერული თანასწორობის შესახებ გაეროს განვითარების პროგრამის პირველი პროექტის ეროვნული კოორდინატორი გახლდათ.

„ეს დიდი პროექტი საქართველოში მაშინ განხორციელდა, როცა სიტყვა — გენდერი — აბსოლუტურად უცნობი იყო ქართული საზოგადოებისთვის. მისი ცნება კი არა, ტერმინიც კი აღიზიანებდა ხალხს. ჩვენ გენდერული თანასწორობის პოპულარიზაციას ვეწეოდით მოსახლეობაში საინფორმაციო საშუალებებით, კვლევების, სემინარებისა და დისკუსიების გამართვით. 2000-2003 წლებში უნივერსიტეტში ვკითხულობდი არჩევით კურსს: „გენდერი და ეკონომიკა“, რომელიც სტუდენტებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ახლა თსუ-ის გენდერის ინსტიტუტში, ამ მიმართულებით, როგორც პედაგოგიური, ისე სამეცნიერო კუთხით, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. მიხარია, რომ ამ ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებელი მეც ვარ“, — ამბობს ჩარიტა ჯაში — საერთაშორისო დონის ექსპერტი გენდერულ საკითხებში.

ქალბატონი ჩარიტა მარკეტინგის კათედრის ხელმძღვანელ, პროფესორ ნუგზარ თოდუასთან ერთად წარმატებით მუშაობს სოციალური მარკეტინგის კვლევის მიმართულებითაც. სოციალურ მარკეტინგს ბიზნესის მართვის 21-ე საუკუნის ფილოსოფიასაც კი უწოდებენ. მისი მიზანი სოციალური, ეკოლოგიური, მოსახლეობის კეთილდღეობასთან დაკავშირებული სხვა ისეთი საკითხების გადაჭრაზე ფოკუსირებაა, რომელიც მანამდე არ ხვდებოდა მარკეტინგის მიზნებში. სოციალური მარკეტინგი — ეს არის მარკეტინგის მიმართულება, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სოციალურ პრობლემებზე, რომელიც დღეს-დღეობით საკმაოდ აქტუალურია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ საგანში პირველი სახელმძღვანელოს — „სოციალური მარკეტინგის საფუძვლები“ — ავტორიც ჩარიტა ჯაშია.

მას, როგორც მარკეტოლოგს, ყველაზე მნიშვნელოვნად ადამიანური ურთიერთობები მიაჩნია. მისი აზრით, ურთიერთობა სტუდენტებთან და კოლეგებთან ურთიერთპატივისცემასა და კეთილგანწყობაზე უნდა იყოს დამყარებული, მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღწევა მიზანი — ხარისხიანი სწავლება! „უნივერსიტეტის პროფესორი უნდა ისწრაფვოდეს, რაც შეიძლება მეტი ცოდნა და სიახლე მიაწოდოს სტუდენტს. დღეს განვითარების ისეთი ტემპებია, რომ ამის გარეშე ხარისხიანი განათლების მიღება ყოვლად წარმოუდგენელია. ჩვენი უნივერსიტეტი მუდამ გამოირჩეოდა ინოვაციებისადმი ინტერესით. პროფესორს ყოველთვის უნდა შეეძლოს სტუდენტის გაოცება და დაინტერესება დარგის სიახლეებით. სტუდენტი უნივერსიტეტში მოდის ხარისხიანი, პროფესიული ცოდნის მისაღებად, პროფესორმა კი მას იმაზე მეტი უნდა მისცეს, ვიდრე ელოდება“, — ამბობს ჩარიტა ჯაში, რომელიც უნივერსიტეტელის მთავარ ღირსებად მაღალი იდეალებისადმი მსახურებას მიიჩნევს, რითაც იგი ყოველთვის და ყველგან გამოირჩეოდა.

**მოამზადა თამარ დადიანმა**

# ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი 2013 წლიდან ატარებს ყოველწლიურ საფაკულტეტო კონფერენციას.

წლევანდელი, IV საფაკულტეტო კონფერენცია, მიეძღვნა ივანე ჯავახიშვილი დაბადებიდან 140 წლისთავს.

კონფერენციაზე იმუშავა მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერებების, ფიზიკის, ელექტრონიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის და გეოლოგიის სექციებმა.

შარშან, III საფაკულტეტო კონფერენციაზე ახალ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. გადაწყდა, გარკვეული სექციების მუშაობა მიძღვნოდა იმ ქართველი მეცნიერების ხსოვნას, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დარგის განვითარებაში. მაშინ მათემატიკის სექციის მუშაობა მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს შალვა მიქელაძის ხსოვნას; ხოლო ბიოლოგიის სექციის მუშაობა - ქართული ფიზიოლოგიური სკოლის ფუძემდებლის აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის ხსოვნას.

წელს მათემატიკის სექციის მუშაობა მიეძღვნა აკადემიკოს ანდრო ბიწაძის დაბადებიდან 100 წლისთავს;

ბიოლოგიის სექცია მიეძღვნა საქართველოს მეცნიერებათა საქართველოს აკადემიის წევრ-კორესპონდენტ გრიგოლ თუმანიშვილის დაბადებიდან 90 წლისთავს;

გეოგრაფიის სექცია მიეძღვნა საქართველოს აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ალექსანდრე ასლანიკაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავს;

გეოლოგიის სექცია მიეძღვნა პროფესორ ვლადიმერ ქოიავას დაბადებიდან 90 წლისთავს.

ივანე ჯავახიშვილი დაბადებიდან 140 წლისთავის აღსანიშნავად ფაკულტეტზე მომზადდა ბროშურა, რომელშიც გამოკვეთილია ივანე ჯავახიშვილის როლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დაფუძნებასა და განვითარებაში: „ივანე ჯავახიშვილი არა მარტო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, არამედ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანიც იყო და იმ დროს სწორედ ამ ფაკულტეტის ნაწილს წარმოადგენდა მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ივანე ჯავახიშვილის კარგად გააზრებული ხედვა უნივერსიტეტის მოწყობის შესახებ იმაშიც გამოიხატა, რომ ეს დარგები უნივერსიტეტში დაარსების დღიდან არის წარმოდგენილი და მათ გასული 98 წლის განმავლობაში განვითარების შესაძლებლობა მიეცა. ივანე ჯავახიშვილს საქმისადმი განსხვავებული მიდგომა რომ ჰქონოდა, ძნელი სათქმელია, თუ როგორ მოხდებოდა საქართველოში მეცნიერების განვითარება“, — ნათქვამია ბროშურაში, რომელიც კონფერენციის მონაწილეებს დაურიგდა.

კონფერენციის სექციებზე საანგარიშო წელს მიღებულ სამეცნიერო შედეგები წარმოადგინეს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალმა, ფაკულტეტთან არსებულმა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიების თანამშრომლებმა, მოწვეულმა მომხსენებლებმა და სტუდენტებმა.

როგორც ცნობილია, 2015 წლიდან თსუ-ში დაიწყო მიზნობრივი სამეცნიერო პროგრამის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც ხდება სტუდენტების მონაწილეობით სამეცნიერო პროექტების დაფინანსება. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2015 წელს დაფინანსდა 16 სამეცნიერო პროექტი, რომელშიც 56 სტუდენტი მონაწილეობდა. საფაკულტეტო კონფერენციაზე შესაბამის სექციებზე წარმოდგენილი იყო მიზნობრივი პროექტების ფარგლებში მიღებული სამეცნიერო შედეგები; მოხსენებების ნაწილი წარმოადგინეს პროექტებში მონაწილე სტუდენტებმაც. პროექტების შემაჯამებელი ანგარიშები წარმოდგენილი იყო პლენარულ სექციაზე, რომლითაც ტრადიციულად იხურება კონფერენცია.

წინა წლებში პლენარულ სესიაზე თითოეული დეპარტამენტის ხელმძღვანელი წარადგენდა დეპარტამენტის შემაჯამებელ სამეცნიერო ანგარიშს. წელს დეპარტამენტების სამეცნიერო ანგარიშების წარმოდგენა მოხდა სტენდური მოხსენების სახით, რაც უფრო ინფორმაციული და აღქმადი აღმოჩნდა.

კონფერენციაზე ბევრი ახალი საინტერესო სამეცნიერო შედეგი იყო წარმოდგენილი. შედეგების ნაწილი წარდგენილი ან მიღებული არის მაღალრეიტინგულ (ტომსონის კლასიფიკატორით იმპაქტ-ფაქტორის მქონე) სამეცნიერო გამოცემებში. შრომების დიდი ნაწილი შესრულებულია სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან სამეცნიერო კოლაბორაციის ფარგლებში.

ამგვარი დიდი და მრავალფეროვანი კონფერენციის გამართვა რთულია. კონფერენცია წარმატებული რომ იყოს ყოველწლიურად ხდება ფორმატის დახვეწა მიღებული გამოცდილების საფუძველზე. ბოლო ხანებში ორი მოსაზრება ყველაზე უფრო ხშირად განიხილება: 1) ზოგიერთი სექციის საერთაშორისო კონფერენციად გარდაქმნა; 2) ზოგი დიდი დარგობრივი სექციის ქვესექციებად დაყოფა და დარგობრივი პლენარული სესიების ორგანიზება.

სტუდ-ეტიპი

# უახლოეს მომავალში თსუ-ში „გის ცენტრი“ დაარსდება

თსუ-ის გეოგრაფიის დეპარტამენტის „გის ჯგუფის“ სტუდენტებმა, გასული წელს, მდინარე ვერეს ხეობის გეოინფორმაციული სისტემა შექმნეს, რამაც აკადემიურ წრეებსა და სახელმწიფო სტრუქტურებში საკმაოდ დიდი და დადებითი გამოხმაურება მოიპოვა. ჯგუფის პოპულარობა და ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა გაიზარდა და ახალგაზრდების ნამუშევრებითა თუ პროფესიული პოტენციალით გარემოს ეროვნული სააგენტოც დაინტერესდა. სააგენტომ ,,გის ჯგუფის” წევრებს მის სივრცეში სტუდენტებისთვის ინტენსიური სალექციო კურსის და პრაქტიკული სამუშაოების მოწყობის საშუალება მისცა. ამ სალექციო კურსს სამხედრო გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ ლაოშვილი უძღვება.

გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა გახლავთ კომპიუტერულ რუკებსა და მონაცემთა ბაზებზე დაფუძნებული საინფორმაციო სისტემა, რომელიც გამოიყენება სივრცეში განთავსებული მონაცემების შეგროვების, შენახვის, მართვისა და ანალიზისთვის. ამ თემაზე პერმანენტულად ვიდეო-ლექციებს უცხოელი სპეციალისტებიც კითხულობენ.

უახლოეს მომავალში, „გის ჯგუფის“ სტუდენტების ინიციატივითა და თსუ-ის რექტორის, ლადო პაპავას პრინციპული ბრძანებით „გის ცენტრი“ (ანუ, იგივე სასწავლო-სამეცნიერო კომპიუტერული ცენტრი) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც დაფუძნდება, რომელიც თსუ-ის ყველა ფაკულტეტს სივრცითი ციფრული მონაცემებით მოამარაგებს.

„ამ სივრცეში, რომელიც გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა თამარ ბაგრატიამ დაგვითმო, კვირაში სამჯერ 100-ზე მეტი სტუდენტი თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას იღებს. ჩვენ გვაქვს ახალი გეგმა, ვაპირებთ, ვერეს ხეობაზე მუშაობა გავაგრძელოთ, რომელშიც გარემოს ეროვნული სააგენტოც ჩაერთვება. ჩვენს პროექტზე თსუ-ის რექტორს ვლადიმერ პაპავასაც ვესაუბრეთ, რომელმაც სრული მხარდაჭერა აღგვითქვა. „გის ცენტრისთვის“ უკვე გამოყოფილია სპეციალური ფართი. ცენტრის ამოქმედების შემდეგ ყველა მონაცემები, რომელსაც თავისი მდებარეობა გააჩნია გარე სამყაროში, თანამედროვე რუკაზე დაიტანება, შედგება სპეციალური გეო-საინფორმაციო ბაზა. ამის დეფიციტი ნამდვილად არსებობს უნივერსიტეტში. ახლა კი ციფრული სივრცითი მონაცემები, ფაქტობრივად, არ გაგვაჩნია“, — გვითხრა თსუ-ის გეოგრაფიის დეპარტამენტის IV კურსის სტუდენტმა, „გის ჯგუფის“ წევრმა მათე ხოფერიამ.

გარემოს ეროვნულ სააგენტოში თსუ-ის „გის ჯგუფის“ სტუდენტების ნაწილი სტაჟირებასაც გადის. მათ აქვთ წვდომა უახლოეს ტექნოლოგიებთან, რაც მომავალი სპეციალისტების პროფესიულ ზრდისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია. სამხედრო გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის ზურაბ ლაოშვილის შეფასებით, სწავლის შედეგად სტუდენტები თანამედროვე დასაქმების ბაზრის ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებენ.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად 2012 წელს ბატონმა ნოდარ ელიზბარაშვილმა მიმიწვია. სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, როდესაც სტუდენტების

ზურაბ ლაოშვილი

დიდი ინტერესი შევამჩნიე. გადავწყვიტეთ, ყოველ შაბათს დამატებითი ლექციებიც ჩაგვეტარებინა. მიუხედავად იმისა, რომ საუნივერსიტეტო სილაბუსებში გეო-ინფორმაციულ სისტემებს საკმაოდ სოლიდური საათები ეთმობა, ყველაფერი გათვალისწინებული მაინც არ არის. „გის“ ტექნოლოგიებზე კი სერიოზული მოთხოვნებია თითქმის ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში. უფრო მეტიც, ევროკავშირისა და ევროპარლამენტის მოთხოვნის საფუძველზე, სახელმწიფო ახორციელებს პროექტს, რომელიც სივრცითი მონაცემების ერთ სისტემაში განთავსებას გულისხმობს. გარემოს ეროვნულ სააგენტოში ჩატარებულ ლექციებზე სივრცითი ანალიზის ტექნოლოგიებს, გეო-ინფორმაციულ სისტემას ვასწავლით. სტუდენტები ითვისებენ ინფორმაციის მოპოვებას, დაბინავებას, მათ გამოყენებას ტექნოლოგიებთან ინტეგრაციის პროცესში. დღეისათვის „გის“ მიმართულებით კვალიფიცირებული სპეციალისტების დეფიციტია და ვცდილობთ ამ ხარვეზის გამოსწორებას. ეს გახლავთ კეთილ ნებაზე დაფუძნებული მეცადინეობები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „გის ცენტრის“ ამუშავების შემდეგ კი ამ ყველაფერს ოფიციალური სახე მიეცემა“, — განაცხადა ზურაბ ლაოშვილმა.

თსუ-ის „გის ჯგუფის“ სტუდენტების პროექტის შესახებ, რომელიც მდინარე ვერეს ხეობას ეხება, ინფორმაცია ზურაბ ლაოშვილის წიგნშიც — „გეოგრაფია ყველასათვის“ — არის მოცემული. ერთ-ერთ თავში („ბუნება მბრძანებელია“) აღნიშნულია, რომ „თსუ გის ჯგუფის“ სტუდენტებმა საველე და კამერალური სამუშაოების შედეგად თავი მოუყარეს მდინარე ვერეს აუზის შესახებ არსებულ ლიტერატურულ, კარტოგრაფიულ და სხვა სახის მონაცემებს და განათავსეს ერთიან გეოინფორამციულ სისტემაში. აღნიშნული მონაცემები საფუძვლად დაედო თემატურ რუკებს და სამგანზომილებიან ციფრულ მოდელებს, რაც კარგ მასალას წარმოადგენს ბუნებრივი კატასტროფების ექსპერტული შეფასებებისთვის“.

უახლოეს მომავალში ,,გის ჯგუფი” მდინარე ვერეს ხეობასთან დაკავშირებით ახალ პროექტს წარადგენს. წინასწარი შეთანხმების თანახმად, ამ საჭირო საქმეში უნივერსიტეტი და გარემოს ეროვნული სააგენტო მათი მხარდამჭერი იქნება.

**მოამზადა ნატო ობოლაძემ**

# ,,1+4” — ახალი იმედი ეთნიკური უმცირესობებისთვის

*„პროგრამა ,,1+4“-ის მეშვეობით არა მარტო გავაგრძელებ განათლებას და მივიღებ შესაბამის ცოდნას საქართველოში, არამედ ვისწავლი სახელმწიფო ენას“, — ამბობს გევორგ ქოსიანი. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტია. დაამთავრა სოფელ ფოკის სომხური საჯარო სკოლა, ქართულ უნივერსიტეტში კი ,,1+4'' პროგრამის გავლის შემდეგ ჩაირიცხა, ისევე, როგორც ათობით მისი თანაკურსელი.*

*აფხაზები, ოსები, ქურთები, რუსები, ბერძნები, ებრაელები, აზერბაიჯანელები, სომხები, თურქები, ჩინელები, არაბები, ბოშები — ეს იმ ეთნიკური ჯგუფების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ. მთელი საქართველოს მასშტაბით, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მიზნით, არა ერთი პროგრამა ხორციელდება. მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის შესწავლისა და განათლების საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები.*

წლებია, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები და სომხები უმაღლეს განათლებას უცხოეთში (შესაბამისად, აზერბაიჯანსა და სომხეთში, ნაწილიც, რუსეთში) იღებენ. განათლების უცხოეთში მიღების მთავარი მიზეზი კი ქართული ენის არცოდნაა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილი „1+4“ პროგრამა საქართველოში ერთადერთია, რომლის მეშვეობითაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ აბიტურიენტებს შესაძლებლობა აქვთ — მიიღონ უმაღლესი განათლება ქართულ უნივერსიტეტებში. პროგრამა 2010 წლიდან ხორციელდება და სწორედ ამ პროგრამის დახმარებით საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ბევრი წარმომადგენელი აბიტურიენტი იძულებული აღარ არის — გახდეს ემიგრანტი და განათლება უცხოეთში მიიღოს.

ამ პროგრამის მეშვეობით, აზერბაიჯანელი და სომეხი აბიტურიენტები ეროვნულ გამოცდებს აღარ აბარებენ. უმაღლესში მოსახვედრად მათთვის მშობლიურ ენაზე ზოგადი უნარების ტესტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის დაძლევა საკმარისია. ზოგადი უნარების ჩაბარების შემდეგ, 1 წლის განმავლობაში, ისინი ქართული ენის მოსამზადებელ კურსს გადიან. აღნიშნული კურსის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 4 წლის განმავლობაში, შესაძლებლობა აქვთ, გაიარონ საბაკალავრო პროგრამა მათთვის სასურველ ფაკულტეტზე. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო დაფინანსებაც გათვალისწინებულია. ყოველწლიურად, „1+4“ პროგრამის ფარგლებში, 100 სომხურენოვანი და 100 აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტი ფინანსდება.

ეს პროგრამა ხორციელდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ახალციხის სასწავლო ინსტიტუტსა და ახალქალაქის კოლეჯში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სამედიცინო უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, გორის, თელავის, ქუთაისის და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. მაგრამ ზოგ უნივერსიტეტში განსხვავებულია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები. თსუ-ისგან განსხვავებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯგუფები არ არის დაყოფილი — სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები ერთად სწავლობენ. ჯგუფების დაყოფასთან დაკავშირებულ საკითხს სხვა კუთხითაც უნდა შევხედოთ. როცა აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტები ერთ ჯგუფში სწავლობენ, რა თქმა უნდა, მათ შორის კომუნიკაცია ქართულ ენაზე ხდება, გამომდინარე იქიდან, რომ აზერბაიჯანელებმა არ იციან სომხური, სომხებმა კი — აზერბაიჯანული. მათთვის ყველაზე მთავარი კი ქართულად ლაპარაკია. წიგნების კითხვა და გრამატიკის სწავლა არ ეხმარება მათ იმდენად, რამდენადაც ქართულ ენაზე კომუნიკაცია. მთავარია ლაპარაკის დაწყება, თუნდაც შეცდომებით. ჩვენ ხომ შეცდომებზე ვსწავლობთ!

„4+1” კურსის მიზანი ძალიან კარგია, მაგრამ დადებითთან ერთად, ამ პროგრამის უარყოფით მხარეებზეც უნდა ვისაუბროთ. რამდენადაა შესაძლებელი 1 წლის განმავლობაში ქართული ენის შესწავლა? ეს საკითხი თეორიულად და პრაქტიკულად, გამოცდილების გათვალისწინებით, კითხვის ნიშნის ქვეშაა. ენის სწავლების ერთწლიანი პროგრამა, ხშირად, ისეთი აბიტურიენტებისთვის, რომლებმაც ქართულად რამდენიმე სიტყვის გარდა, არაფერი იციან, არასაკმარისია, შესაბამისად, მათთვის ბაკალავრიატის საფეხურზე იქმნება გარკვეული სირთულეები. სამწუხაროდ, ეს პრობლემა ყველა არაქართულენოვან სტუდენტთან არის.

ამ პრობლემის არსებობა შეგვიძლია განვიხილოთ გამომდინარე მოსამზადებელ კურსზე გავლილი საგნებიდან. ისინი სწავლობენ წერას, კითხვას, მოსმენას, ლაპარაკს, მაგრამ არა დიდი თემების სწავლასა და ამა თუ იმ პროფესიის შესაბამის ტერმინოლოგიას. რა თქმა უნდა, ქართული ენის ცოდნის ასეთი დაბალი დონით საუბარი არც შეიძლება იყოს სხვადასხვა პროფესიის თემების გავლაზე. ამიტომაც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსის ხელმძღვანელობა, ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, მომავალი სემესტრიდან „ტუტორიუმის“ პროექტის განხორციელებას იწყებს, რაც გულისხმობს მაღალკურსელი სტუდენტების (ქართულენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი) მიერ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტებისთვის დახმარების გაწევას აკადემიური კუთხით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადებული პროგრამა წარმატებულად ხორციელდება. ეს უკანასკნელი ემსახურება ქართველი და არაქართველი სტუდენტებისთვის თანაბარი პირობების შექმნას. პროგრამამ ამ მიზანს მიაღწია. წლების განმავლობაში იზრდება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში „1+4“ პროგრამით ჩაბარების მსურველების რაოდენობა. დღეს უკვე საქართველოში სწავლის გაგრძელების ინტერესი სასკოლო პერიოდიდანვე იბადება. არაქართულენოვანი სკოლების მაღალი თუ დაბალი სასწავლო საფეხურის თითქმის ყველა მოსწავლეს სურს — განათლება საქართველოში მიიღოს.

პროგრამა „1+4“ ახალი იმედი იყო და არის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მომავალი თაობისთვის. მათ ამ პროგრამის მეშვეობით შეუძლიათ თავისუფლად გააგრძელონ განათლება საქართველოში, მიიღონ შესაბამისი ცოდნა და ისწავლონ სახელმწიფო ენა, რომელიც მათთვის უკვე წინაღობას აღარ წარმოადგენს.

**ნარგიზ პოდოსიანი,**
**სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის სტუდენტი**

# პირველი ქართული მონოგრაფია სარეიტინგო კომპანიის სამართალში

ნატო ოგოლაძე

სარეიტინგო კომპანიის სამართალში პირველი ქართული მონოგრაფია გამოიცა. კვლევა „სარეიტინგო კომპანიის სამართალი“ თსუ-ის კურსდამთავრებულს, სამართლის დოქტორს ნინო ჯიბუტს ეკუთვნის. სარეიტინგო კომპანიის სამართალი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი სფეროა, თუმცა როგორც მკვლევარი ნაშრომში აღნიშნავს, კვლევების წარმოებაზე მოთხოვნა იზრდება, რადგან სარეიტინგო კომპანიები ქვეყნის ეკონომიკის ფორმირებაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობენ. ნინო ჯიბუტის კვლევის ხელმძღვანელი და წიგნის „სარეიტინგო კომპანიის სამართალი“ რედაქტორი თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი ბურდული გახლავთ.

ნინო ჯიბუტი

„ნაშრომში ახსნილია, თუ რას წარმოადგენს პროდუქტი „რეიტინგი“, ვინ არიან მისი სუბიექტები და როგორ ხდება მისი შედგენა; გაანალიზებულია სარეიტინგო კომპანიის მარეგულირებელი რეფორმის ძირითადი მიმართულებები გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის კავშირში. ამასთან, განხილულია სარეიტინგო კომპანიის რეგულირება გლობალურ ფინანსურ კრიზისამდე; ჩატარებულია შედარებით-სამართლებრივი ანალიზი სარეიტინგო კომპანიების რეგულირების ნორმების (რეგისტრაცია, პასუხისმგებლობა და სხვა) მიხედვით. თითოეული საკითხი დამუშავებულია საქართველოს კონტექსტში. წარმოდგენილია საქართველოში სარეიტინგო კომპანიების მოქმედებისა და ქართულ სამართალში მათ შესახებ არსებული მდგომარეობის დახასიათება“.

„სარეიტინგო კომპანიები ახდენენ გადახდისუნარიანობის შეფასებას; ამბობენ თავის მოსაზრებას ამა თუ იმ სუბიექტის შესახებ, თუ რამდენად შეძლებს ვალის უკან დაბრუნებას მოცემულ დროში თავისი პროცენტებით. ეს არის თემატიკა, რომელიც აქტუალურია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. სამეცნიერო წრეები ამ საკითხით განსაკუთრებით 2008 წლიდან დაინტერესდნენ. 2008 წლის შემდეგ საზოგადოება მიხვდა, რომ სარეიტინგო კომპანიების თავისუფალი ფუნქციონირება ზიანის მომტანი იყო. გაჩნდა მათი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების შექმნის საჭიროება და ამ ნორმების მეცნიერულად დამუშავების აუცილებლობა. საქართველოს კანონმდებლობაში ამ მიმართულებით ვაკუუმია, მიუხედავად იმისა, რომ ის, როგორც ქვეყანა, ფლობს რეიტინგს. ეს მონოგრაფია გახლავთ პირველი ნაშრომი ქართულ ენაზე, რომელიც სარეიტინგო კომპანიების სამართალს ეხება“, — განაცხადა ნინო ჯიბუტმა.

პრეზენტაციაზე დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა დიმიტრი გეგენავამ საზოგადოებას, წიგნის გაცნობის შემდეგ, ხელახლა შეკრება და მისი განხილვა შესთავაზა. აღნიშნულ ინიციატივას თსუ-ის რექტორი ვლადიმერ პაპავა გამოეხმაურა. შედეგად კი გადაწყდა, რომ მონოგრაფიას — „სარეიტინგო კომპანიის სამართალი“ — იურისტები და ეკონომისტები ერთობლივად განიხილავენ.

„მივესალმები ავტორის ინიციატივას, რომ სარეიტინგო კომპანიის სამართლის შესწავლა გადაწყვიტა. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც სარეიტინგო კომპანიებს მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ, მათი საქმიანობის შესახებ ჯეროვანი ინფორმაცია ყოველთვის არ არის. ჩვენი ქვეყანა პირველ ნაბიჯებს დგამს სარეიტინგო კომპანიებთან დაკავშირებით. ხშირად არასწორი ინფორმაცია ჟღერს, რომელიც რეალობას არ შეესაბამება, ამიტომ ცოდნა საჭიროა და ამ თვალსაზრისით ნაშრომი ძალიან მნიშვნელოვანია. მე ხშირად ვესწრები წიგნების პრეზენტაციებს, მაგრამ წიგნების განხილვები არ მახსენდება. ეს საერთო სენია. ამიტომ მივესალმები ინიციატივას, რომ მოეწყოს მონოგრაფიის განხილვა. მოხარული ვიქნები, თუ მას იურისტებთან ერთად ეკონომისტებიც დაესწრებიან“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

„ეს თემა ძალიან აქტუალური და, ამავე დროს, ძალიან შეუსწავლელია. მას მეტ აქტუალურობას მატებს ის ფაქტი, რომ გვსურს — ვიყოთ ევროპის ნაწილი. ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაში დიდ როლს თამაშობს ეკონომიკური სამართლის მიმართულება. ვფიქრობ, ეს მონოგრაფია იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ინტეგრირებული იქნება სასწავლო კურიკულუმებში“, — აღნიშნა დიმიტრი გეგენავამ.

მონოგრაფიის „სარეიტინგო კომპანიის სამართალი“ პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 26 იანვარს გაიმართა. ნინო ჯიბუტმა წიგნი ივლიტა ჯიბუტის და 13 ივლისს თბილისში ტრაგედიის დროს დაღუპულთა ხსოვნას მიუძღვნა.

ინფორმაციისთვის: ნინო ჯიბუტმა ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამივე საფეხური გაიარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც 2015 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. იგი სხვადასხვა დროს სწავლობდა ზაარბრიუკენის უნივერსიტეტში, ოქსფორდის სამართლის სკოლასა და ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში. მინიჭებული აქვს ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის ხარისხი. სარეიტინგო კომპანიის სამართლის კვლევაზე ნინო ჯიბუტი 6 წლის განმავლობაში მუშაობდა.

# თსუ საბავშვო უნივერსიტეტი და თანამშრომლობის ახალი კავშირები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის საბავშვო უნივერსიტეტმა და საქართველოს სკოლის გარეშე არაფორმალური განათლების ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ერთობლივი კონფერენცია გამართეს. შეხვედრა 8 თებერვალს უნივერსიტეტის 98 წლის საიუბილეო დღეს გაიმართა.

დეკემბერში საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში საქართველოს სკოლის გარეშე არაფორმალური განათლების ორგანიზაციების შეხვედრა შედგა. აქვე აღვნიშნავთ, რომ სასახლე ერთგვარი მაკოორდინირებელი ცენტრი და მაგალითის მიმცემია ამ სასწავლო დაწესებულებებისთვის, თუნდაც იმიტომ, რომ უზარმაზარი ტრადიციები აქვს. შეხვედრაზე თსუ საბავშვო უნივერსიტეტიც იყო მიწვეული. გადაწყდა, რომ თსუ საბავშვო უნივერსიტეტის საქმიანობის უკეთ გაცნობისა და თანამშრომლობის გზების დასახვის მიზნით, სკოლის გარეშე არაფორმალური განათლების ორგანიზაციები სწორედ 8 თებერვალს სწვეოდნენ თსუ-ს.

„მოხარული ვარ, რომ გვეწვივნენ სკოლის გარეშე არაფორმალური საგანმანათლებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები. რეგიონებში მათ აქვთ კონტაქტი სწავლით, მეცნიერებით, ხელოვნებით დაინტერესებულ ახალგაზრდებთან, ანუ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სწორედ იმ ნაწილთან, რომელიც სკოლის გარეთ ეძებს ინტერესების დაკმაყოფილებების საშუალებას, ამიტომ ეს საგანმანათლებლო ორგანიზაციები უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რეგიონში. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, ეზიარონ ხელოვნებას, დაინტერესდნენ მეცნიერების მიღწევებით და, რაც მთავარია, ეს მათი სწავლის მოტივაციას ზრდის“, — განაცხადა თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ხელმძღვანელმა და შეხვედრის ორგანიზატორმა მარინა ლომოურმა.

მარინა ლომოური

კონფერენციის მონაწილე სკოლის გარეშე არაფორმალური განათლების ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მიიღეს ინფორმაცია თსუ საბავშვო უნივერსიტეტის საქმიანობის, პროგრამებისა და გეგმების შესახებ, გამოკვეთეს ინტერესების სფეროები და თანამშრომლობის გზები დასახეს. მსგავსი შეხვედრები ყოველწლიურად გაიმართება.

„მოხარულები ვართ, რომ საფუძველი ჩავუყარეთ თანამშრომლობას, დავსახეთ მუშაობის გეგმა, გავაცანით ჩვენი ის შესაძლებლობები, რასაც ვთავაზობთ სკოლის ასაკის მოსწავლეებს და იმ ორგანიზაციებს, სადაც ეს მოსწავლეები თავს იყრიან. კონტაქტის გასაღრმავებლად ვგეგმავთ ჩავიდეთ რეგიონებში. ჩვენ მათ ვთავაზობთ ლექციებს მეცნიერების სხვადასხვა სფეროში, ექსკურსიებს უნივერსიტეტში, მონაწილეობას კონფერენციებში, ვიქტორინებში“, — ამბობს თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ხელმძღვანელი.

8 თებერვლის კონფერენციაში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ასეთი ტიპის შეხვედრები მნიშვნელოვანია მათი საქმიანობის გასაძლიერებლად. უნივერსიტეტის და საქართველოს სკოლის გარეშე არაფორმალური განათლების ორგანიზაციების კავშირი ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში სწავლის მოტივაციის ამაღლებას, პიროვნულ ზრდას და შემოქმედებით განვითარებას. სკოლის გარეშე არაფორმალური განათლების ორგანიზაციებისათვის მნიშვნელოვანია ასევე უნივერსიტეტთან პროფორიენტაციის საკითხებში თანამშრომლობა.

მოამზადა
თამარ ასლანიკაშვილმა

# შალვა რადიანის „შემობიჯება“ უნივერსიტეტში

*„ბამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება დაუვიწყარ ეპიზოდთა გაუთავებელი რგოლებია იმ დაუსრულებელი ჯაჭვისა, რომელიც მათ ბიოგრაფიას თან დაჰყვება. ეს წიგნი, ვფიქრობთ, საინტერესო კვალს დატოვებს ქართული კულტურის ისტორიაში — წიგნი „დამძიმებულია“ თითქმის მთელი საუკუნის კულტურით, მწერლობით, იმ ადამიანებით, რომლებიც ქმნიდნენ წარსულ საუკუნეს, ალამაზებდნენ დროს და ქვეყანას“, — მერი გომართელი-რადიანის ამ სიტყვებით მთავრდება წიგნი „გარდასულ დღეთა მატიანე“, რომლის წარდგინება 22 იანვარს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა.*




**შურთხია ბეროშვილი**

XX საუკუნის მნიშვნელოვანი მოღვაწის, ქართველი ლიტერატურათმცოდნისა და კრიტიკოსის, პროფესორ შალვა რადიანის მოგონებათა კრებული მის საარქივო მასალაზე დაყრდნობით გამოიცა. როგორც წიგნის რედაქტორი ცისანა გენძეხაძე აღნიშნავს, კრებულში შესული წერილების, მემუარების, დოკუმენტების, ეპისტოლარული მემკვიდრეობის, პუბლიკაციების გაცნობის შემდეგ მკითხველი ეპოქის მაჯისცემას იგრძნობს და გაეცნობა საზოგადოებისთვის ბევრ უცნობ ლიტერატურულ თუ ისტორიულ ფაქტებს.

შალვა რადიანმა ლიტერატურული მოღვაწეობა 1926 წლიდან დაიწყო. 27 წიგნისა და 300-ზე მეტი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილის ავტორი იყო. იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნაში. სხვადასხვა დროს მუშაობდა პერიოდული გამოცემების რედაქციებში. მნიშვნელოვანია მისი პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც იგი ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს კითხულობდა. 1944 წლიდან შალვა რადიანმა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში განაგრძო თავისი საქმიანობა — თავდაპირველად ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის გამგედ, შემდეგ კი დირექტორის პოსტზე. შალვა რადიანი ავტორია მრავალი სამეცნიერო და ლიტერატურულ-კრიტიკული ნაშრომისა. მისი ძირითადი გამოკვლევებია: „თანამედროვე ქართული ლიტერატურა“, „ლიტერატურული პორტრეტები“, „ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები“, „ნიკოლოზ ბარათაშვილი და ქართული რომანტიზმი“, „ახალი ქართული ლიტერატურა“, „XX საუკუნის ქართული ლიტერატურა“, „სახეები და შთაბეჭდილებანი“, „თანამედროვენი“ და სხვა. მისი რედაქციით გამოიცა ქართველი მწერლების თხზულებათა კრებულები ქართულსა და რუსულ ენებზე. ამასთან, იგი იყო ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების ავტორი და თანაავტორი. აღსანიშნავია, რომ შალვა რადიანის დამსახურებაა მიხეილ ჯავახიშვილის არქივის გადარჩენა — იგი მის მეზობლად ცხოვრობდა და ის, რაც ჩეკისტების ჩხრეკის შემდეგ გადარჩა, უკლებლივ გადასცა დიდი მწერლის ოჯახს.

„გარდასულ დღეთა მატიანე“ ძალზე ღირსაცნობი და მნიშვნელოვანი წიგნია. მასში საინტერესოდ არის თავად შალვა რადიანის პორტრეტი წარმოჩენილი, რაც მოგონებათა ფონზე იკვეთება. მნიშვნელოვანია, რომ ეს მოგონებები, რომლებიც ცნობილ და გამოჩენილ მოღვაწეებს ეკუთვნით, მის პროფესიონალიზმთან ერთად, ხაზს უსვამს მის კაცობასა და კეთილშობილებას. საყურადღებოა შალვა რადიანისეული შეფასება გალაკტიონის მიმართ, რომელმაც, ჯერ კიდევ 16 წლის ასაკში, შენიშნა, რომ „არტისტული ყვავილების“ ავტორი არისტოკრატი პოეტი იყო. წიგნში, ამ თვალსაზრისით, ბევრი საინტერესო და უნიკალური შეფასებაა მოცემული, რაც მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება“, — აღნიშნა პროფესორმა ინესა მერაბიშვილმა.

წიგნის მნიშვნელობასა და შალვა რადიანის მოღვაწეობაზე თავისი მოსაზრება გამოთქვა პროფესორმა ვალერი ასათიანმა: „სასიამოვნო ფაქტია, რომ სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმართება შალვა რადიანის ხსოვნის საღამო და მისი მოგონებათა კრებულის პრეზენტაცია. წიგნი, არსებითად, XX საუკუნის სამეცნიერო და კულტურული ცხოვრების მატიანეა და იმ პროცესებში ბატონი შალვა რადიანის ადგილი ნამდვილად გამორჩეულია. იგი ათეულობით წლების მანძილზე ემსახურებოდა ქართულ მეცნიერებას და ამ კუთხით მნიშვნელოვანია მისი მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც“, — აღნიშნა ვალერი ასათიანმა.

„წიგნი გასაოცარი სიმსუბუქით შეგვიძღვება იმ საკმაოდ რთულ და ორაზროვან ეპოქაში, რომელშიც შალვა რადიანი მოღვაწეობდა. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს, რაც იმ დროს ნამდვილად არ იყო ადვილი საქმე, რადგან მას დირექტორობა მოუწია კორნელი კეკელიძის შემდეგ და ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც ყველა საქმეს კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა ესაჭიროებოდა. შალვა რადიანს თავისი ძალისხმევა არ დაუშურებია ინსტიტუტში სამეცნიერო მუშაობის აღმავლობისა და განვითარებისთვის. საარქივო მასალის გამოცემა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ამიტომ სასიამოვნოა, რომ წიგნის შემდგენლებმა მოახერხეს ამ საკმაოდ ვრცელი მასალის სწორად და საინტერესოდ დალაგება“, — განაცხადა თსუ-ის შოთა რუსთაველს ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა ირმა რატიანმა.

პრეზენტაციაზე წიგნზე მუშაობის პროცესზე და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა გამომცემლობა „უსტარის“ მთავარმა რედაქტორმა თამარ გელოვანმა: „ამ წიგნის გამოცემას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან შალვა რადიანის შემოქმედება ამოუწურავია. სასიამოვნოა, რომ დღეს იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თავად არის მასპინძელი. წიგნის გამოცემაში ლომის წილი მის მეუღლეს მერი გომართელ-რადიანს ეკუთვნის. წიგნის ბოლო გვერდი სწორედ მის მოგონებებს ეთმობა. საარქივო მასალებზე მუშაობა ჩემთვის საინტერესო იყო, მასში აქტიურად იყო ჩართული ცისანა გენძეხაძეც. მნიშვნელოვანია ისიც, რომ წიგნის დიზაინი ეკუთვნის მეცნიერის შვილიშვილს, უმცროს შალვა რადიანს“, — განაცხადა თამარ გელოვანმა.

მოგონებათა კრებულის — „გარდასულ დღეთა მატეანე“ — პრეზენტაციას შალვა რადიანის შვილებიც დაესწრნენ, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მამის დანატოვარი არქივი მხოლოდ ოჯახის საკუთრება არ არის და რომ იგი მთელ ერს ეკუთვნის. „არქივი, რომელიც დედამ დაამუშავა, ძალიან საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ კიდევ ერთხელ „ცოცხლდება“ XX საუკუნე და ,,ცოცხლდებიან” ის მოღვაწეებიც, რომლებიც იმ ეპოქას ამშვენებდნენ. გარდა ამისა, ამ მასალების გაცნობა მომავალი თაობისთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია. დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომელმაც წვლილი შეიტანა ამ საშვილიშვილო საქმეში. წიგნის გამოცემით მამამ კიდევ ერთხელ „შემოაბიჯა“ უნივერსიტეტის კედლებში, სადაც ნახევარ საუკუნეზე მეტი გაატარა“, — გაგვიზიარა თავისი შთაბეჭდილება მალხაზ რადიანმა.

# ფილმი და დისკუსია საერთაშორისო პოლიტიკაზე

საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბი, რომლის მიზანიც დიპლომატიური კულტურის განვითარება და საერთაშორისო ურთიერთობებისა და მსოფლიო პოლიტიკის საკითხებში ახალგაზრდების ცოდნის გაღრმავებაა, არა ერთი საინტერესო ღონისძიების ინიციატორია. ამჯერად უნივერსიტეტის მარო მაყაშვილის სახელობის სამკითხველო დარბაზში კლუბის ორგანიზებით ამერიკული ფილმის ,,სასტუმრო ,,როანდას” ჩვენება და დისკუსია გაიმართა. დისკუსიას პროფესორი, პოლიტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი კორნელი კაკაჩია უძღვებოდა.

*კორნელი კაკაჩია*

ტერი ჯორჯის ფილმი ,,სასტუმრო ,,როანდა” 2004 წელს გამოვიდა ეკრანებზე. ფილმი 1994 წლის როანდის სამოქალაქო ომის ტრაგიკულ ამბებს ეძღვნება და ტერი ჯორჯისა და კირ პირსონის ამავე სახელწოდების ნაწარმოების ეკრანიზაციაა. როანდაში ხუტუსა და ტუტსის ხალხებს შორის დაპირისპირება სამოქალაქო ომისა და გენოციდის მიზეზი გახდა. ფილმის მთავარი გმირი, რომელსაც მსახიობი დონ ჩიდლი ასახიერებს, პრესტიჟული სასტუმროს მფლობელი და საკმაოდ გავლენიანი პიროვნებაა. სწორედ მისი ძალისხმევით მრავალი ადამიანი გადაურჩა სიკვდილს, საამისოდ კი ჩიდლის გმირმა ყველა შესაძლო გავლენა, პირადი კავშირები და, მათ შორის, მედიაც გამოიყენა. ფილმი შეულამაზებლად უჩვენებს როგორც სამოქალაქო ომის მთელ საშინელებას, ისე კორუფციული მმართველობისა და დიდი პოლიტიკის კულუარებს. ფილმი რამდენიმე ,,ოსკარის”, ,,ოქროს გლობუსის”, ,,გრემისა” და სხვა პრესტიჟული პრემიების ლაურეატია. საერთო პათოსის გამო, თავის დროზე, ,,სასტუმრო ,,როანდა” სტივენ სპილბერგის ,,შინდლერის სიასაც” შეადარეს.

,,მსგავსი შინაარსის ფილმების ჩვენება, რომლებიც ასახავენ საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე პროცესებსა და გამოწვევებს, სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით საინტერესოა, როდესაც ფილმის ნახვის შემდეგ ახალგაზრდებს საშუალება ეძლევათ — ლექტორთან ერთად მოახდინონ მისი ანალიზი”, – აღნიშნა საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბის წევრმა, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა დაჩი შანიძემ.

მოწვეული ლექტორი ამჯერად პროფესორი კორნელი კაკაჩია იყო. მისი თქმით: ,,როდესაც მსოფლო პოლიტიკას ვსწავლობთ, გავდივართ ისეთ თემებს, რომლებიც ასახულია ამ ფილმში, მათ შორის არის ჰუმანიტარული ინტერვენციის, ადამიანის უფლებების დაცვის, კონფლიქტების მოწესრიგებაში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო საზოგადოების როლის საკითხები. ხდება ისე, რომ შეიძლება, ძალიან კარგი ლექტორი და კარგი წიგნი იყოს, მაგრამ იმდენად მძაფრად და ნათლად ვერ გადმოსცეს ეს საკითხები, როგორც ერთმა კარგმა ფილმმა”.

ფილმის ჩვენების შემდეგ გამართული დისკუსია საბოლოოდ მაინც საშინაო პოლიტიკის საკითხებს დაუკავშირდა: ისაუბრეს ეთნოწმენდაზე აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში; იმაზეც, თუ როგორ მოხდა ამ მოვლენების შეფასება ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსების მიერ და გააანალიზეს პროფესიულად სწორად წარმოებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო პოლიტიკის შედეგები და მნიშვნელობა.

**მოამზადა ლელა კურდღელაშვილმა**

# ვალდებულნი ვართ — თანხა და ცოდნა უკან დავუბრუნოთ ქვეყანას

## ფუნდამენტური ფიზიკის მაგისტრანტების წარმატება

18-19 ივლისს ათენში გაიმართება ფიზიკოსთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც ზეპირი მოხსენებისთვის მინვეულნი არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიკოსი ნოდარ ცინცაძე და მისი მაგისტრანტები: დავით ალხანიშვილი, გრიგოლ ფერაძე და დავით ბულისკირია. თითქოს ისეთი არც არაფერი ხდება — ჩვეულებრივი სამეცნიერო კონფერენციაა, რომლის მსგავსზეც არა ერთი სტუდენტი-დოქტორანტი ან მაგისტრანტი (ზოგჯერ ბაკალავრიც) გამოსულა, მაგრამ ამ ამბავს აქვს ერთი საყურადღებო მხარე — ისინი სულ ცოტა ხანია, რაც ხელმძღვანელთან ერთად მუშაობენ სერიოზულ სამეცნიერო კვლევებზე. თითოეულ მათგანს უკვე აქვს საინტერესო მიგნებები, რომელმაც მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი სამეცნიერო ფორუმის საორგანიზაციო კომიტეტის ყურადღება მიიპყრო.

*ფოტოზე მარცხნიდან მარჯვნივ: დავით ბულისკირია, აკადემიკოსი ნოდარ ცინცაძე, გრიგოლ ფერაძე, დავით ალხანიშვილი.*

როგორც აკადემიკოსი ნოდარ ცინცაძე ამბობს, იშვიათი შემთხვევაა, როცა სტუდენტებს საერთაშორისო კონფერენციაზე ზეპირი მოხსენებისთვის იწვევენ, რადგან თემამ რომ მოწონება დაიმსახუროს, ის უნდა იყოს საინტერესო და აუცილებლად უნდა შეიცავდეს სიახლეს... „რადგან ბიჭები ზეპირი მოხსენებისთვის ათენში მიიწვიეს, ეს იმას ნიშნავს, რომ უცხოელებმა ისინი უკვე შემდგარ მეცნიერებად მიიჩნიეს. ჩემთვის ეს დიდი პასუხისმგებლობაცაა და მორიგი სიხარულის საბაბიც. ჩემს მიმართულებას წინაპარი არ ჰყოლია საქართველოში. ეს არის ყველაზე მაღალი დონის ფიზიკა და კარგი ფიზიკოსი რომ დადგე, ეს მიმართულება უნდა იცოდე. ბევრი მოსწავლე მყოლია. დღემდე 43 მეცნიერი აღვზარდე მსოფლიოს მასშტაბით. დღეს ისინი წარმატებით მოღვაწეობენ იაპონიაში, შვეიცარიაში, პაკისტანში, ირანში, ყაზახეთში... მათ შორის არიან აკადემიკოსები და აკადემიკოს-მდივნებიც, მაგრამ განსაკუთრებით მიხარია, როცა ჩემი მოსწავლეები აქ, საქართველოში აღწევენ წარმატებებს“, — ამბობს ბატონი ნოდარი და სიამოვნებით აღნიშნავს მისი მაგისტრანტების წარმატებულ ნაბიჯებს მეცნიერებაში. „ეს ბიჭები თავად დაინტერესდნენ სამეცნიერო კვლევებით და პირველივე ეტაპიდან სერიოზულ კვლევებში ჩავრთე, რადგან დროის დაკარგვა სწორად არ მიმაჩნია. ნიჭიერი ბიჭები არიან, დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ საქმეს და შედეგიც გვაქვს. მიხარია, რომ ათენის კონფერენციაზე ოთხივე ვართ მიწვეული, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მათგან ერთი – გრიგოლ ფერაძე — მანამდე პეკინშიც წაიკითხავს მოხსენებას, რომელიც შეეხება კვანტურ ნანოსტრუქტურებს ფერმის სითხეში“, — სიხარულს გვიზიარებს ბატონი ნოდარი.

თავად მაგისტრანტები უკვე ემზადებიან სამეცნიერო კონფერენციაზე გამოსასვლელად და ჩვენთან საუბარში დაწვრილებით აღწერენ იმ თემებს, რომელიც უცხოელ კოლეგებს უნდა გააცნონ:

**დავით ალხანიშვილი:** „ჩემი თემა შეეხება „ფერმის სითხის კვაზიწრფივ თეორიას“. თავად ფერმის სითხე არის ჰელიუმ სამის, ან ჰელიუმ ოთხის იზოტოპები, რომლებიც ძალიან დაბალ ტემპერატურაზე თხევადდება და იძენს ზედენადობის თვისებას. უბრალო ენით რომ ვთქვათ – თუ, მაგალითად, წყალი ჭიქაში ჩასხმის შემდეგ ტოვებს წვეთებს, ამ სითხეს ასეთი თვისება არ აქვს, არც ერთ ზედაპირს არ ეკვრება. თავის დროზე ლანდაუმ შეისწავლა ფერმის სითხე და აღმოაჩინა, რომ მასში ვრცელდებოდა განსაკუთრებული სახის ბგერითი ტალღები და მას ნულოვანი ბგერები უწოდა. სანამ ბატონი ნოდარი ამ თემას მომცემდა, მანამ გავარჩიეთ მისივე ნაშრომი, რომელშიც გამოყვანილი იყო კვანტური კინეტიკური განტოლება. ამ განტოლებაზე დაყრდნობით ჩვენ შევქმენით წრფივი რხევების თეორია ფერმის სითხისთვის და ავაგეთ კვაზიწრფივი თეორია, რომელიც გულისხმობს სასრული ამპლიტუდების მქონე რხევების შესწავლას ფერმის სითხეში, მივიღეთ ახალი, დიფუზიის განტოლება იმპულსურ სივრცეში და შევისწავლეთ მისი ამონახსნი. ასეთი რამ ჯერ არ გაკეთებულა“.

**გრიგოლ ფერაძე:** „მეც, ისევე, როგორც დავითი, ვიყენებ ახალ კვანტურ კინეტიკურ განტოლებას, რომელიც განსხვავდება ჩვეულებრივი განტოლებისაგან იმით, რომ მასში არის წევრი, რომელიც განსაზღვრავს უწყვეტ კვანტურ ეფექტებს. ვსწავლობ — რა როლი შეაქვთ ამ კვანტურ ეფექტებს უკვე ცნობილ განტოლებებში და როგორ ცვლის მათ.

ჩემი ნაშრომი, რომელიც ათენის კონფერენციაზე მიმაქვს, შეეხება იონურ ნულოვან ბგერებს. ჩვენ შევისწავლეთ — თუ როგორ ვრცელდება ნულოვანი ბგერები იონებისთვის და გამოვიყვანეთ იონული ბგერები კვანტური წევრის გარეშე, რაც აქამდე არ გაკეთებულა. ლანდაუს თეორია, რომელიც დათომ ახსენა, დაფუძნებულია იმაზე, რომ იონური ბგერების ნაწილაკებს შორის არსებობს ურთიერთქმედება, მაგრამ თუ ეს ურთიერთქმედება არ იქნება, ასეთი ბგერების გავრცელება, კვანტური ეფექტების გამო, მაინც მოხდება. ეს იმას ნიშნავს, რომ კვანტური ეფექტები ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენ წორედ ის ვაჩვენეთ, თუ რა როლი შეჰქონდა კვანტურ ეფექტებს განტოლებებში“.

**დავით ბულისკირია:** „ჩემი თემა შეეხება გადაგვარებულ ფერმიგაზს. ეს გაზი შეიძლება განიხილო, როგორც ელექტრონული სისტემა. მე განვიხილავ მას ძლიერ მაგნიტურ ველში და ვაკვირდები ფერმიგაზის სითბოტევადობის დამოკიდებულებას ძლიერ მაგნიტურ ველზე. მოხსენებას ჰქვია „გადაგვარებული ფერმიგაზის დამოკიდებულება ძლიერ მაგნიტურ ველზე“.

მოწაფეებისა და მასწავლებლის დამოკიდებულება საქმისადმი ახლა უკვე ერთნაირი ხდება. ისინი ერთი მიზნისკენ მიისწრაფვიან – მეტი სიახლე შესძინონ მეცნიერებას. „როცა ბატონ ნოდართან მივედით, პირველად სწორედ ეს გვკითხა — ნამდვილად გვინდოდა თუ არა კვლევები, რადგან, თუ არ გვინდოდა, დროს ტყუილად დავხარჯავდით ჩვენც და ისიც... ჩვენ მაშინ ვთქვით, რომ გვინდოდა სამეცნიერო კვლევებში ჩართვა და ახლაც ამ აზრზე ვართ. ვინც უნივერსიტეტს აქამდე (მაგისტრატურამდე) მოჰყვება, ყველას უნდა კვლევაში ჩართვა და ამ ბოლო დროს აშკარად მოიმატა ასეთი სტუდენტების რიცხვმა... მე, მაგალითად, ზოგჯერ, როცა საიტერესო ადგილზე გავჩერდები, მთელი ღამე არ მძინავს, ვფიქრობ, როდის მოვა დილა, რომ მოვიდე და ვიმუშაო“, — ამბობს გრიგოლ ფერაძე.

ბიჭების მიზანი არ არის მაინცდამაინც უცხოეთში დამკვიდრება, მათ კარგად იციან, რომ იქ მიღებული გამოცდილების საქართველოში შემოტანაა ყველაზე დიდი საქმე და ამისთვის მზად არიან. „ჩვენ ვსწავლობთ ქართული ფულით. სახელმწიფო ჩვენს სწავლაში ფულს იხდის და მას კი არ გვჩუქნის, უბრალოდ განათლებაში რესურსს აბანდებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალდებულნი ვართ, ეს თანხა და ცოდნა უკან დავუბრუნოთ ქვეყანას“, — ამბობენ ისინი.

**მოამზადა მაია ტორაძემ**

ფოტოგამოფენა

# „იდუმალი მიწისქვეშა სამყარო“

*ლაშა ასანიძე*

თსუ-ის დოქტორანტის, გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ლაშა ასანიძე სტუდენტობიდან დაინტერესდა სპელეოლოგიით — მღვიმეების მეცნიერული შესწავლით. ამ მიზნით მან საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში იმოგზაურა და თავისი შთაბეჭდილებები ფოტოებზე აღბეჭდა.

25 იანვარს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფოტოგამოფენა „იდუმალი მიწისქვეშა სამყარო“ გაიმართა, სადაც ლაშა ასანიძემ სხვადასხვა მღვიმეებში გადაღებული სურათები წარმოადგინა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში პირველად თსუ-ის საგამოფენო დარბაზში იყო წარმოდგენილი საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მღვიმური სისტემების: მურადი, პრომეთე, კარლსბადი, სონორა, ლეჩუგია, კასტელანა და სხვ. ფოტოსურათები. მათ შორის აღსანიშნავია თსუ-ის სპელეოლოგების მიერ შესწავლილი მურადის მღვიმეში (ნაქერალას უღელტეხილი) არსებული უიშვიათესი ნაღვენთი (სფერული) ფორმების — სტალაქტიტების ფოტოები. ავტორმა ფოტოკოლექცია სხვადასხვა წლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ფარგლებში შექმნა.

როგორც გამოფენაზე ვახუშტი ბაგრატიონის გეგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა ნანა ბოლაშვილმა განაცხადა, ლაშა ასანიძის მიერ გადაღებული უნიკალური ფოტოები იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი პოპულარიზაციას უწევს სპელეოლოგიის განვითარებას.

კვლევის პროცესში მიღებული შთაბეჭდილებები ახალგაზრდა მეცნიერმა გაგვიზიარა: „ჩემი ამ დარგით დაინტერესება ბუნების უზომო სიყვარულით არის გამოწვეული. გამოფენაზე წარმოდგენილია როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს სხვადასხვა მღვიმეებში გადაღებული ფოტოები, რომელიც სამეცნიერო სტაჟირების დროს გადავიღე. ჩემი სადისერტაციო თემა რაჭის კირქვული მასივის სპელეოლოგიურ კვლევას მივუძღვენი. მიწისქვეშა სამყარო ულამაზესია თავისი გამოქვაბულებით, დინოზავრის ნაკვალევით და პანორამული ხედებით... ჩემი სურვილი იყო, საზოგადოებისთვის გამეზიარებინა ჩემი შთაბეჭდილებები და უფრო ახლოს გამეცნო მათთვის მიწისქვეშა სამყაროს მშვენიერება“, — ამბობს ლაშა ასანიძე.

მთავარი რედაქტორი **ნინო კაკულია**
მთავარი სპეციალისტი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **ანა ბოლქვაძე**
კომპ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
**რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, გიორგი ჯაიანი, არსენ გვენეტაძე, ირაკლი კობახიძე, ირაკლი იმედაძე, ირმა რუხაძე**

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62